ნუგზარ ჭაჭუაშვილი

სიმართლისა და სამართლისათვის

გორის კათოლიკურ ეკლესიაზე

ნ. ჭაჭუაშვილი • სიმართლისა და სამართლისათვის გორის კათოლიკურ ეკლესიაზე

ნუგზარ ჭაჭუაშვილი

სიმართლისა და სამართლისათვის გორის კათოლიკურ ეკლესიაზე

ზურაბ კიკნაძის რედაქციით და წინასიტყვით

სულხან–საბა ორბელიანის სასწავლო უნივერსიტეტი
თბილისი 2013

UDC (უაკ) 271.22–9(479.22)
პ–189

წიგნში განხილულია მართლმადიდებელ და კათოლიკურ ეკლესიებს შორის ამჟამად არსებული პრობლემები საკუთრების საკითხზე. ლაპარაკია იმ საეკლესიო ნაგებობებზე, რომლებიც ადრე კათოლიკური ეკლესიის საკუთრება იყო, მაგრამ საბჭოთა კავშირის დაშლის დროს მართლმადიდებლებმა დაიკავეს. მთავარი ადგილი დათმობილი აქვს გორის კათოლიკური ეკლესიის ისტორიას. ამ ეკლესიის ტაძარიც დღეს მართლმადიდებელი ეკლესიის მფლობელობაშია, რის გამოც დაისმის კითხვა: აქვს თუ არა სამართლებრივი საფუძველი ასეთ მფლობელობას და რამდენად შესაბამისობაშია ეს ვითარება საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის წარსულთან, მის ტრადიციასა და ბუნებასთან? თემა გაშუქებულია საისტორიო წყაროებზე დაყრდნობით და შეიცავს პოლემიკას ოპონენტებთან.

განკუთვნილია როგორც სპეციალისტებისათვის, ისე მკითხველთა ფართო წრისათვის.

რედაქტორი
პროფესორი **ზურაბ კიკნაძე**

რეცენზენტები
პროფესორი **ირმა ტალახაძე**
პროფესორი **გურამ კუტალაძე**

ISBN 978-9941-0-5614-7

© ნუგზარ პაპუაშვილი
© სულხან–საბა ორბელიანის სასწავლო უნივერსიტეტი

„არა გულმან გითქვას...“

წინამდებარე წიგნი ჩვენი საზოგადოებრივი ყოფის მეტად მტკივნეულ საკითხს ეხება. კიდევ ერთხელ გვიხდება ლაპარაკი იმ უსამართლობაზე, რასაც ჩავდივართ ჩვენ, მართლმადიდებლები, საქართველოში კათოლიკური ეკლესიის მიმართ. ამჯერად გორის კათოლიკურ ეკლესიაზეა საუბარი.

უნდა ვაღიაროთ, რომ საბჭოთა წყობილების გაუქმების შემდეგ, როცა შესაძლებელი გახდა ათეისტური რეჟიმისაგან მიტაცებული საეკლესიო შენობების ეკლესიებისათვის (მორწმუნეთა საკრებულოებისათვის) დაბრუნება, ამ ვითარებით, ძირითადად, მართლმადიდებლებმა ვისარგებლეთ: ის დაკეტილი ან არადანიშნულებისამებრ გადაკეთებული ეკლესიებიც დავიკავეთ, რომლებიც ადრე (დაკეტვამდე და გადაკეთებამდე) მართლმადიდებლებს არ ეკუთვნოდა. არავის უცდია, რომ აეხსნა და განემარტა, თუ რის საფუძველზე გადაეცემოდა მართლმადიდებლებს კათოლიკურად ცნობილი ეკლესიები; არავის უცდია გაებათილებინა ამ ეკლესიების კათოლიკურობის მაუწყებელი ისტორიული ცნობები და ვერც გააბათილებდნენ იმ მარტივი მიზეზით, რომ საწინააღმდეგო დოკუმენტები ბუნებაში არ არსებობს.

სამაგიეროდ, მას შემდეგ, რაც საქართველოს კათოლიკურმა მოსახლეობამ შელახული უფლებების დასაცავად ხმა ამოიღო და პროტესტი პრესაშიც გახმიანდა, მართლმადიდებელი ეკლესიის მესვეურებმა სცადეს გამოგონილი არგუმენტებით კათოლიკური წარმომავლობის შენობა-ნაგებობათა მათ ხელში დაბრუნების სამართლიანობა „დაესაბუთებინათ“. ისტორიული და ყოფითი მეხსიერებისა და ლოგიკის საწინააღმდეგოდ მათ დაიწყეს ლაპარაკი იმის თაობაზე, რომ ეს შენობა-ნაგებობები კათოლიკეებმა თავის დროს უკანონოდ მიისაკუთრეს და თვითნებურად გადააკეთეს. ასეთი რამეც შეგვიძლია წავიკითხოთ: „როგორც ცნობილია, XIX საუკუნის 50-იან წლებში, უმეფოდ და უკათალიკოსოდ დარჩენილ საქართველოში, კერძოდ, ქუთაისში არსებული ერთ-ერთი მართლმადიდებლური ტაძრის „გადაკეთებას“ შეეცადა კათოლიკური ეკლესიის ზოგიერთი უღირსი მესვეური... მეუფე კალისტრატეს დაუღალავი გარჯითა და ბრძოლით, 1989 წელს ეს ტაძარი კვლავ თავის ერთადერთ, ძველ, თავდაპირველ და კანონიერ პატრონს, მართლმადიდებელ ეკლესიას, მის სამღვდელოებას და მრევლს დაუბრუნდა...“ რა გამოდის, რა უნდა ვიფიქროთ? XIX საუკუნის მეორე ნახევარში რუსეთის იმპერიაში იმდენად მომძლავრებული ყოფილა კათოლიკური ეკლესია, რომ მართლმადიდებელი ეკლესიის შენობის დაპატრონება უცდია და კიდეც დაპატრონებია და დღემდე ასე დარჩებოდა, რომ მართლმადიდებელ სამღვდელო პირებსა და მრევლს არ ეზრუნა ისტორიული „სამართლიანობის“ აღსადგენად. იგივეა ნათქვამი ბათუმის კათოლიკური ეკლესიის შესახებაც. „საქართველოს რესპუბლიკაში“ ვკითხულობთ: „1987 წელს ნამდვილი ერისკაცების ძალისხმევით გადაწყ-

და ბათუმის მთავარი ეკლესიის აღდგენა. ძმები ზუ-ბალაშვილების მიერ მე-20 საუკუნის დასაწყისში აგე-ბულ ეკლესიაზე მოგახსენებთ, სწორედ იმაზე, დღეს საკათედრო ტაძრად რომ იწოდება... იგი კანონიერ მფლობელს – ქართულ ეკლესიას გადაეცა“.

როგორც ვხედავთ, ყველაფერი ყირამალაა და-ყენებული. ისმის კითხვა, სად იყვნენ მართლმადიდე-ბელი ეკლესიის იერარქები და მრევლი XIX საუკუნის 50-იან წლებში ან მის დასაწყისში, როდესაც კათო-ლიკეები უკანონოდ იკავებდნენ მართლმადიდებელ ეკლესიებს, – ნუთუ არავის უცდია ამ „გადაკეთების“ გაპროტესტება? უფრო უცნაური კი ის არის, რომ, მათი რწმუნებით, ასეთ თვითნებობას კათოლიკეების მხრი-დან რუსეთის ცარისტული რეჟიმი აქეზებდა. გამოდის, რომ მეფის რუსეთი და, მაშასადამე, მართლმადიდებ-ლური იმპერიის მესვეურნი თავიანთ რეაქციულ პო-ლიტიკას ქართველი ხალხისა და ეკლესიის მიმართ კათოლიკეების ხელით ახორციელებდნენ.

ეს ავტორები ასეთ ძალმომრეობას კათოლიკეთა მხრიდან საქართველოში უმეფობას და უკათალი-კოსობას აბრალებენ, მაგრამ ისტორია სხვა სურათს აჩვენებს. უამრავი დოკუმენტი არსებობს იმის დას-ტურად, რომ საქართველოში კათოლიკურ ეკლესიას სწორედ მეფისა და კათალიკოსის ხელში გაცილებით მეტი თავისუფლება ჰქონდა, ვიდრე რუსეთის იმპე-რიის პირობებში. რუსებს კათოლიკეები დასავლეთ ევროპის აგენტებად ჰყავდათ გამოცხადებული, რამაც მათი დევნა-შევიწროება გამოიწვია. 1844 წელს გამო-ცემული კანონის თანახმად, კათოლიკე მისიონერები საქართველოდან გააძევეს. ასე რომ, XIX ს-ის 50-იანი წლების საქართველოში, რომელიც მართლმადიდებ-ლური იმპერიის შემადგენლობაში შედიოდა, კათო-

ლიკური ეკლესიის აშენება არც ისე იოლი საქმე უნდა ყოფილიყო, მითუმეტეს, მართლმადიდებლური ტაძრის კათოლიკურად გადაკეთება.

შენობათა მიმტაცებლებმა არ ვიკმარეთ უახლესი ისტორიის გაყალბება და არარსებულ დოკუმენტებზე და სიტუაციებზე აპელირება, უფრო შორს წავედით „არგუმენტების“ ძიებაში: მიტაცებულ შენობათა „ქართულ-მართლმადიდებლურობის“ დასამტკიცებლად სამარქაფოდ ვყრით ხმებს, რომ ეს შენობები ქართველი ხელოსნების, მუშებისა და, რაც მთავარია, ქართული ქვებით იქნა აშენებული. ამგვარ „არგუმენტებს“ უმაღლესი იერარქიის სასულიერო პირთაგანაც მოვისმენთ.

ჩვენ მტკივნეულად განვიცდით ქართული წარმოშობის ძეგლების უპატრონობას უცხო ქვეყნების ტერიტორიაზე და პრეტენზიებსაც ვუცხადებთ ამ ქვეყნების ხელისუფალთ, პატრიოტულ საქმედ და ისტორიული სიმართლის აღდგენად მიგვაჩნია მათი დაბრუნება საქართველოს სამოციქულო ეკლესიის წიაღში, და ყველაფერ ამას მოვითხოვთ ამ ქვეყნებში ქართული მრევლის არარსებობისას, ამავე დროს, არ გვსურს, კანონიერ პატრონს, საქართველოს მოქალაქეებს, გადაეცეს საქართველოში არსებული საეკლესიო ნაგებობები. ქარვასლად ვაცხადებდით, ჩვენ სახელოვან მეცნიერთა და სასულიერო იერარქთა პირით, სინაგოგის შენობას (და ეს მაშინ, როცა საქართველოს მიწაზე ებრაელთა მყოფობის 26 საუკუნეს ვზეიმობდით), ვამოწმებთ სომხური ეკლესიების საძირკვლებს, ვინძლო მათი ქართული წარმოშობა დავამტკიცოთ. სომხური ეკლესიისა და სომხური სასაფლაოს ტერიტორიაზე მათი კვალის წასაშლელად ვაშენებთ ტაძარს... ვანდალიზმის პრინციპებს მივდევთ - კათო-

ლიკური ტაძრებიდან გარეთ, სანაგვეზე ვყრით ქანდაკებებს, ორღანის ნაშთებსა თუ სხვა საეკლესიო ინვენტარს (როგორც ქუთაისსა და ბათუმში მოხდა), ვაზიანებთ ფრესკებს, საფლავის ქვებზე ვშლით წარწერებს და მათ ქართულწარწერიანი ქვებით ვანაცვლებთ (როგორც თბილისში სომხურ ეკლესიაში მოხდა). ვაკეთებთ იმას, რასაც სხვებს სამართლიანად ვუკიჟინებთ... ძალზე შორს მიდის ძალმომრეობა. ნუთუ ვფიქრობთ, რომ განმკითხავი არავინ არის, არავის თვალი არ გვიყურებს?

თუ ერთი მხრივ, „კონსტიტუციური შეთანხმების“ საფუძველზე მოვითხოვთ სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის დაკარგვის პერიოდში ჩამორთმეული ქონების დაბრუნებას და მატერიალური ზიანის კომპენსაციას, მეორე მხრივ, თავად ვართმევთ ქონებას და ვაყენებთ მატერიალურ ზიანს სხვაგვარმადიდებელ ეკლესიებს. იქაც მართლები ვართ და აქაც?

ვიცით და არ გვსურს მივდიოთ სახარების მოწოდებას: ნუ გაუკეთებ სხვას იმას, რაც არ გსურს, რომ სხვამ გაგიკეთოს.

2 ივნისს, სამარიტელის კვირიაკეს

ზურაბ კიკნაძე



რა არის დღეს და რა იყო გუშინ

როდესაც ჩვენი ქვეყნის ახალ ამბებს ვუსმენთ და ვეცნობით, ვხედავთ, რომ საქართველოს მართლმადიდებელ ეკლესიას ამ ამბებში ერთობ დიდი წილი აქვს. ეს ბუნებრივია, რადგან ამჟამად, 21-ე საუკუნის დასაწყისში, საქართველოს მოქალაქეების 83 %-ზე მეტი თავს მართლმადიდებლად მიიჩნევს. მეტიც: აღნიშნული ეკლესიის საჭეთმპყრობელი უწმინდესი და უნეტარესი ილია II დღევანდელი საქართველოს მოსახლეობაში, ოფიციალური გამოკითხვების თანახმად, ყველაზე მეტი ნდობით სარგებლობს და უაღრესად პატივცემული პიროვნებაა. საქართველოს საპატრიარქო, რომელიც არის აღნიშნული ეკლესიის მმართველი ორგანო, საერო სტრუქტურებსა და დაწესებულებებზე ხშირად ისეთ ზეგავლენას ახდენს, რომ უკანასკნელნი სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საკითხებშიც კი მეტწილად დათმობებზე მიდიან და საპატრიარქოსთან დაპირისპირებას თავს არიდებენ.

საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია ასევე დიდი ავტორიტეტით სარგებლობს საერთაშორისო სარბიელზე როგორც საკუთრივ საეკლესიო, ისე პოლიტიკურ სივრცეში, განსაკუთრებით კი ქრისტი-

ანული მოძღვრებისა და პრაქტიკის მკვლევართა და მეცნიერთა წრეებში.

დაისმის კითხვა: რა განაპირობებს ასეთ ყურადღებას და პატივისცემას, ანუ რა არის ის თვისება და ბუნება, ძველი ქართულით — „ძალი“, რომელიც ამ ეკლესიის ერთიან სხეულს ამკობს და რომელსაც ვერც დრო და ვერც გარემო პირობები ვერ ახუნებს? ესაა, პირველ რიგში, იმ პიროვნების სიდიადე, რომელმაც საქართველოში ქრისტეს მცნებების სისავსე შემოიტანა და ადგილობრივი ეკლესია დაასაძირკვლა. ლაპარაკია წმინდა ნინოს შესახებ, რომლის ცხოვრების ამსახველ წიგნს, „მოქცევაჲ ქართლისაჲ“-ს, მსოფლიო მასშტაბითაც კი ბადალი ძნელად მოეძებნება როგორც ფორმის, ისე (და კიდევ უფრო) შინაარსის თვალსაზრისით. იქ ბევრი რამ (უფრო სწორად ყველაფერი) არის საგულისხმო, მაგრამ მთავარი არის ის, რომ საქართველო, ეს ჩრდილოეთის ქვეყანა, წარმართთა ქვეყანა, ურჩი და მძვინვარე ხალხით დასახლებული ქვეყანა, მოაქცია არა ხელისუფლებამ და წუთისოფლის მაგარმა ხელმა, არამედ სუსტმა და ნაზმა არსებამ — ქალმა. იგი ამ ქვეყანაში შემოვიდა და საღვთო მისია შეასრულა არა რაიმე მიწიერი სახსრისა თუ ძალის დახმარებით, არამედ მხოლოდ და მხოლოდ სახარებით: სიმართლით და ჭეშმარიტებით. ასე გადალახა მან, წმინდა ქალწულმა, ცხრა მთა და ცხრა ტბა და მარტოდმარტო მოადგა გორის სანახებს; შეუხვია სოფელ ურბნისში და შევიდა იქაური ებრაელების სალოცავში (ბაგინში) და დაყო მათთან, ებრაელებთან, რამდენიმე ხანი. და რას აკეთებდა ის იქ, ქრისტიანი იუდეველთა შორის? — ურბნისელი ებრაელებისაგან სწავლობდა ქართულ ენას და ეცნობოდა საქართველოსა და მისი ხალხის ბუნებას („განვიცდიდი ძალსა

ამის ქვეყანისასა“), ე. ი. ხასიათს, თვისებას, წესსა და ჩვევას. ეს ნიშნავს, რომ სულისკვეთება, რომელიც მან ახალი მოძღვრების ქადაგებას წაუმძღვარა, მოქალაქეთა სინდისის და ადგილობრივი ტრადიციების გათვალისწინებასა და პატივისცემას გულისხმობს. ამიტომ იყო, რომ მან დაგმო ხელისუფლება, როდესაც უკანასკნელმა სარწმუნოების გავრცელების საქმეში ძალის გამოყენება მიზანშეწონილად მიიჩნია. წმ. ნინომ შეაგონა მეფე მირიანსა და მის ერისთავს ის მარტივი ჭეშმარიტება, რომელიც იესო ქრისტემ ამ სიტყვებით გამოხატა: „ვინც მახვილს აიღებს, მახვილითვე განიგმირება“ (მათე 26:52). ესაა სიბრძნე და გაფრთხილება, რომელიც ამ სიტყვებითაც გადმოიცემა: სულიერ სფეროში, ეკლესიის სივრცეში და საეკლესიო საკითხებში ძალადობის ნებისმიერი გამოვლენა თავად ღვთის ნებას ეწინააღმდეგება. სადაც სიძულვილია, იქ ქრისტე არ არის. და მართლაც: წმ. ნინოს ებრაელთა მიმართ სიძულვილი რომ სდებოდა გულში, ებრაელთა ბაგინში როგორ შევიდოდა და ამ ხალხის გვერდით როგორ იცხოვრებდა? სულიერი გზა, რომელიც დიდმა განმანათლებელმა განვლო, არის ანდერძი და ზნეობრივი მაგალითი, რომელიც მოყვასის სინდისის ხელშეუხებლობის პრინციპს საპატიო ადგილს განუჩენს. ცნობიერების ეს რეგისტრი თავისთავად და ძირფესვიანად გამორიცხავს ძალადობას და ჩაგვრას, კერძოდ: ერთი ეკლესიის თვითნებურად შესვლას მეორე ეკლესიის სალოცავ სახლში და იქ დაბანაკებას, იყოს ეს სახლი გარემოებათა და მიზეზთა გამო თუნდაც დაცლილი და დაკეტილი, ანდა არადანიშნულებისამებრ გადაკეთებული.

წმ. ნინოს პიროვნება თავადაა იდეალი და სულისკვეთება, რომელიც მსჭვალავს იმ დროს და ამ-

ბავს, როდესაც საქართველო ქრისტიანდებოდა და საფუძველი ახალ ეპოქას, ახალ ღირებულებებს, ახალ ცნობიერებას და ახალ ტრადიციას ეყრებოდა. დიახ, წმ. ნინოს პიროვნება და მისი ღვაწლი არის ის ხიბლი, სხვა ხიბლთა შორის, რომელიც საქართველოში მყოფი ქრისტეს ეკლესიის მარადიული სიმდიდრე და სიამაყეა. აი, მიზეზი (მთავარი მიზეზი), რის გამოც ეს ეკლესია და მისი ისტორია საყოველთაო ყურადღებას და პატივისცემას იმსახურებს. არც არავის ეპარება ეჭვი და ვერც ვერავინ შეიტანს ეჭვს იმაში, რომ აღნიშნული სულისკვეთება და იდეალი, ქალწულის მიერ ამ მიწაზე დანერგილი, დღესაც ცოცხალი და ცხოველმყოფელია.

სწორედ ეს სულისკვეთება და ეს იდეალი არის საქართველოს ეკლესიის ბუნება, მისი საფუძველი, მისი „ძალი“ და მისი ისტორიის ღერძი, რომელმაც კაცობრიობას ქრისტესმიერი სიკეთისა და სილამაზის არა ერთი და ორი ფურცელი შესძინა. ამ ფურცლებთან და ამ ბუნებასთან წინააღმდეგობაშია ის მოვლენები, რომლებიც თანამედროვე ეპოქაში განვითარდა და რომლებმაც ქვეყანასაც და ეკლესიასაც პრობლემები შეუქმნა. ეს პრობლემები ისე გამოიყურება საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის სხეულზე, როგორც ხორცმეტი ჯანსაღ ხორცზე. ამ პრობლემების არაკანონზომიერება და სიმძიმე მით უფრო თვალსაჩინო გახდება, რაც უფრო ღრმად ჩავიხედავთ ჩვენს საეკლესიო წარსულში და შევეცდებით, რომ ისევე განვიცადოთ ამ წარსულის „ძალი“, როგორც ამას წმინდა ნინო განიცდიდა გორის მხარეში ყოფნისა და მოღვაწეობის დროს. ვფიქრობთ, არც წამლისა და გამოსავლის პოვნა გაგვიჭირდება, რადგან დარწმუნებული ვართ, რომ ერთსაც და მეორესაც ჩვენივე გონება

გვაპოვნინებს, თუკი ჩვენსავე წარსულს პატიოსნების და სიმართლის თვალით ვიხილავთ, მიმოვიხილავთ და განვიხილავთ. ესაა მიზეზი, რის გამოც წინამდებარე პრობლემის განსჯისა და გამოკვლევის დროს წარსულთან პარალელებს ხშირად მივმართავთ, რადგან გვწამს, რომ ეს პარალელები, ერთი მხრივ, აღნიშნული პრობლემების არსებას უფრო სრულყოფილად დაგვანახებს, მეორე მხრივ კი უმჯობესსა და კეთილ გადაწყვეტილებას მიგვაღებინებს.

პრობლემის სათავე და საფუძველი

უკვე ოცდახუთი წელიწადია, რაც საქართველოს მძიმე ტვირთად და პრობლემად აწევს არამართლმადიდებელი ეკლესიების ისტორიული ქონების, მათი წარსული მემკვიდრეობისა და, კერძოდ, საკულტო ძეგლების მესაკუთრეობის საკითხი. ლაპარაკია იმ შენობა-ნაგებობებზე, რომლებიც აღნიშნული ეკლესიების შვილებმა წინა საუკუნეებში შრომისა და ოფლის ფასად შეიძინეს და საკუთარი ღვთისმსახურებისათვის განკუთვნეს. და ამ შენობებზე არც მათი მშენებლობის პროცესში და არც ამ აქტიდან დიდი ხნის განმავლობაში, ვიდრე ისინი თავიანთ ფუნქციასა და მოვალეობას ასრულებდნენ, სარწმუნოებრივი შინაარსის პრეტენზია არავის გამოუცხადებია. არც მაშინ, როდესაც საქართველო რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში ირიცხებოდა, და არც ამ ქვეყნის დამოუკიდებლობის პირობებში არავის უთქვამს, ეს ნაგებობები უკანონოდაა აშენებული, უკანონოდ აქვს ამა და ამ აღმსარებლობის ეკლესიებს მითვისებული, მათი არსებობით ჩვენი, მართლმადიდებლების, ინტერესები და უფლებები

ილახება, რის გამოც ამ შენობა-ნაგებობების მესაკუთრეობის საკითხი უნდა გადაიხედოსო. მსგავს ფაქტს საქართველოს ისტორია არ იცნობს. ამის მიუხედავად, აღნიშნული ქონება დღეს საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის ხელში აღმოჩნდა.

დაისმის კითხვა: როგორ, როდის, რა გზით და რა საშუალებით აღმოჩნდა საქართველოს არამართლმადიდებელი ეკლესიების ქონება საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის ხელში?

პატიოსანი მკითხველი პირველ რიგში, ალბათ, ასეთ კითხვას დაგვისვამს: ვინ გაარკვია და საიდან ვიცით ამ ქონების წარმომავლობა ანუ მისი ძველი მესაკუთრის ამბავი? ამასთან დაკავშირებით შეგვიძლია ამთავითვე პირდაპირ და მკაფიოდ ვთქვათ: ეს კითხვა იმ კატეგორიის კითხვათა რიცხვს განეკუთვნება, რომლის პასუხი თავისთავადაა ცხადი და გარკვეული. ესაა კოლექტიური და საყოველთაო მეხსიერება, რომელიც აქსიომური ჭეშმარიტების იდენტურია. სწორედ ეს ჭეშმარიტებაა ასახული იმ ცოდნასა და მეტყველებაში, რომელიც შესაბამისი ქალაქებისა თუ სოფლების ძირძველ მოსახლეობას მემკვიდრეობით აქვს შეძენილი. ასეთ ცოდნას თვითნაბადი ცოდნა ეწოდება. საქართველოს ამა თუ იმ კუთხის ეს ცოდნა და ეს მეტყველება კი ბუნებითად იცნობს ისეთ გეოგრაფიულ სახელებს, როგორებიცაა: „ფრანგების უბანი“, „სომხების უბანი“, შესაბამისად — კათოლიკეების ეკლესია, სომხების ეკლესია და ასე შემდეგ. საიდან იცნობს? ცხადია, იმ სინამდვილიდან და იმ ვითარებიდან, რამაც ამ ცოდნისა და ამ მეტყველების ეს ნიუანსები შვა. ეს არის ისეთი ცოდნა და მეტყველება, ზოგადად, საერთო-სახალხო მეხსიერება, რომელიც მართლმადიდებელი მოსახლეობის ეჭვებისა და პროტესტის პირობებში ვერ შეიქმნებოდა. კონტექსტი აქ ერთობ დადებითია და მასში უარყოფი-

თობის (ნეგატივის), ვიმეორებთ, ეჭვისა და პროტესტის კვალიც არ ჩანს. ასე რომ არ იყოს, დასახელებული ტოპონიმები (უბანთა და შენობა-ეკლესიათა ეს სახელები) როგორ შეიქმნებოდა და მოქალაქეთა ცნობიერებაში ასე მარტივად როგორ დაინერგებოდა? ეს გარემოება გვკარნახობს ვაღიაროთ, რომ ადგილობრივი მკვიდრნი და, კერძოდ, მართლმადიდებელნი დღეს სადავოდ ქცეულ ეკლესიებზე არამართლმადიდებელი თანამოქალაქეების უფლებას წლებისა და საუკუნეების მანძილზე მშვიდად და მითქმა-მოთქმის გარეშე აღიარებდნენ; მათ მიმართ პრეტენზიები არ ჰქონდათ.

მეტ და კონკრეტულ ინფორმაციას ამ საგანზე (კოლექტიურ მეხსიერებასა და ცნობიერებაზე) მომდევნო მონაკვეთებში ვიხილავთ. ამჯერად კი ვიტყვით: რადგან საქმე აქსიომურ ჭეშმარიტებასთან გვაქვს, იძულებული ვართ, აქვე ვაღიაროთ და ვთქვათ, რომ საქართველოს არამართლმადიდებელი ეკლესიების საკუთრების საკითხი, პირველ რიგში, არის, უფრო სწორად, — უნდა იყოს, — ამ ქვეყნის მკვიდრი მართლმადიდებელი მოსახლეობის სინდისის ტვირთი. დიახ, ესაა სინდისის ტვირთი იმ ეკლესიისა, რომელიც დღეს ამ ქონებას ფლობს. ლაპარაკია საქართველოს მართლმადიდებელ ეკლესიასა და მის სამმართველოზე, — საპატრიარქოზე. წარმოუდგენელია, რომ სინდისის ხმამ სადღაც მაინც არ გაიღვიძოს; წარმოუდგენელია, რომ ქართველ მორწმუნე მართლმადიდებელთა შორის არ არსებობდნენ, ანდა მომავალში მაინც არ აღმოჩნდნენ ისეთები, რომელთათვისაც ჭეშმარიტება ყველაფერზე მაღლა დგას და რომელთა სული სიმართლესა და სამართლიანობას ესწრაფვის. დიახ, ეს ხმა გზადაგზა უსათუოდ გამოაღვიძებს ამა თუ იმ მართლმადიდებლის სინდისს. სხვა საკითხია, ქართველ მართლმადიდებელთა რა რაოდენობა განიცდის და ითავისებს

ამ ტვირთს და მის სიმძიმეს ჯერჯერობით, რამდენი მართლმადიდებელის სული გამოაღვიძა ამ ტვირთმა დღემდე და, თანაც, რამდენად სრულყოფილად.

ამავე დროს და ამასთანავე ისიც მკაფიოდ უნდა ითქვას, რომ ესაა არა მარტო პიროვნებების, არა მარტო მართლმადიდებელი ეკლესიის, არამედ, — და იურიდიული თვალსაზრისით შეიძლება უფრო მეტადაც, — იმ სახელმწიფოს მართლმსაჯულების პრობლემა, რომლის ტერიტორიაზეც ეს ძეგლები მდებარეობს. და ისე როგორც ნებისმიერ მართლმსაჯულებას, ამ ქვეყნის მართლმსაჯულებასაც აკისრია პასუხისმგებლობა არა მარტო თანამედროვეობის, არამედ ისტორიის წინაშეც. გაივლის წლები, ათწლეულები, თუნდაც საუკუნეები და დღევანდელი ქართველი მართლმადიდებლებისა თუ არამართლმადიდებლების, უბრალოდ, სამოქალაქო საზოგადოების შთამომავლები უსათუოდ დასვამენ კითხვას: მაშინ როდესაც საბჭოთა მანქანას ჟანგი გაუჩნდა და დაიშალა, როდესაც ჩვენში დამოუკიდებელი სახელმწიფო შენდებოდა, როდესაც პოლიტიკოსები დემოკრატიასა და მოქალაქეთა თანასწორუფლებიანობაზე განაცხადს აკეთებდნენ, მაშინდელი ჩვენი წინაპრები სამართლიანად იქცეოდნენ თუ არა? ვიცით, რომ მათი დიდი ნაწილი თავს იწონებდა, ჩვენ მართლმადიდებელი ეკლესიის შვილები ვართ და ჩვენი კულტურა მართლმადიდებლური კულტურაა. კი ბატონო, მაგრამ საკითხავია: მართლა მართლმადიდებლები იყვნენ ისინი თუ — მართლმადიდებლობის დამჩემებლები? სხვანაირად რომ ვთქვათ: მარტო სიტყვით და გარეგანი წესებით იყვნენ ისინი მართლმადიდებლები, თუ გარეგანი ფორმითაც და შინაარსითაც? იყო თუ არა მათი ეპოქის საქართველოში სამართლიანი მართლმსაჯულება? ეს უკანასკნელი ხომ ერთ-ერთი უმთავრესი ნიშანია ჭეშმარიტი, და არა ყალბი, მარ-

თლმადიდებლური აზროვნებისა და ცხოვრებისა?

ერთი სიტყვით: გათავისებული ჰქონდათ თუ არა მათ, ჩვენი ქვეყნის მართლმადიდებელთა უმრავლესობას, ის შეგონება, რომლის მოკლე ფორმულა ქართულად ასე ჟღერს: *„ნუ გავაკეთებთ, რაც არ გვინდა, გაგვიკეთონ ჩვენ“ (ტობ. 4:15; მათე 7:12; ლუკა 6:31; დიდაქე 2).* გავითვალისწინოთ, რომ ესაა არა მარტო ქრისტიანული მოძღვრებისა და ქრისტესმიერი ცხოვრების ქვაკუთხედი, არამედ ზოგადსაკაცობრიო პრინციპიც: კაცთა შორის მშვიდობისა და სათნოების საფუძველი. და თუ ამ ქვაკუთხედის სამანებს არ მივუახლოვდით, მართლმადიდებლობაზე, წმინდანებზე და იმაზე, რომ ჩვენ, ქართველები, წმინდა მამებისა და დედების შთამომავლები ვართ, ლაპარაკი ზედმეტია.

კათოლიკეთა ეკლესიები საქართველოში

ამ შემთხვევაში ჩვენ ვლაპარაკობთ იმ ტაძრების, ე. ი. საღვთო სამსახურისათვის განკუთვნილი იმ შენობების ბედის შესახებ, რომლებიც საქართველოში წლების მანძილზე კათოლიკური ეკლესიების ფუნქციას ასრულებდნენ და, მაშასადამე, კათოლიკური ეკლესიები იყვნენ. მეტად რომ დავაზუსტოთ, — ეს ეკლესიები (ნაგებობები, ტაძრები) ადრე კათოლიკურ ეკლესიას ეკუთვნოდნენ და, ვიმეორებთ, კათოლიკური ეკლესიები იყვნენ (!). ეს ნიშნავს, რომ ამ ტაძრების ინტერიერში კათოლიკური შინაარსის ღვთისმსახურება ცხადად და ოფიციალურად არა ერთი და ორი ათეული წლის მანძილზე სრულდებოდა; არავის და არაფერს მათთვის ხელი არ შეუშლია; არც ერთ მართლმადიდებელ სამღვდელო პირსა თუ ერისკაცს, მათ შორის წმინდა მამებსა და წმინდა მოწამეებს: გაბრი-

ელ ქიქოძეს, ალექსანდრე ოქროპირიძეს, კირიონ საძაგლიშვილს, ილია ჭავჭავაძესა თუ დიმიტრი ყიფიანს არ უთქვამთ, რომ შენობა-ეკლესიები, რომლებშიც კათოლიკეები თავიანთი წესისა და რწმენის თანახმად ჟამისწირვებს აღავლენენ, კანონის ძალითაც და ისტორიულ გარემოთა გათვალისწინებითაც არა მათ, არამედ ჩვენ გვეკუთვნისო. და ეს მაშინ, როდესაც ჩამოთვლილი წმ. მამები: გაბრიელი, ალექსანდრე, კირიონი და, კიდევ, კათალიკოს-პატრიარქი (1918-1921) ლეონიდე ოქროპირიძე იმ ქალაქებისა და ოლქების ეპისკოპოსებად მსახურობდნენ (გორი, ქუთაისი, ბათუმი), რომლებშიც მათ დროს კათოლიკეთა საკმაოდ ღონიერი თემები არსებობდა. არც ერთ მათგანს კათოლიკური ეკლესიების კანონიერების საკითხი კითხვის ნიშნის ქვეშ არ დაუყენებია. პრიქით! ისინი სიმპათიით ლაპარაკობდნენ თანამოქალაქე კათოლიკეების შესახებ და მათი ქონების თაობაზე გადაბრუნებული სიტყვა არ წამოსცდენიათ. მარტო წმ. კირიონ კათალიკოსის ის სიტყვები რად ღირს, რითაც მან 1917 წლის ოქტომბერში, ინტრონიზაციიდან (აღსაყდრებიდან) რამდენიმე დღის შემდეგ, რომის პაპს მიმართა და მას თანამემამულე კათოლიკეებისადმი ყურადღება და პატივისცემა აღუთქვა. და არა მარტო თავის მხრივ დადო აღთქმა განსხვავებული აღმსარებლობის თანამოქალაქეთა, კათოლიკეთა, მფარველობის შესახებ, არამედ სთხოვა კიდეც ამავე აღმსარებლობის ეკლესიის წინამძღვარს, დიდ პონტიფექს (ხალხთა შორის სულიერი ხიდის მშენებელ) პაპს, რომ არ მოეკლო მათთვის, საქართველოს კათოლიკეებისათვის, მამაშვილური მზრუნველობა და ლოცვა-კურთხევა.

აი, წმიდა მამისა და თავისი ქვეყნის, საქართველოს, ისტორიის საუცხოო მცოდნის სიტყვები, მიმართული პაპ ბენედიქტე XV-ისადმი:

„მოციქულნი და ქადაგნი ჰრომის საყდრისანი, რომელნი მეათსამმეტე საუკუნითგან მოევლინნეს ქვეყანასა ჩვენსა, შეუორგულებელად იღვწოდეს საფარველსა ქვეშე ქართველთა მეფეთასა, ვითარცა მწყემსნი კეთილნი, მკურნალნი ხორცთანი და მომფენელნი ჩვენდა სწავლაგანათლებისანი. მათ აღაშენეს ქვეყანასა ჩვენსა ეკლესიანი თვისნი და დაუმოწაფეს საყდარსა შენსა არა მცირედნი ქართველნი, რომელნი მოაქამომდე ადიდებენ ღმერთსა წესისაებრ ჰრომთა ეკლესიისა და პატივსა სცემენ სახელსა შენის უწმიდესობისასა.

დღესა ამას აღდგენისა ქართველთა ეკლესიისა და სიხარულისა მათისასა, გულისხმისმყოფელი წარსულისა ჩვენისა, მოწლედ მოვიკითხავ უნეტარესობასა შენსა და აღთქმასა ვდებ, ვითარმედ მიმდგომნი შენისა საყდრისანი არა შეიწრებულ იქმნებიან გულსა შინა ჩემსა და ქართველთა ერისასა.

ვსასოებ, ვითარმედ უწმიდესობაი შენი არა უგულებელს ჰყოფს ქართველთა კათოლიკეთა და მრავალფერთა მათთა სარწმუნოებრივ-ეროვნულ სახმართა“[1].

იმედია, დაგვეთანხმება მკითხველი, რომ მოყვასის მიმართ ამაზე მეტი სიყვარულის, პატივისცემის, ერთგულებისა და კეთილწარმატების უფრო დიდი სურვილის გამომჟღავნება წარმოუდგენელია. ისიც უეჭველია, რომ ეს სიტყვები — საქართველოს ღირსი კათალიკოსის, კირიონ II-ის, ციტირებული ტექსტი — იმდროინდელი ქართველი საზოგადოებისა და, კერ-

1 ეს ეპისტოლე პირველად დაიბეჭდა საქართველოს საკათალიკოსოს ჟურნალში „სვეტიცხოველი“, 1917, №4, გვ. 4-5. ბოლო პუბლიკაცია ფრანგული თარგმანითურთ: N. Papuashvili, Aus der jüngsten Vergangenheit der georgischen orthodoxen Kirche, Tiflis 2012, 127-130.

ძოდ, ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის საერთო პოზიციას გამოხატავდა. ამაში ქვემოთ წარმოდგენილი მიმოხილვაც დაგვარწმუნებს.

და სწორედ ეს ფაქტი გახლდათ იმის საფუძველი, რომ კათოლიკეები საქართველოში სულიერი ცხოვრებისათვის საჭირო მატერიალურ ბაზას, ეკლესიის შენობებსა და მათ მიმდებარე ტერიტორიებს საუკუნეების მანძილზე სერიოზული პრობლემებისა და ექსცესების გარეშე ინარჩუნებდნენ (გამონაკლისის შესახებ ქვემოთ ვილაპარაკებთ). და ასე იყო მანამ, სანამ მეფის რუსეთის ყოფილი იმპერიის ტერიტორიაზე ანტირელიგიური კამპანია ძალას მოიკრეფდა და სანამ საბჭოთა ხელისუფლება მორწმუნეებს, მართლმადიდებლებსა თუ სხვაგვარადმადიდებლებს, მათ შორის — კათოლიკეებს ასეთ ადგილებში ცხოვრების ნორმალური რიტმით წარმართვისა და, კერძოდ, საზოგადო ლოცვის უფლებას წაართმევდა; მანამ, სანამ კომუნისტი ბოლშევიკები სხვადასხვა რელიგიური მრწამსის ადამიანებს ტაძარ-სამლოცველოებიდან გამორეკავდნენ და უძრავ-მოძრავი ქონების შენარჩუნებაზე ფიქრსაც კი დაავიწყებინებდნენ.

მართლმადიდებლებისა და კათოლიკეების თანაცხოვრება საქართველოში

იმის გასარკვევად, თუ რა გზით წარიმართა ეს პროცესი, უფრო სწორი იქნება თქმა, — რა გზით წარიმართა საქართველოში მართლმადიდებლების კეთილგანწყობილება კათოლიკეების მიმართ და რა მოხდა შემდეგ, საჭიროა, თუნდაც ორიოდე სიტყვით,

მიმოვიხილოთ და შევაფასოთ ჩვენი ქვეყნის ახალი და უახლესი ისტორიის ჩვენთვის ამჯერად საინტერესო ფურცლები, რომელთაგან რამდენიმე ეპიზოდი ზემოთაც გავიხსენეთ.

ვფიქრობთ, ზედმეტიცაა იმის აღნიშვნა, რომ საქართველო, ძირითადად, ალბათ მაინც გეოგრაფიული ფაქტორის გამო, ოდითგანვე რელიგიათა და კულტურათა გზათშესაყარს წარმოადგენდა. ამიტომ არაა გასაკვირი, რომ ამ ქვეყნის მკვიდრი მოსახლეობა ტოლერანტობის კულტურის თვალსაზრისით არც ერთ ცივილიზებულ და დაწინაურებულ ერს არ ჩამოუვარდებოდა. ბოლოს და ბოლოს, ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, განა ჩვენი ხალხის სულისა და გულის ამოძახილი არ არის ის ცნობილზე ცნობილი სიტყვები, რომელიც „ვეფხვისა და მოყმის ბალადაში“ შვილმკვდარმა დედამ წარმოთქვა? ამ სიტყვებს ის წარმოთქვამს იმ ვეფხვის დედის მიმართ, რომელიც მის შვილს შეერკინა და რომელმაც შვილი მოუკლა, მაგრამ თვითონაც მოკვდა. ნახეთ, რას გადაწყვეტს შვილმოკლული ქართველი დედა: „ვინ იცის, ვეფხვის დედაი ჩემზე მწარედა სტირისა! წავიდე, მეც იქ მივიდე, სამძიმარ ვუთხრა ჭირისა“. განა ეკადრებათ დღეს იმ ქვეყნისა და ერის შვილებს, რომელთა ფოლკლორი თანადგომისა და თანალმობის ასეთ მაგალითს იცნობს, არღვევდნენ მეზობლური თანაცხოვრების ელემენტარულ პრინციპს? გავითვალისწინოთ, რომ სხვათა სალოცავი სახლების წართმევით პირველ რიგში ის საუფლო მცნება ირღვევა, რომელიც გვაფრთხილებს: „არა გული გითქმიდეს სახლისათვის მოყვასისა შენისა“ (გამ. 20:17)? შეჰფერის მათ განა, „ვეფხვისა და მოყმის“ შემოქმედი ერის შვილებს, რომ საერთო გაჭირვების ჟამს ხელი არ გაუმართონ ერთმანეთს, თუნდაც სხვადასხვა რწმენისანნი იყვნენ ისინი?

მიმოვიხილოთ და ვიხილოთ, თუ რას გვასწავლის ამ საგანზე ჩვენი წარსული: უმართავდნენ თუ არა ერთმანეთს ხელს ქართველი მართლმადიდებლები და კათოლიკეები გაჭირვებისა და დევნილების ჟამს? რას გვაუწყებს ამის თაობაზე ჩვენი ქვეყნის არცთუ შორეული წარსული?

საქართველოს ძნელბედობის ხანა, მისი ახალი ისტორია, იქნება ეს ცარიზმის, სამწლიანი დამოუკიდებლობისა თუ საბჭოეთის ეპოქა, კათოლიკეებისა და მართლმადიდებლების დაპირისპირების არც ერთ მაგალითს არ იცნობს. რომ იცნობდეს, ე. ი. ქართველ მართლმადიდებლებს თანამემამულე კათოლიკეების მიმართ ქონებრივი დავისა თუ სხვა მიზეზისა გამო რაიმე ხინჯი რომ სდებოდათ გულში, დამეთანხმებით, პატრიოტი მართლმადიდებელი მღვდელმთავრის ზემოთ მითითებული სიტყვა იქნებოდა არა გულწრფელი სიმპატია, არამედ სიყალბე და თვალთმაქცობა (ნუ იყოფინ!). მეტი სიცხადისათვის, ეს რომ ასე არ არის, დავუბრუნდეთ ისტორიას და ჩვენი არაშორეული წარსულიდან რამდენიმე სხვა მაგალითიც გავიხსენოთ.

საქართველოს პოლიტიკური სუვერენიტეტის დაკარგვამ (XIX ს-ის დასაწყისიდან) ამ ქვეყნის კათოლიკური ეკლესიების უფლებებიც შელახა. რუსეთის თვითმპყრობელმა მთავრობამ 1844-1845 წლებში კათოლიკე მისიონერები დასავლეთ ევროპის აგენტებად გამოაცხადა და ისინი ქვეყნიდან გააძევა (ისე როგორც კომუნისტებმა გარეკეს თვითმპყრობელობის დამხობის შემდეგ დასავლეთ ევროპისა და ამერიკის არა მარტო სასულიერო, არამედ კულტურული, სამეცნიერო და დიპლომატიური მისიებიც). ამ გარემოებამ ქართველი კათოლიკეები აიძულა, მეტად ეზრუნათ ადგილობრივი სასულიერო კადრების მომზადებაზე

და თავიანთი საღვთისმსახურო წესების ადგილობრივ გარემოსთან მისადაგებაზე. ამ დროს ქართველი კათოლიკე სამღვდელოება ერთობ გააქტიურდა და მათ ეროვნული კულტურის ასპარეზზე არაერთი საშვილიშვილო ნაბიჯი გადადგეს. კულტურისა და განათლების სფეროს განსაკუთრებული ამაგი მღვდლებმა პეტრე ხარისჭირაშვილმა, ივანე გვარამაძემ და მიქაელ თამარაშვილმა დასდეს. მათ დააარსეს სასწავლებლები (სამეცნიერო-კვლევითი უჯრედები) როგორც საქართველოში (ახალციხე, თბილისი, ქუთაისი, გორი), ისე საზღვარგარეთ — სტამბოლში, რომში, საფრანგეთში. ისინი შეუერთდნენ ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობას, რომლის სათავეში ილია ჭავჭავაძე, აკაკი წერეთელი და სხვა მამულიშვილები იდგნენ. მათ გვერდით აღმოჩნდა სამშობლოსათვის გულანთებული მდიდარი ქართველი კათოლიკე სტეფანე მელიქიშვილი (ქართული უნივერსიტეტის პირველი რექტორის, პეტრე მელიქიშვილის, ძმა), რომელმაც 1866 წელს დააფუძნა და ფინანსურად უზრუნველყო პირველი ეროვნული და საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი საქართველოში „დროება“. ამ გაზეთის რედაქციაში თანამშრომლობდნენ ქართველი მართლმადიდებლები და კათოლიკეები და ბუნებრივია, რომ ბეჭდვითი სიტყვის ეს ორგანო საქართველოს სხვადასხვა კუთხისა და ხალხის კონსოლიდაციის კერად გადაიქცა (პაპუაშვილი 2008: 5-6).

როდესაც ბრძოლა დაიწყო საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენისათვის, ამ იდეის გარშემო ქართველი კათოლიკეებიც დადგნენ. მათ იცოდნენ, რომ აღნიშნული მოძრაობის საბოლოო მიზანს უცხო ძალის მიერ ადგილობრივი მართლმადიდებელი ეკლესიისათვის თავსმოხვეული

ბორკილების მოშორება წარმოადგენდა. იგულისხმება ის იმპერიული იდეოლოგია და ბიუროკრატია, რომელიც მართლმადიდებელი და კათოლიკური ეკლესიების დაახლოებასაც უშლიდა ხელს. ქართველ კათოლიკეებს ასევე ჰქონდათ იმედი, რომ დამოუკიდებელ და დემოკრატიულ საქართველოში მათი უფლებები უკეთ იქნებოდა დაცული. ეს სულისკვეთება და იმედები ასახულია კათოლიკეთა ჟურნალში „ჯვარი ვაზისა“ (1906; რედაქტორი მღვდელი დომინიკე მუღაშოვი-პაწაძე), რომელშიც მართლმადიდებელი საერო და სასულიერო პირებიც თანამშრომლობდნენ (ერთ-ერთი ყველაზე აქტიური თანამშრომელი გახლდათ ეპ. ლეონიდე ოქროპირიძე) და რომელიც ავტოკეფალიის აქტიურ მხარდამჭერად მოგვევლინა. ჟურნალი დიდ ადგილს უთმობდა ქართულ სულიერსა და მატერიალურ კულტურას (მისი მეშვეობით გახდა ცნობილი ქართული ორიგინალური ჰიმნოგრაფიის მშვენება „შენ ხარ ვენახი“).

აქვე აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ ამ დროს (XIX-XX სს-ის მიჯნაზე) რომის ეკლესიასთან გაერთიანების სურვილი ქართველი მართლმადიდებელი სამღვდელოებისა და ერისკაცების თვალსაჩინო ნაწილმა გამოამჟღავნა. ისინი იმედოვნებდნენ, რომ ამ გზას საქართველოში საეკლესიო ცხოვრების განახლება და გადახალისება, მისი თავისთავადობის დამყარება და რეფორმების შემოღების შესაძლებლობა მოჰყვებოდა. ამ მიმართულებით იმდროინდელი ქართული სასულიერო და საერო ელიტის ბევრი თვალსაჩინო წარმომადგენელი იღვწოდა, მათ შორის — ვარლამ ჩერქეზიშვილი და აკაკი წერეთელი (ბუბულაშვილი 2000: 54-56). კათოლიკურ ეკლესიასთან დაახლოების სულისკვეთებითაა გამსჭვალული აგრეთვე სა-

ქართველოს მართლმადიდებელი სამღვდელოების ოფიციალური წერილი, რომელიც 1910 წელს კონსტანტინოპოლის მსოფლიო პატრიარქს გაეგზავნა. აი, რას ვკითხულობთ მასში: „იგი (საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია, ნ.პ.) მუდამ მეგობრულ განწყობილებაში იყო რომის მსოფლიო ეკლესიასთან... საქართველოს ეკლესია ფანატიკურად არ ეპყრობოდა რომის მისიას და ნებას აძლევდა თავისუფალ პროპაგანდისას, როგორც შეჰფერის ნამდვილ ქრისტიანეთა“ (ბუბულაშვილი 2007: 159). გავითვალისწინოთ, რომ ამ წერილს პატრიოტი ქართველი მართლმადიდებლები უგზავნიან არა რომის პაპს, არამედ მართლმადიდებელ პატრიარქთა უფროს ძმას, ქალაქთა მზის — კონსტანტინოპოლის — ეპისკოპოსსა და მსოფლიო პატრიარქს.

როგორც ვხედავთ, ბრძოლა საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენისათვის (1905-1917) ამ ეკლესიის კათოლიკურ ეკლესიასთან დაახლოების სურვილით მიმდინარეობდა. ეს სურვილი არც მას შემდეგ განელებულა, რაც მიზანი მიღწეულ იქნა და 1917 წლის 12 (ახ. სტ. 25) მარტს სვეტიცხოვლის დიდ ტაძარში ავტოკეფალიის განახლება გამოცხადდა. ამაზე მეტყველებს ქართველ კათოლიკეთა კრება, რომელიც აღნიშნული წლის 27 აპრილს შედგა თბილისში და რომელმაც დასვა საკითხი თბილისის კათოლიკური საეპისკოპოსო კათედრის აღდგენის თაობაზე. კრებას საპატიო სტუმრის სტატუსით დაესწრნენ მართლმადიდებელი ეკლესიის უმაღლესი სასულიერო პირებიც: მიტროპოლიტი ლეონიდე, ეპისკოპოსები – ანტონი და პიროსი და თეთრი სამღვდელოების სხვა წარმომადგენლები. ისინი მიესალმნენ საქართველოში კათოლიკური საეპისკოპოსოს

აღდგენის იდეას. აი, რა ინფორმაცია და კომენტარი მიაწოდა ამ საგანზე საზოგადოებას გაზეთმა „საქართველო“:

„აპრილის 27 ქართველ კათოლიკეთათვის ისტორიულ დღედ ჩაითვლება. ამ დღეს ქართველ კათოლიკეთა დელეგატებმა დიდი საეკლესიო საკითხი გადაწყვიტეს. ეკლესიის გალავანში თავი მოიყარეს საქართველოს სხვადასხვა კუთხიდან მოსულმა დელეგატებმა. სულ მოგროვდა 49 დელეგატი, დროებით აღმასრულებელი კომიტეტი და დიდძალი ხალხი. საქმე ვედრებით დაიწყო. წირვას დაესწრნენ საქართველოს კათალიკოსის მოსაყდრე ლეონიდე, ეპისკოპოსი ანტონი და პიროსი და სხვ. კრება სკოლის დარბაზში გაიმართა... ქართული კულტურის ისტორიის წიგნში ქართველთა იმ ნაწილს, რომელსაც ქართველი კათოლიკენი ეწოდება, უსათუოდ საპატიო და საინტერესო ფურცლები აქვთ მიკუთვნილი. თუ ვინმეს ტანჯვა შეწირულა საქართველოს სამსხვერპლოზედ, იქ მათი მსხვერპლიც საკმაოთ სრული ყოფილა... თუ ვინმეს აქვს უფლება საქართველოში თავის თავს ქართველი უწოდოს — ეს უფლება ქართველ კათოლიკეთ წამებით აქვთ მოპოვებული. ვისაც სურს მათს ქართველობაში დარწმუნდეს, მათს ყრილობას უნდა დაესწროს და მათ მოძღვრების სიტყვებს მოუსმინოს“ (ჯაფარიძე 1917).

გაზეთი „საქართველო“ დამოუკიდებელი და დემოკრატიული საქართველოს მშენებლობის დროს გაზეთებს შორის ყველაზე დიდი პოპულარობით სარგებლობდა. მასში მორწმუნე პატრიოტი ქართველები თანამშრომლობდნენ და, როგორც აქ მოყვანილი სტრიქონები ცხადყოფს, ისინი საქართველოში კათოლიკური ეკლესიის წინსვლას და აღმავლობას ესალ-

მებოდნენ. მათ გვერდით იდგნენ იმდროინდელი ქართველი სამღვდელოების ჩინებული წარმომადგენლები, სახელდობრ, იმავე ეპოქის კათალიკოს-პატრიარქები: კირიონი და ლეონიდე, რომლებიც დღეს ერთობ პატივდებული პიროვნებები არიან. მათგან პირველი წმინდანად არის აღიარებული. მათ არაერთგზის წარმოუთქვამთ თბილი სიტყვები თანამემამულე კათოლიკეების მისამართით და მათთვის მფარველობა აღუთქვამთ, რაც დაუდასტურებიათ კიდეც რომის პაპისადმი გაგზავნილ ეპისტოლეებსა თუ პაპის წარმომადგენელთა წინაშე წარმოთქმულ ოფიციალურ სიტყვებში (ერთ-ერთ ეპისტოლეს უკვე შევეხეთ). ამ დოკუმენტების გახსენება ჩვენ კიდევ მოგვიწევს. ამჯერად კი გვმართებს ვიკითხოთ: რა ხდებოდა ამ მხრივ ქრისტიანთა საყოველთაო დევნის ხანაში?

აღნიშნული რეჟიმი — საბჭოთა კომუნისტურ-ათეისტური მმართველობა — სინდისის უფლებასა და თავისუფლებას ყველა კონფესიას (აღმსარებლობას) თანაბარი სიმკაცრით უზღუდავდა. გამონაკლისს არც კათოლიკეები, ე.წ. „ფრანგები“, წარმოადგენდნენ. მათი ეკლესიების აბსოლუტური უმრავლესობა ან დაანგრიეს, ან არადანიშნულებისამებრ გადააკეთეს. დევნისა და რეპრესიების მსხვერპლნი აღმოჩნდნენ ამ ეკლესიების სასულიერო თუ საერო მსახურები: ზოგი გააძევეს ეკლესიებიდან და გზაშარაზე დატოვეს, ზოგი დააპატიმრეს, ზოგი გააციმბირეს და ზოგიც დახვრიტეს, — თქვენ არა მარტო „რელიგიური ბანგის“ მატარებლები ხართ, არამედ დასავლეთ ევროპისა და მისი იმპერიალისტური პოლიტიკის აგენტებიცაო.

ასე რომ, კომუნისტების მმართველობის პირობებში საქართველოს ყველა მორწმუნე, ქრისტიანებიც და არაქრისტიანებიც, მართლმადიდებლებიცა და

სხვაგვარმადიდებლებიც, არსობრივად ერთი და იმ-ავე წნეხის ქვეშ იმყოფებოდნენ, რასაც მათ შორის თანაგრძნობა და თანალმობა უნდა გაეღვივებინა. თითქოს ასეც მოხდა. ამის მაგალითია ადგილობრივი მართლმადიდებელთა ეკლესიის წინამძღვრის კათა-ლიკოს-პატრიარქ კალისტრატე ცინცაძის (1866-1952) მოქმედება, რაც ჩვენთვის სხვადასხვა წყაროს მეშ-ვეობითაა ცნობილი და რაც ძველი თაობის ქართველ კათოლიკეებს დღემდე ახსოვთ. მეორე მსოფლიო ომსა და ომის მომდევნო წლებში, როდესაც გერმა-ნელი კათოლიკეები საქართველოდან განდევნეს და თბილისის კათოლიკური ეკლესია მძიმე ფინანსური კრიზისის წინაშე აღმოჩნდა (გადასახადების გადა-უხდელობის გამო მას დახურვის საფრთხე დაემუქ-რა), საქართველოს კათოლიკეებს დახმარების ხელი ხსენებულმა მართლმადიდებელმა მღვდელმთავარ-მა გაუწოდა. იგი უსასყიდლოდ გადასცემდა მათ სან-თელს სიონის საწარმოდან, რათა საქართველოს კა-თოლიკეთა ეკლესიას ამოესუნთქა და იგი ამ ქვეყნის საეკლესიო-სასულიერო სივრციდან არ გამქრალიყო. და მართლაც: თბილისის კათოლიკური ეკლესია (პეტ-რე-პავლეს ტაძარი და სამრევლო), რომელიც XX ს-ის 40-80-იან წლებში ლათინური წესის ერთადერთი რე-გისტრირებული ეკლესია იყო მთელს კავკასიაში, და-ხურვას გადაურჩა. ეს კი (შვენის აღნიშვნა!) თანამემა-მულე მართლმადიდებლების თანადგომამ და სოლი-დარობამ განაპირობა. ეს ის პატრიარქია, რომელმაც დაწერა მოგონება ზაქარია ფალიაშვილზე (გამოქვეყ-ნებულია ორჯერ პროფ. მიხეილ ქავთარიასა და ჩვენ მიერ) და რომელმაც ამ დიდი ქართველი კომპოზიტო-რის შესახებ ასეთი სიტყვები თქვა: „ასეთი ბრწყინვა-ლე თვალები მარტო კათოლიკეებში შემხვედრია და

ისიც მორწმუნე კათოლიკეებში“.

კათალიკოს-პატრიარქ კალისტრატეს ეს მიმართულება განავითარა კათალიკოს-პატრიარქმა ილია მეორემ. საბჭოთა რეჟიმის დროს მას არაერთგზის გამოუხატავს სიმპათია და პატივისცემა კათოლიკეების მიმართ როგორც სიტყვიერად, ისე ქმედითად. იგი აქტიურად მონაწილეობდა ქრისტიანთა ეკუმენურ მოძრაობაში; იყო ეკლესიათა მსოფლიო საბჭოს თანაპრეზიდენტი (1979-1983) და არა ერთი და ორი მართლმადიდებლურ-კათოლიკური დიალოგის თანაშემოქმედი, ანდა თანამდგომი. კათალიკოს-პატრიარქი ილია ესწრებოდა, როცა საჭიროება მოითხოვდა, კათოლიკეთა საღვთო ლიტურგიებს და მის მიერ აღვლენილ ჟამისწირვებშიც მონაწილეობდნენ კათოლიკე საერო თუ სასულიერო პირები. ეს არაა გასაკვირი, თუ გავითვალისწინებთ იმ ფაქტს, რომ იგი ღიად და მკაფიოდ გამოთქვამდა დადებით პოზიციას რომის ეკლესიის მოძღვრებისა და ტრადიციის შესახებ. ამის ერთ-ერთი მაგალითია კათოლიკური ეკლესიის ცენტრის, ვატიკანის, წარმომადგენლის კარდინალ იოანე ვილენბრანდსის სტუმრობა საქართველოში 1979 წლის 9-14 მარტს. ამ დროს სიონის საპატრიარქო ტაძარში აღვლენილ იქნა საზეიმო წირვა, რომელსაც დაესწრნენ ხსენებული კარდინალი და მისი თანმხლები სამღვდელონი და საერონი. ღვთისმსახურების დროს საპატიო სტუმარს სამღვდელმთავრო ნოხი მოართვეს; კვერექსებში არაერთგზის გაისმა რომის მაშინდელი პაპის იოანე-პავლე მეორისა და კარდინალ იოანე ვილენბრანდსის სადიდებელ-სავედრებელი და მისასალმებელ სიტყვებში ეკლესიათა გაერთიანების რწმენა და იმედები გამოითქვა. საქართველოს მართლმადიდებელმა მწყემსმთავარმა ბრძანა: „ჩვე-

ნი გული აღვსილია სიხარულითა და მადლიერებით ღვთისადმი. დღეს ერთად აღვავლენთ ლოცვას ორი უძველესი ეკლესიის წარმომადგენელნი: რომის კათოლიკური და საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის მკვიდრნი. ჩვენ ბევრი რამ გვაერთიანებს. ჩვენ გვაერთიანებს ერთი უფალი ჩვენი იესო ქრისტე, ერთი რწმენა, ერთი სიყვარული. ამ რწმენაზე და სიყვარულზე იყო დაფუძნებული ჩვენი ურთიერთობა წარსულში, ამასვე დავეყრდნობით მომავალში... დღეს ჩვენ გვაერთიანებს იმედი, რომ ნამდვილად დადგება დრო ნეტარი და რეალური ერთიანობისა... ეს არის მისტიკური ერთობა, რომელიც მომავალი ეკლესიური ურთიერთობის საწინდარია... იხსნება დიდი ასპარეზი თანამშრომლობისა... ღმერთმა დალოცოს რომის კათოლიკური ეკლესია და მისი მამათმთავარი“ („ჯვარი ვაზისა“, 1979, №1, გვ. 10).

ამ ვიზიტიდან ერთი წლის შემდეგ, 1980 წლის 5-8 ივნისს, ვატიკანს სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქი ილია მეორე ეწვია თანმხლებ პირებთან ერთად. იქ მან კვლავ დაადასტურა სურვილი მართლმადიდებელი ეკლესიის რომის კათოლიკურ ეკლესიასთან ევქარისტიული კავშირის აღდგენისა. ეს სურვილი რომ გულწრფელი სურვილი იყო, ამის ნიშანია, ერთი მხრივ, სიტყვა, რომელიც ამავე პატრიარქმა იქვე, პაპთან აუდენციის დროს, წარმოთქვა და, მეორე მხრივ, პანაშვიდი, რომელიც მან ცნობილი ქართველი მეცნიერის, რომში მოღვაწე კათოლიკე მღვდლის მიხეილ (მიქელ) თარხნიშვილის საფლავზე გადაიხადა და, მაშასადამე, კათოლიკე ბერის სულის ცხონებისათვის ილოცა. ეკლესიათა შორის ჩატეხილი ხიდის გამრთელების სურვილითა და რწმენითაა გამსჭვალული უწმინდესის მიერ ვატიკანში წარმოთქმუ-

ლი სიტყვები: „ჩვენ უდიდეს მნიშვნელობას ვანიჭებთ ჩვენს ვიზიტს... ქალაქში, სადაც წმიდა მოციქულის პეტრეს ტახტია, ჩვენ ჩამოვსულვართ, რათა აღვადგინოთ ის უძველესი, ძმური და ორმხრივ ტრადიციული ურთიერთობა, რომელიც ჩვენს ორ ეკლესიას შორის არსებობდა... გვჯერა, რომ უფალი თავისი ყოვლისშემძლეობით მოგვცემს შესაძლებლობას, აღვადგინოთ სასურველი, დაკარგული კავშირი... წარმოვთქვამთ რა ლოცვებს რომის კათოლიკური ეკლესიის საკეთილდღეოდ“ („ჯვარი ვაზისა“, 1980, №1, გვ. 15–17).

ვის მოუბრუნდება ენა, რომ თქვას: მართლმადიდებელი პირველიერარქის ეს სიმპათია, გამოვლენილი რომის კათოლიკური ეკლესიის მისამართით, არის დიპლომატიური ნიღაბი და მეტი არაფერი!? გვაქვს საფუძველი ვამტკიცოთ, რომ ამ შემთხვევაში საქმე გააზრებულ და გულწრფელ პოზიციასთან გვაქვს. ეს პოზიცია მან არა მარტო საზღვარგარეთ, ანდა ოფიციალური შეხვედრების დროს, არამედ სამშობლოშიც, თანამოქალაქეების წინაშეც, არაერთგზის გააცხადა. საკმარისია გავიხსენოთ მისი მოგზაურობა მესხეთში 1988 წლის 8–15 ივლისს. ამ დროს მან არა მარტო მართლმადიდებლური, არამედ კათოლიკური ეკლესიებიც მოილოცა და ამ ორი აღმსარებლობის მიმდევრებს საერთო ლოცვებისაკენ მოუწოდა. აი, რა იქადაგა მან სოფელ ვალეს კათოლიკურ ეკლესიაში 9 ივლისს: „ჩვენ ყველანი [მართლმადიდებლები და კათოლიკეები] ერთნი ვართ. გვწამს ერთი მამა, ძე და სულიწმიდა... რამდენიმე წლის წინ რომში შევხვდი რომის პაპს, იოანე-პავლე II-ს, და ჩვენ შევთანხმდით, რომ ერთმანეთისათვის ვილოცებდით, და თუ ჩვენ შეგვიძლია ერთმანეთისათვის ლოცვა, თქვენც უნდა შეგეძლოთ. თქვენ ყველანი ქართველები ხართ და ქრისტიანები....

მე შემიძლია გამოგიგზავნოთ ისეთი მღვდელი, რომელიც თანაბარი სიყვარულით ილოცებს თქვენთან ერთად როგორც მართლმადიდებლურ, ასევე კათოლიკურ ტაძარში“ („ჯვარი ვაზისა“, 1988, № 4, გვ. 27-29). იმის თაობაზე, რომ მართლმადიდებლურ და კათოლიკურ ეკლესიებს შორის არსობრივი განსხვავება არ არსებობს, პატრიარქმა ილიამ ისაუბრა სოფლებში უდე და არალი და კათოლიკური ტრადიციის ხალხს ასე მიმართა: „ნუ დაგავიწყდებათ, რომ ჩვენ ერთნი ვართ და გვწამს სამება — მამა, ძე და სულიწმიდა. და თუ მაინც მოხდა რომსა და ბიზანტიას შორის განხეთქილება XI საუკუნეში, ეს უფრო პოლიტიკურ ხასიათს ატარებდა და არა დოგმატურ-ღვთისმეტყველურს. თანაც, ამ განხეთქილების მიუხედავად, არ მომხდარა განხეთქილება რომსა და საქართველოს შორის“; „განხეთქილება რომსა და კონსტანტინოპოლს შორის მოხდა პოლიტიკური მიზეზებით და არა რწმენაში განსხვავების გამო. მე ვყოფილვარ რომში, სადაც... ერთად ვლოცულობდით ჩვენ და კათოლიკენი“ (იქვე, გვ. 31, 34, 42).

შეგვიძლია მკაფიოდ და თამამად ვთქვათ: საქართველოში ქრისტეს ეკლესიის ახლო წარსული, რუსული იმპერიალიზმისა და საბჭოური რეჟიმების ეპოქა, აღბეჭდილია მართლმადიდებელთა და კათოლიკეთა ურთიერთგაგებისა და ურთიერთდახმარების ნიშნებით. იმდროინდელი მართლმადიდებელი საერო და სასულიერო პირები ხაზს უსვამენ ასეთი ურთიერთობის სიძველეს და სიმყარეს; იმ ფესვებს, რომელიც საუკუნეთა სიღრმიდან მოდის. ეს რომ ასეა, ადასტურებს საქართველოს ეკლესიის ისტორიის უბადლო მცოდნე აკადემიკოსი კორნელი კეკელიძე. არ იქნება ზედმეტი, ერთხელ კიდევ თუ გავიხსენებთ მის სიტყვებს:

„საქართველოში თავდაპირველად არ იზიარებდნენ საბერძნეთის რიგორისტულ და კონსერვატულ-რიტუალურ შეხედულებას რომაელთა ეკლესიის შესახებ. აქ ბატონობდა მეორე მიმართულება, ლიბერალურ-სპირიტუალური, რომლის მკვეთრად გამომხატველია გიორგი მთაწმიდელი. სწორედ იმ ხანებში, როდესაც საბერძნეთი და რომი ეკლესიურად საბოლოოდ სცილდებოდნენ ერთმანეთს, გიორგი მთაწმინდელს საუბარი ჰქონდა კონსტანტინოპოლში იმპერატორ დუკიწთან საეკლესიო წესებისა და რიტუალის შესახებ. იმპერატორის ერთ-ერთ შეკითხვაზე, რომელსაც მიზნად ჰქონდა რომის ეკლესიის გაკრიტიკება, გიორგიმ უპასუხა: *ბერძენთა შორის მრავალი წვალება შემოვიდა პირველ და მრავალგზის მიდრკეს... ხოლო ჰრომთა ვინადთგან ერთგზის იცნეს ღმერთი, არაოდეს მიდრეკილ არიან და არცაოდეს წვალებად შემოსულ არს მათ შორის... და არარად არს მას შინა განყოფილებად, ოდენ სარწმუნოებად მართალ იყოს*. ბერძნული შეხედულება კათოლიკობის შესახებ ჩვენში მყარდება გაცილებით გვიან, ვიდრე რომისა და საბერძნეთის გაყოფა მოხდა და ისიც თანდათანობით, თან ამ შეხედულებას ისეთი უკიდურესი ხასიათი და გონჯი სახე არ მიუღია, როგორც საბერძნეთში“ (კეკელიძე 1980: 486). გავითვალისწინოთ, რომ ეს სიტყვები ეკუთვნის მკვლევარს, თანაც ყოფილ მართლმადიდებელ დეკანოზს, რომელიც სულაც არ გამოირჩეოდა კათოლიკეთა მოძღვრებისა და ტრადიციისადმი სიმპათიებით (მის ნაწერებში შევხვდებით კრიტიკას ამ მოძღვრებისა და ტრადიციის მიმართ). ასე რომ, მას სუბიექტივიზმსა და ტენდენციურობას ვერ დავწამებთ.

კათალიკოს-პატრიარქი ილია მეორეც, ფაქტობრივად, აკადემიკოს კორნელი კეკელიძის პოზიცი-

ას ავითარებს. ისიც ხაზს უსვამს იმ გარემოებას, რომ საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის შვილები რომის ეკლესიასთან სულიერ (ევქარისტიულ) კავშირს ეკლესიათა დიდი განხეთქილების ანუ დიდი სქიზმის (ე. ი. 1054 წლის 16-20 ივლისის) შემდეგაც ინარჩუნებდნენ. ეს არცაა გასაკვირი, რადგან, იმავე მწყემსმთავრის, ილია II-ის თქმით, ეკლესიათა გაყოფას უფრო პოლიტიკური საფუძველი ჰქონდა, ვიდრე რელიგიურ-დოგმატური და, მაშასადამე, ამ ორ ეკლესიას მხოლოდ არაარსებითი საკითხები განასხვავებს. და თუ ასეა, თუკი სარწმუნოებრივი ხასიათის დაბრკოლებები ფაქტობრივად არ არსებობს, არაფერი არ უნდა გვიშლიდეს ხელს, რომ განვახორციელოთ ჩვენი უფლისა და მაცხოვრის ის ანდერძი, რომელიც ჩამოყალიბებულია მისსავე ვედრებაში მამისადმი: „რათა ყველანი ერთ იყვნენ“ (იოანე 17:20). ესაა იდეალი, მაგრამ ისეთ გარემოში, სადაც ერთი აღმსარებლობის ეკლესია მეორე აღმსარებლობის ეკლესიის შენობებს ისაკუთრებს და მრევლის გადმობირების ჟინს ამჟღავნებს, ამ იდეალის ხორცშესხმა ნაკლებად საიმედოა.

ამის მიუხედავად, ქრისტიანებს არ შეშვენით, რომ იმედი გადაწურონ. იმედის საფუძვლებს კი ვპოულობთ ისეთი სულიერი ავტორიტეტების სიტყვებსა და საქმეებში, რომლებიც ზემოთ მოვიხმეთ და კვლავაც მოვიხმობთ. თუ დავაკვირდებით კათალიკოს-პატრიარქების: წმ. კირიონისა და კალისტრატეს ზემოთ დამოწმებულ სიტყვებსა და ქმედებებს, მივალთ დასკვნამდე, რომ მათი მწყემსმთავრული საფარველის ქვეშ მყოფი მართლმადიდებელი ეკლესიების მხრიდან ანტიკათოლიკურ მოქმედებებს — ტაძარ-ეკლესიების წართმევისა და მრევლის გადმოქაჩვის მცდე-

ლობას — ადგილი არ ჰქონია და არც შეიძლებოდა ჰქონოდა იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ ისინი, მათივე ზემოთ დამოწმებული სიტყვების გამო, კათოლიკეებს მწვალებლებად (ერეტიკოსებად) არ მიიჩნევდნენ. ამავე სულისკვეთებით ხასიათდებოდა კათალიკოს-პატრიარქ ილია II-ის მეუფების პირველი, ე. წ. პერეს-ტროიკამდელი პერიოდი. გასული საუკუნის 80-იანი წლების მიწურულიდან კი ვითარება რადიკალურად შეიცვალა.

რამ განაპირობა ეს ცვლილება? ნუთუ ასე გლობალურად დაუპირისპირდნენ თანამედროვე ქართველები წარსულის მემკვიდრეობას ეკლესიათაშორისი ურთიერთობის სფეროში? რა მოხდა?

რამ გამოიწვია "უკიდურესი ხასიათი და გონჯი სახე"?

საქართველოს ისტორიის აღნიშნული პერიოდი შინაარსობრივად რთული და წინააღმდეგობებით სავსე მოვლენებით აღინიშნება. ამ მონაკვეთის ანალიზი და სრული სურათის წარმოჩენა მიზანმიმართული გამოკვლევის ჩატარებას მოითხოვს. ამჯერად ზოგიერთი ნიშანდობლივი ფაქტის გახსენებით და ვითარების მოკლე მიმოხილვით შემოვიფარგლებით.

პასუხს მოითხოვს კითხვა: რა იყო იმ ეპოქის „დროის ნიშანი" (მათე 16:3)?

1989 წლის ნოემბერში, როდესაც კათოლიკური ეკლესიების მითვისების ზემოთ აღნიშნული პროცესი იწყებოდა, თბილისს რომის უნივერსიტეტის პროფესორი და აღმოსავლური ლიტურგიების ცნობილი სპეციალისტი, კათოლიკე მღვდელი მიხეილ არან-

ცი ეწვია. მას ახალგახსნილ სასულიერო აკადემიაში ლექციების კურსი უნდა წაეკითხა. იმის მიუხედავად, რომ ეს ვიზიტი თავად კათალიკოს-პატრიარქმა ილია მეორემ აკურთხა, აკადემიის მაშინდელმა რექტორმა, პროტოპრესვიტერმა (აწ ეპისკოპოსმა) გიორგი გამრეკელმა, პედაგოგმა არქიმანდ. რაფაელ კარელინმა და მართლმადიდებლობით აგრესიულად მოქადული სტუდენტების ჯგუფმა მას ობსტრუქცია მოუწყვეს და იგი, პირდაპირ რომ ვთქვათ, სასწავლებლიდან გააგდეს. ამ ქმედებას ოთხმა თანამოაზრემ: კონსტანტინე (კოკო) გამსახურდიამ, მიხეილ თურქიამ, ირაკლი კაკაბაძემ და მე, ამ სტრიქონების ავტორმა, „ობსკურანტიზმის გამოვლინება“ ვუწოდეთ და პატრიარქისადმი თანაგრძნობით განმსჭვალული წერილი პრესაში (გაზეთი „ქრისტიან-დემოკრატი“) გამოვაქვეყნეთ. ჩემდა გასაოცრად, აღნიშნული ინციდენტის მიმართ მაშინდელი საზოგადოების აქტიურმა ნაწილმა წარმოუდგენელი გულგრილობა გამოავლინა. მხედველობაში, ცხადია, ის პიროვნებები გვყავს, რომლებსაც თავი საბჭოთა დისიდენტებად მოჰქონდათ და ამბობდნენ, დემოკრატები ვართ და დასავლური ღირებულებები შეთვისებული გვაქვსო. სასწრაფოდ მოიხადა ბოდიში ჩვენმა თანამოსაგრემ — ირაკლი კაკაბაძემ. ჩვენთვის ამ შემთხვევაში საყურადღებო და დამაფიქრებელია ის სიტყვები, რომელიც მან „საქართველოს ქრისტიანულ-დემოკრატიული ახალგაზრდობის ასოციაციის სახელით“ წარმოთქვა: „რასაკვირველია, აღმსარებლობის საკითხში ერის წარმმართველი ძალა ყოველთვის მხოლოდ და მხოლოდ საქართველოს მართლმადიდებლურ ეკლესიას უნდა ჰქონდეს, რომლის სულიერი შვილებიც ჩვენ ყველანი ვართ. ამ საკითხზე ორი აზრი არ არსებობს და არც შეიძლება რომ არსებობდეს. სწორედ მართლმადიდებლობამ მოგვიყვანა

ჩვენ დღემდე და ის გვინათებს მომავალი ცხოვრების გზასაც“ („ქართული ფილმი“, 20.XII, №50). დღეს, ოცდახუთი წლის შემდეგ, ამ სტრიქონებს იმიტომ ვიხსენებ, რომ მივანიშნო: ახალი ტალღა ისეთ ნაციონალიზმს შეიცავდა, რომელიც ეკლესიურად იყო შეფერილი და ეკლესიაში შესაღწევად გამზადებული.

თუ რა იწვევდა საქართველოში ქსენოფობიას, რომელიც ასევე ეკლესიური შეფერილობის იყო და ასევე იკრეფდა ძალას, მიზეზებზე მე და ჩემმა მაშინდელმა ახლობლებმა ბევრი ვიფიქრეთ და მიზეზად ის იდეოლოგია დავასახელეთ, რომელიც ჯერ კიდევ კოლონიური რეჟიმის პირობებში, იმპერიალიზმისა და კომუნიზმის წნეხის ქვეშ, გუბდებოდა, ღვივდებოდა და რომელიც შემდეგ, მოიშალა თუ არა საბჭოთა სისტემა, მეტისმეტად გააქტიურდა. ესაა ეკლესიაში და ეკლესიის სახელით საეკლესიო პრინციპებზე მაღლა ნაციონალური პრინციპების დაყენება. ამ მოვლენის არსებისა და ეკლესიის საერთო მოძღვრებასთან მისი მიმართების გარკვევისათვის აუცილებელია, რომ ყურადღება შემდეგ საკითხზე გავამახვილოთ: ჩვენში ბევრს (და უმრავლესობას) ეკლესიის პოზიცია ჰგონია ის, რასაც კათოლიკე და სამოციქულო ეკლესია ებრძოდა და ებრძვის. ერისა და ეკლესიის ის იდენტიფიკაცია, რომელიც, თუნდაც, ზემო აბზაცში ციტირებული სტრიქონების კითხვის დროს თვალში გვეცემა, სრულიად შეუსაბამოა მართლმადიდებელი ეკლესიის მოძღვრებასთან. აქ საქმე გვაქვს ერისა და ეკლესიის გაიგივებასთან. ეს მოვლენა ერესადაა გამოცხადებული კონსტანტინოპოლის დიდი საეკლესიო კრების მიერ (1872 წ.). მას საკუთარი სახელი აქვს: „ფილეტიზმი“ ანუ მეტომეობა, ე. ი. ტომური ცნობიერება ეკლესიაში. ეს ის მოვლენაა, როდესაც ეკლესიების ორგანიზება ამ პრინციპის შესაბამისად ხდება (პაპუაშვილი 1, 2008: 435–437).

რას ნიშნავს, მაგალითად, „ჩვენ ყველანი“ „საქართველოს მართლმადიდებლური ეკლესიის სულიერი შვილები ვართ“? თუკი პეტრე ამ ეკლესიის „სულიერი შვილია“, პავლე, შესაძლებელია, სხვა ეკლესიის „სულიერი შვილი“ იყოს, ანდა სულაც ათეისტი. ამით მის ქართველობას რამე აკლდება? საქართველოს არამართლმადიდებელი მოქალაქეები ქართველები აღარ არიან? გამოდის, რომ იმ პოზიციის მიხედვით, რომელიც ოცი თუ ოცდახუთი წლის წინ ახალგაზრდა ქრისტიან-დემოკრატმა წარმოგვიდგინა, — აღარ არიან! პირდაპირ ვიტყვით: ეს ისეთი მსოფლმხედველობაა, რომელიც ეწინააღმდეგება და აზიანებს როგორც ეკლესიის, ისე ერის, ქვეყნისა და სახელმწიფოს ინტერესებს. აი, რა სიტყვებით გაგვაფრთხილა ამის თაობაზე ჩვენმა დიდმა საეკლესიო მოღვაწემ, წმ. კათალიკოს-პატრიარქმა ამბროსი ხელაიამ: „რელიგიური და სახელმწიფოებრივი თვალსაზრისების აღრევა არის ბოროტება და საბედისწერო უგუნურება“. და ის იდეოლოგია, რაზეც ჩვენ ახლა ვსაუბრობთ, სხვა არაფერია, თუ არა რელიგიური და სახელმწიფოებრივი, ამ შემთხვევაში, — ნაციონალური თვალსაზრისების ერთმანეთში აღრევა.

რა მოიტანა ახალმა ტალღამ საქართველოში პოლიტიკური აზროვნების თვალსაზრისით? — ეკლესიისა და სახელმწიფოს ინტერესების ერთმანეთში არევა. ესაა ახირება, — ქართველი ერი და მართლმადიდებელი ეკლესია ერთი და იგივეაო.

შედეგმა არ დააყოვნა: საქართველოში იმ დროს არა ერთი და ორი უარყოფითი მიმართულება გააქტიურდა. მათ შორისაა მართლმადიდებლური ნაციონალიზმი, რომელიც თანდათანობით იკრეფდა ძალას და რომელიც ანტიკათოლიკურ აზროვნებასა და მოქმედებაში გამოიხატა. ამ იდეოლოგიით ატაცებულმა

ადამიანებმა, რომელთა რიცხვი, შეიძლება ითქვას, თვალის დახამხამებაში გახდა *ლეგიონი* (მარკოზი 5:9), დაიწყეს დირექტივების გაცემა ყველგან, სადაც, მათი თვალთახედვით, რაღაც ანტიმართლმადიდებ-ლური ხდებოდა. ასეთი თვალთახედვის არეში უმალ-ვე მოექცნენ ის საეკლესიო ნაგებობები, რომლებიც ხალხში, ერშიც და ბერშიც, კათოლიკურ ეკლესიებ-ად იყვნენ ცნობილი, მაგრამ იმხანად გადაკეთებული იყვნენ კლუბებად, საწყობებად და ა. შ. მათ, ახალი დროის აქტივისტებმა, სასწრაფოდ დაიკავეს ეს შენო-ბები, კერძოდ: უდეს, ივლიტის, ბათუმის, ქუთაისისა და გორის კათოლიკური ეკლესიები და ისინი, მიმდება-რე ნაგებობებითურთ, მართლმადიდებელი ეკლესიის საკუთრებად გამოაცხადეს. კი, გამოაცხადეს, მაგრამ მკვიდრი მოსახლეობის აზროვნებასა და მეტყველე-ბას რას მოუხერხებდნენ? მხედველობაში გვაქვს აზ-როვნებისა და მეტყველების ის მექანიზმი, რომლის თაობაზეც უკვე ვისაუბრეთ. სამართლისა და ჭეშმა-რიტების უზენაესობა მოითხოვს, ამ საგანს დავუბრუნ-დეთ და ვთქვათ: ბათუმის, ქუთაისის, გორის, უდესა და ივლიტის სადავოდ ქცეული ტაძრების კათოლიკუ-რი წარმომავლობა ასახულია როგორც წერილობით წყაროებსა და ზეპირსიტყვიერებაში, ისე საქართვე-ლოს დღევანდელი მოსახლეობის ცნობიერებასა და ენაშიც, მეხსიერებასა და ტოპონიმიკაში, — ხალხის მიერ შენობათა და მათ შემოგარენთა სახელდებასა და დახასიათებაში: *კათოლიკების (პარალელურად — ფრანგების) ეკლესია, კათოლიკების ქუჩა, კათოლიკე-ბის უბანი, კათოლიკური სოფელი.* ქუთაისში, მაგალი-თად, ჯაჭვისხიდზე რომ დადგეთ, თითი გამორჩეული ჯვარგუმბათოვანი ნაგებობისა და კვიპაროსებით გამ-შვენებული ადგილისაკენ გაიშვიროთ და იკითხოთ: ეს რა შენობა და რა უბანია? გეტყვიან (დღესაც კი): *კა-*

თოლიკების ეკლესია და *კათოლიკების უბანი*! არ გვეგულება მკვიდრი ქუთაისელი, ეს რომ არ იცოდეს. ასეთივე ვითარებაა იმ ქალაქებსა თუ სოფლებში, სადაც ჩამოთვლილი ეკლესიები მდებარეობს. ამის მიუხედავად ეს ეკლესიები მართლმადიდებლებმა მიითვისეს და დღემდე არასგზით არ თმობენ.

ანალოგიური საფრთხის წინაშე აღმოჩნდა თბილისის ღვთისმშობლის მიძინების კათოლიკური ტაძარი. ესაა მეორე კათოლიკური ეკლესია თბილისში, რომლის მრევლს ძირითადად ქართველი კათოლიკეები შეადგენდნენ და რომელსაც ბევრი კეთილი საქმე უკავშირდება ეროვნული კულტურის თვალსაზრისით. მარტო იმ ფაქტის გახსენება რად ღირს, რომ იქ ორღანზე წლების განმავლობაში უკრავდა ზაქარია ფალიაშვილი. სწორედ ამ ეკლესიაზეა ლაპარაკი იმ კორესპონდენციაში, რომელიც კათოლიკეთა ყრილობაზე მოგვითხრობს და რომელზეც უკვე ვისაუბრეთ. აი, ამ ტაძრის, საბჭოთა პერიოდში კულტურის სახლად ქცეულის, ისტორიული მესაკუთრისათვის დაბრუნებას ათწლიანი დავიდარაბა დასჭირდა. მერია, რომლის ხელშიც იყო ეს შენობა, ანგარიშს უწევდა საპატრიარქოს, რომელიც კათოლიკეების იქ შეშვებაზე უარს ამბობდა. საკითხი მხოლოდ საერთაშორისო ორგანიზაციების საქმეში ჩარევის შემდეგ გადაწყდა და მიძინების კათოლიკური ეკლესია კათოლიკეებს დაუბრუნდა. მაგრამ ეს არის და ეს. ყველა სხვა ზემოთ ჩამოთვლილი კათოლიკური ეკლესია კვლავ მართლმადიდებელთა განმგებლობაშია.

უფლებებისა და სამართლიანობისათვის ბრძოლა

კათოლიკეებმა, ცხადია, თავი დაჩაგრულებად იგრძნეს და სამართალს მიმართეს, მაგრამ საქართველოს მართლმსაჯულებამ მათი არც ერთი სარჩელი არ დააკმაყოფილა. საერო და სასულიერო ზედაფენის წარმომადგენლები მათ დღესაც დაახლოებით იმას ეუბნებიან, რასაც ისინი ხელისუფლების მაღალი ეშელონებისაგან 20-25 წლის წინათ ისმენდნენ: „კათოლიკობა საქართველოში ხელს უშლის საქართველოს სულიერ მთლიანობას. ადრე კათოლიკეებს ფრანგებს გეძახდნენ. დღეს მოგმართავთ როგორც ქართველებს: დედა-სიონში იარეთ!“ (კოლექტიური წერილი „არა ინდომო შენი თვისტომის სახლი“. — „თბილისი“, 1992, 26.VIII, № 92, გვ. 3).

ასე რომ, დღეს (2013 წელს) კვლავ ვართ იძულებული, ვილაპარაკოთ ჩვენი ქვეყნის იმ წყლულსა და სირცხვილზე, რასაც ჩვენი თანამემამულეების მიერ ერთ-ერთი საუფლო მცნების დარღვევა გვგვრის: *არა გული გითქმიდეს სახლისათვის მოყვასისა შენისა!* ვიმეორებთ: ჩვენ ვლაპარაკობთ კათოლიკეთა იმ ეკლესიებზე, რომლებიც გასული საუკუნის 20-იან წლებში ათეისტური რეჟიმისაგან იქნენ მიტაცებულნი და რომელთა დაბრუნების (რესტიტუციის) შანსი 1988-1989 წლებიდან გაჩნდა. მაგრამ რა ვნახეთ? ნანატრი ვითარებით მხოლოდ საქართველოს მართლმადიდებელმა ეკლესიამ ისარგებლა. მეტიც: მართლმადიდებლებს ის დაკეტილი ან არადანიშნულებისამებრ გადაკეთებული ეკლესიებიც გადაეცა, რომლებიც ადრე (დაკეტვამდე და გადაკეთებამდე) მართლმადიდებლებს არ ეკუთვნოდა და არც აღმოსავლური (ბერძნული) წესის

ღვთისმსახურებისათვის იყო განკუთვნილი, რაზეც ამ ეკლესიების გარე და შიდა არქიტექტურა მეტყველებს. აღნიშნულ პროცესს იმდროინდელი ხელისუფლება ემორჩილებოდა (შესაძლებელია, დიდი თავმოწონებითაც) და დასტურს აძლევდა.

აი, ასეთი იდეოლოგიური და ინტელექტუალური გარემოს დანერგვის შედეგად მოხდა ზემოთ დასახელებული ნაგებობებისა და მათი კარმიდამოების მართლმადიდებლებისათვის გადაცემა. ამასთანავე: ეს გადაცემა მოხდა ისე და იმგვარად, რომ აღნიშნული ეკლესიების კათოლიკური წარმომავლობა ეჭვქვეშ არავის დაუყენებია; არავის უგრძვნია იმის საჭიროება, რომ აეხსნა და განემარტა, თუ რის საფუძველზე გადაეცემოდა მართლმადიდებლებს კათოლიკურად ცნობილი ეკლესიები; არავის უთქვამს, რომ ამ ეკლესიების კათოლიკურობის შესახებ საზოგადოების ძვალსა და რბილში გამჯდარი აზრი უსაფუძვლოა, ხოლო სხვადასხვა ჟანრის ლიტერატურაში ასეთი კუთვნილების მაუწყებელი ცნობები — ყალბი, კოლექტიური მეხსიერება კი — არასწორი და შემთხვევითი. ასევე არავის გასჩენია სურვილი, შეესწავლა და გაერკვია: მითითებულ ქალაქებსა და სოფლებში კიდევ ცხოვრობენ თუ არა კათოლიკეები? კათოლიკობა საქართველოში არქეოლიგიური ცნებაა თუ ცოცხალი და ქმედითი ფაქტი? ვიმეორებთ: არც 1988-1989 წლებში, როდესაც კათოლიკური ეკლესიების მართლმადიდებლების ხელში გადასვლა დაიწყო, და (მით უმეტეს) არც მანამდე მსგავსი შეკითხვები არ დასმულა; არავის უცდია გაებათილებინა ამ ეკლესიების კათოლიკურობის მაუწყებელი ისტორიული ცნობები. ამის შესახებ არც არაფერი დაწერილა და არც არაფერი წარმოთქმულა.

ერთი რამ უეჭველია: მსგავს აქციებს — სხვა აღმსარებლობის ტაძართა მითვისებისა და მათი არქიტექტურული სახის შეცვლის შემთხვევებს — მაშინდელი საზოგადოების დიდი ნაწილი გულგრილად შეხვდა. ეს ნაწილი თავს უკვე მართლმადიდებლად თვლიდა. ცალკე საკითხია: მართლა მართლმადიდებლები იყვნენ (და არიან) ისინი თუ მართლმადიდებლობის დამჩემებლები? არადა, ზნეობისა და მორალის ელემენტარულ პრინციპს თუ მოვუხმობთ, პროტესტი პირველ რიგში მორწმუნე მართლმადიდებლებს, ერსაც და ბერსაც, უნდა გამოეხატათ; უნდა ეთქვათ ხმამაღლა და ყველას გასაგონად: ჩვენ არ მოგვწონს და აღშფოთებული ვართ იმის გამო, რასაც ოკუპანტები და სეპარატისტები სჩადიან ქართული საეკლესიო კულტურის ძეგლების მიმართ, მაგრამ თვალს ვხუჭავთ, როდესაც ჩვენივე თანამორწმუნეები ჩვენივე თანამოქალაქე კათოლიკეების წარსულის მემკვიდრეობას, ტაძრების სახით წარმოდგენილს, ჩვენს გვერდით თვითნებურად ასხვაფერებენ. სწორედ მათ უნდა შეეხსენებინათ იმდროინდელი პოლიტიკურ-რელიგიური აქტივისტებისათვის უძველესი სიბრძნე და შეგონება: *ნუ გავაკეთებთ, რაც არ გვინდა, გაგვიკეთონ ჩვენ!*

„მიზეზებად მიზეზთა ცოდვისათა“ (ფს. 140:4)

ზემოთ დასმულ კითხვებზე პასუხების მოძებნა მხოლოდ მას შემდეგ დაიწყო, რაც საქართველოს კათოლიკურმა მოსახლეობამ შელახული უფლებების დასაცავად ხმა ამოიღო და პროტესტი პრესაშიც გააჟღერა. სოლიდარობას ყველაზე მკაფიოდ რუსთაველის საზოგადოება და მისი თავმჯდომარე აკაკი ბაქ-

რაძე გამოხატავდა (იხ. კოლექტიური წერილი „გულ-გრილობა არ გვეკადრება“. — „მამული“, 1990, VI, №12). საპროტესტო ტალღას (სუსტად გამოკვეთილს) რამ-დენიმე არასამთავრობო ორგანიზაციაც შეუერთდა და საჯაროდ დაიწყო ლაპარაკი: მართლა იჩაგრები-ან თუ არა საქართველოში არამართლმადიდებლები, კერძოდ კათოლიკეები, მართლმადიდებლებისაგან?

ამის გამო მართლმადიდებელი ეკლესიის მეს-ვეურები დილემის წინაშე აღმოჩნდნენ: ან უნდა (1) ეღიარებინათ თავიანთი არასამართლებრივი ყოფნა კათოლიკური წარსულის ტაძარ-ეკლესიებში და ამის გამო უარი უნდა ეთქვათ იმაზე, რაც მათ ახალი დრო-ებისა და გარემოებისაგან მოიპოვეს, ანდა (2) ამ შე-ნობა-ნაგებობის კათოლიკური წარმომავლობა ეჭვის ქვეშ დაეყენებინათ და ეთქვათ: ჩვენი აქ ყოფნა კანო-ნიერია და ამით ჩვენ ისტორიული სამართლიანობა აღვადგინეთო. მათ უპირატესობა მეორე გზას მიან-იჭეს: დაიწყეს ლაპარაკი, რომ ეს შენობა-ნაგებობები კათოლიკეებმა თავის დროს უკანონოდ მიისაკუთრეს და თვითნებურად გადააკეთეს.

ასეთი განცხადებები, როგორც წესი, დასაბუთებას და ამ პროცესში სპეციალისტების ჩართვას მოითხოვ-და. და, აი, გამოჩნდნენ პიროვნებები, მკვლევარ-ის-ტორიკოსებად ცნობილნი, რომლებიც შეეცადნენ გაემ-ართლებინათ კათოლიკური ეკლესიების მართლმადი-დებლებისათვის გადაცემის ფაქტი და მათ ისეთი სურა-თის წარმოსახვა დაისახეს მიზნად, თითქოს ამ ფაქტის მეშვეობით ისტორიული სამართლიანობა აღდგა. ჩვენ-თვის ცნობილია სამი ასეთი მცდელობა. პირველი შეეხ-ება სოფელ ივლიტის კათოლიკურ ეკლესიას (ახალცი-ხის რაიონი), მეორე — ქუთაისის კათოლიკურ ეკლესი-ას, მესამე — გორის კათოლიკურ ეკლესიას. პირველის ავტორია პროფ. თინა იველაშვილი, მეორისა — პროფ.

გურამ გაბუნია, მესამის — პროფ. ქეთევან პავლიაშვილი. მათგან პირველი და მეორე ავტორის პუბლიკაციებს უკვე გავეცით პასუხი (პირველს მღვდელ გაბრიელე ბრაგანტინთან ერთად, მეორეს — პროფ. ზურაბ კიკნაძესთან ერთად) (ბრაგანტინი, პაპუაშვილი 2008; კიკნაძე, პაპუაშვილი 2009). ჩვენ ერთსაც და მეორესაც დავუსვით კითხვა: რის საფუძველზე აცხადებთ თქვენ, ისტორიის დოქტორები და პროფესორები, რომ ივლიტისა და ქუთაისის კათოლიკური ეკლესიები ადრე მართლმადიდებლური ეკლესიები იყო და კათოლიკეებმა ისინი უკანონოდ და თვითნებურად მიითვისეს? პასუხი ვერ მივიღეთ. ამიტომ დღესაც ვამბობთ იმას, რაც მაშინ ვთქვით და თანაც ვაზოგადებთ: ვიდრე ესა თუ ის პიროვნება, რომელიც თავის თავს მკვლევრად და მეცნიერად მიიჩნევს, არ წარმოადგენს საბუთს და არ დაასახელებს წყაროს, რომელსაც შეუძლია დაადასტუროს საფუძვლიანობა მისი გამონათქვამისა „მართლმადიდებლური ეკლესიების კათოლიკურად გადაკეთების“ შესახებ, ეს გამონათქვამი აზრს მოკლებულ გამონათქვამად დარჩება.

ანალოგიური პრობლემის წინაშე დგას გორის ის მართლმადიდებელი ეკლესია, რომელიც ღვთისმსახურებას კათოლიკური ეკლესიის შენობაში ასრულებს და ამ ეკლესიის კარმიდამოც დაკავებული აქვს (იქ დღეს ადგილობრივი ეპარქიის კათედრაა განთავსებული). და, აი, მესამე ანალოგიური მცდელობა მოცემულია პროფ. ქეთევან პავლიაშვილის სტატიაში: „ფრაგმენტები გორის კათოლიკური ეკლესიის ისტორიიდან“ (პავლიაშვილი 2005), რომელსაც ქვემოთ, გარკვეული ისტორიული ექსკურსისა და წიაღსვლის შემდეგ, განვიხილავთ.

გორის კათოლიკური ეკლესიის წარსულიდან

საბუთები ამ ეკლესიის ძველი (XIX საუკუნემდელი) პერიოდის შესახებ (მისიონერთა ჩანაწერები და ადგილობრივი დოკუმენტები) თავმოყრილია მიხეილ თამარაშვილის მონოგრაფიაში „ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის“ (თამარაშვილი 1902). სხვა ცნობები, რაც შემდგომ გამოვლინდა, და გამოკვლევები, რაც ამ სიახლეებს მიეძღვნა, გათვალისწინებულია ელდარ მამისთვალიშვილის ნაშრომში „კათოლიკობა გორში“ (მამისთვალიშვილი 1994: 304-336, 379-382). ქვემოწარმოდგენილი მიმოხილვაც მეტწილად აღნიშნულ პუბლიკაციებს ეფუძნება. აღსანიშნავია ისიც, რომ გორის კათოლიკური ეკლესიის, ისე როგორც საქართველოს სხვა კათოლიკური ეკლესიების, წარსულმა და თანამედროვე პრობლემატიკამ ასახვა არა მარტო ქართულენოვან, არამედ უცხოენოვან ლიტერატურაშიც ჰპოვა. მხედველობაში გვაქვს პოლონელი ავტორის ტიმონ ტიტუს ხმიელეცკის მონოგრაფია XIX-XX საუკუნეების საქართველოში კათოლიკური ეკლესიების შესახებ, რომელშიც გორის კათოლიკური ეკლესიის ამბებს დიდი ადგილი აქვს დათმობილი (Chmielecki 1998:389).

გორის კათოლიკური ეკლესიის ისტორია, ისე როგორც ნებისმიერი ადგილობრივი ეკლესიის ისტორია, იწყება იმ დღიდან, რა დღესაც ამ ქალაქში კათოლიკეთა თუნდაც სამკაციანი თემი აღმოცენდა. იმის მიუხედავად, რომ საქართველოში კათოლიკური სარწმუნოებისა და კათოლიკური ეკლესიის ისტორიის ძირითადი საკითხები შესწავლილია, დაბეჯითებით ვერავინ იტყვის, როდის აღმოცენდა და შეიქმნა გორ-

ში პირველად ასეთი თემი ანუ დაარსდა კათოლიკური ეკლესია. სხვანაირად რომ ვთქვათ, არავინ იცის, კონკრეტულად როდის და რა ვითარებაში ჩამოყალიბდა გორში პირველად კათოლიკეთა საზოგადოება, ე. ი. შეიქმნა კათოლიკური ეკლესია ამ სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობით. ასე რომ, აღნიშნული ეკლესიის დასაძირკვლების თარიღი და გარემოებანი ცნობილი არაა.

იმ მასალის მიხედვით, რომელიც მკვლევრებისათვის ხელმისაწვდომია და რაც ასახულია სამეცნიერო შრომებში, გორის კათოლიკური ეკლესიის ისტორია XV ს-იდან უნდა დავიწყოთ. დოკუმენტურ მასალას ჩვენამდე არ მოუღწევია, მაგრამ ასეთი მასალა თურმე XIX ს-ის დასაწყისში არსებობდა; ინახებოდა გორში და ის უნახავს რუსეთის არმიის პოლკოვნიკს როტიე ბელგიელს, რომელიც მოხსენებაში „ქრისტიანული რელიგიის შესახებ საქართველოში“ ლაპარაკობს ასეთი დოკუმენტების არსებობაზე, ქალაქ გორის მკვიდრთა მეხსიერებაზე კათოლიკური წარსულის შესახებ, ერთ კათოლიკურ ტოპონიმსა და ერთ საყურადღებო რელიგიურ-ეთნოგრაფიულ წესზე. როტიე გვაუწყებს: კათოლიკეებს გორში „აქვთ მეთხუთმეტე საუკუნის საბუთები [კათოლიკე მისიონერებისაგან] სახლების ნასყიდობისა. სხვათა შორის შესანიშნავია ისიც, რომ ტფილისის ქუჩას უწინ ფრანგების ქუჩა რქმევია. იქ დღესაც ვხედავთ ერთის წისქვილის ახლოს ნანგრევებსა, რომელთა შორის მოიპოვება ერთი დიდი ქვა, რაზედაც იქაური მცხოვრებნი სანთელს ანთებენ და ლოცულობენ, როდესაც მათ აცივ-აცხელებსთ. ამბობენ, რომ იმ ადგილს აშენებული იყო კათოლიკეების ეკლესიაო, რომელშიაც იყვნენ გენუელი (ჯენუელი) პატრები და რომელიც ოსმალებმა მთლათ

გაანადგურესო“ (თამარაშვილი 1902:70).

აქ, სხვა საინტერესო ინფორმაციასთან ერთად, აღსანიშნავია ცნობა, რომლის თანახმად გორის ერთ-ერთ ქუჩას წინათ, საქართველოს რუსეთთან შეერთებამდე, ფრანგების ქუჩა ერქვა და მას სახელი რუსების შემოსვლის შემდეგ შეეცვალა, სავარაუდოდ, რუსებისავე მონდომებით, — თბილისის ქუჩა დაარქვესო. ამ ქუჩაზე მდგარა კათოლიკური ეკლესია, რომელიც ოსმალებს დაუნგრევიათ და რომლისგანაც ერთი დიდი ქვა დარჩენილა. ის იმ დროს, XIX საუკუნის დასაწყისში, საკულტო საგნის დანიშნულებას ასრულებდა. „გენუელი პატრები“ ან დომინიკანელები, ან კაპუჩინელები უნდა ყოფილიყვნენ. ამასთანავე ირკვევა (მეცნიერულად), რომ როტიეს ცნობები, მათ შორის გორში ფრანგთა ქუჩის არსებობის თაობაზე, სინამდვილეს შეესაბამება. იგი ემთხვეოდა დღევანდელი რუსთაველის ქუჩის საწყის მონაკვეთს (მამისთვალიშვილი 1994:304), რაც უტყუარი ნიშანია XIX ს-მდელ გორში კათოლიკური ეკლესიის არსებობისა (სხვა საკითხია და არაარსებითი, ეს ეკლესია როგორი ნაგებობა იყო: ჩვეულებრივი საცხოვრებელი სახლი, გუმბათოვანი, ბაზილიკური თუ სხვა).

ამ ეკლესიის სულიერი და მატერიალური აღმავლობა დაკავშირებულია წმ. ქეთევან დედოფლისა და მისი შვილის, მეფე თეიმურაზ I-ის სახელთან. გავიხსენოთ და გავითვალისწინოთ წმინდა მოწამე ქეთევანის სიყვარული და პატივისცემა კათოლიკური ეკლესიის მიმართ, რაც მან მოწამებრივ გზაზე არაერთგზის დაადასტურა. ეს ცნობილია როგორც ევროპულ-კათოლიკური, ისე ქართულ-მართლმადიდებლური წყაროების მიხედვით.

წმ. ქეთევანი შაჰ-აბასმა პოლიტიკური მოტივით

დაატყვევა და 1614 წელს ირანში, შირაზში, გადაასახ-
ლა. იქ მის თანმხლებ მღვდელს, მართლმადიდებელს,
ისლამზე გადასვლა მოსთხოვეს. მღვდელმა ვერ გა-
უძლო განსაცდელს და ქრისტეს სარწმუნოება უარყო.
დედოფალი თანამორწმუნე ხუცესის გარეშე დარჩა.
ამის გამო მან სულიერი ნუგეშისათვის კათოლიკე მი-
სიონერებს, ავგუსტინელ ბერებს, მიმართა. როდესაც
მას ულტიმატუმი წაუყენეს, ან გამოიცვალე რჯული,
ან კოცონისა და შანთებისათვის მოემზადეო, კახე-
თის დედოფალმა განსასვენებელი ზიარება კათოლი-
კე მღვდლის ხელით მიიღო. შემონახულია ჩანახატი
წარწერით: „ქეთევან დედოფალი მამა ამბროზიო
დუშ ანჯუშისთან აღსარებაზე“. ქართული წყაროებიც
ადასტურებს: 1624 წლის 22 სექტემბერს ქალაქ შირაზ-
ში ტანჯვა-წამებით აღსრულებული დედოფლის გვამი,
რომელიც გაუპატიოსნებლად იყო მიწაში შთაფლუ-
ლი, „ფრანგმა მღვდლებმა“ მოიპარეს და „წარიღეს
ფრიადითა კრძალულებითა და ლუსკუმაი შეუმზადეს
მას ფრიად კეთილი სურნელთა თანა მრავალთა და
დაასხნეს საკურთხეველსა ზედა“, სადაც მან, წმ. გვამ-
მა, საწაულები აღასრულა. ამის შემდეგ ავგუსტინელმა
ბერებმა წმიდა ცხედარი დაანაწილეს; თავი და მარ-
ჯვენა ფეხი საქართველოში წამოაბრძანეს, რათა მი-
ერთმიათ მისი შვილისათვის, ქართლ-კახეთის მეფე
თეიმურაზისათვის, რომელიც იმ დროს, 1628 წელს,
გორში იმყოფებოდა. მათ წმიდა ნაწილები იქ ჩაას-
ვენეს და იმა წლის 12 მაისს მოწამის ძეს, თეიმურაზს,
რიდით და კრძალვით გადასცეს. ეს ცერემონიალი კი
ასე შედგა: პატრებმა (კათოლიკე მღვდლებმა) — ამ-
ბროზიო დუშ ანჯუშმა და პედრო დუშ სანტოშმა — ჩას-
ვლიდან მეორე დღეს საზეიმო წირვა აღასრულეს,
რომელსაც მეფე და დედოფალი დაესწრნენ. წირვის

შემდეგ გახსნეს ყუთი, საიდანაც დედოფლის განუხ-
რწნელი ნაწილები ამოასვენეს. მეფემ ჰკითხა სტუმ-
რებს, რას ისურვებდნენ მისგან სანაცვლოდ. მათ მო-
ითხოვეს ამავე ქალაქში ადგილის გამოყოფა, სადაც
ეკლესიას და საცხოვრებელ სახლს ააშენებდნენ. მეფე
სიამოვნებით დათანხმდა და პატრებს ის ადგილი უბ-
ოძა, რომელიც თვითონ აირჩიეს. მათ მიიღეს აგრეთ-
ვე რამდენიმე სოფელი და ყმა.

გამოხდა ხანი და მისიონერებმა სათანადო სახ-
სარი იშოვეს, რათა აეშენებინათ ეკლესია სახლებითა
და სათავსებით. მათ მონასტერიც დააფუძნეს. და ეს
ყველაფერი მართლმადიდებელი მეფისა და კათალი-
კოს-პატრიარქის, ზაქარიას, თანხმობით მოხდა. ისინი
ხშირად ხვდებოდნენ და ესაუბრებოდნენ კათოლიკე
მისიონერებს, ლოცულობდნენ მათთან და წყალობას
არ აკლებდნენ. აი, თეიმურაზ მეფის წერილი რომის
პაპს: „ერთი წელიწადია, რაც ისპაჰანიდან წმიდა ავ-
გუსტინეს წესის ყოვლად პატივცემულმა მამა ამბრო-
ზიომ მოგვიტანა [ჩემი დედის] გვამის ნაწილები. ამ სი-
კეთისათვის ჩვენც უხვად დავასაჩუქრეთ იგი: მივეცით
მამული, რათა საცხოვრებლად საკმაო შემოსავალი
ჰქონდეს, აგრეთვე ვუბოძეთ ადგილი, რათა შესაფე-
რი ეკლესია აიშენოს და, როგორც სასუფევლის სავა-
ნეში, მუდამ ილოცოს ჩვენთვის“ (მამისთვალიშვილი
1994:306-307). უფრო საყურადღებოა მეორე იმდრო-
ინდელი მისიონერის, დონ პიეტრო ავიტაბილეს, ინ-
ფორმაცია: მეფემ და პატრიარქმა „ნება მოგვცეს აგ-
ვეგო ეკლესია, დაგვეყენებინა წირვა და გვექადაგა
ისე, როგორც ჩვენ ამის ნებართვა გვაქვს იტალიაში.
მათვე მიგვიწვიეს ჩვენ დავსწრებოდით მათ წირვას,
სადაც არ უშვებენ სომხებს, რომლებსაც ისინი სქიზმის
მიმდევრად თვლიან, და კმაყოფილება გამოთქვეს იმ-

ის გამო, რომ ქართველები დაესწრებიან ჩვენს წირვას“ (ტაბაღუა 1987:88).

მართალია, წმ. ქეთევანის წმ. ნაწილთა შესახებ დამოწმებულ წყაროებში არაფერია ნათქვამი იმის თაობაზე, XVII ს-ის 20-იან წლებში, ხსენებული მისიონერების მოსვლის დროს, გორის ტერიტორიაზე მოქმედებდა თუ არა კათოლიკური ეკლესია, ე. ი. ცხოვრობდნენ თუ არა იქ კათოლიკეები, მაგრამ თუ გავითვალისწინებთ იმ სიტყვებს, რომელიც ზემოთ ხსენებულ როტიე ბელგიელს ეკუთვნის და რომელსაც გორში, ჩანს, საგანგებო კვლევითი საქმიანობა უწარმოებია, უნდა ვიფიქროთ, რომ ამ ქალაქში კათოლიკეები მითითებულ ეპოქაშიც (XVII ს-ის დასაწყისშიც) ცხოვრობდნენ. თუმცა, შესაძლებელია, მათ სასულიერო პირი აღარ ჰყავდათ. როტიე გარკვევით წერს: „ბევრ გზის და დიდის ხნობით“ ქართველი კათოლიკეები იყვნენ „მოკლებული თავიანთ მწყემსებს და იმ მცირე რიცხვმა კათოლიკეთა, რომელნიც ლათინის ეკკლესიის მორწმუნედ დარჩნენ, სარწმუნოებაში შეურყევლად გასძლეს თავიანთისავე ერის კაცთა წვრთნა-დარიგების მეოხებით; იმათ თავიანთი სარწმუნოება ამნაირი საშუალებით დაიცვეს ზოგჯერ მრთელის ერთი საუკუნის განმავლობაში, ისე, რომ თავიანთ კათოლიკე მოძღვართ ერთსაც ვერ ნახავდენ ხოლმე, რომელთაც შესძლებოდათ მათი განმტკიცება სარწმუნოებაში“. მოკლედ რომ ვთქვათ, მომხდარა ისეც, რომ კათოლიკეებს გორში დიდი ხნის განმავლობაში მღვდლის გარეშე უცხოვრიათ, მაგრამ სარწმუნოება და წეს-ჩვეულებები მაინც შეუნარჩუნებიათ. და მართლაც: ძნელი წარმოსადგენია, ორ კათოლიკე ბერს აეშენებინა მასშტაბური ეკლესია-ტაძარი და თანაც ისეთი, რომელიც თურმე „ერთ-ერთი

საუკეთესო ნაგებობა იყო მთელ საქართველოში“ (მამისთვალიშვილი 1994: 306), თუკი სათანადო რაოდენობის მრევლი არ ეგულვებოდათ. ცარიელ ადგილზე, შემოგარენში კათოლიკეების არარსებობის შემთხვევაში, კათოლიკური მონასტრის დაფუძნებას რა აზრი და გამართლება ექნებოდა; ვინ შეავსებდა, ვინ მოემსახურებოდა მას, ვინ გაიღებდა მისთვის შესაწირავებს ყოველდღიური სარჩო-საბადებლისათვის?!

ავგუსტინელი ბერები თეატინელებმა შეცვალეს. იგივე მეფე, პატრიარქი და, ასევე, გორის მაშინდელი ეპისკოპოსი მათ მიმართაც კეთილად იყვნენ განწყობილნი და წირვისა და ქადაგების სრულ თავისუფლებას აძლევდნენ. მეტიც: თეიმურაზმა საგანგებო წერილი გაუგზავნა პაპს და სთხოვა, რომ გორის კათოლიკური ეკლესია სათანადო ინვენტარით (სამღვდლო შესამოსელითა და წმ. ზიარებისათვის განკუთვნილი ჭურჭლით) მოემარაგებინა, რადგან ეკონომიურად დასუსტებულ სამეფოს საშუალება არ ჰქონდა, ეს სამსახური თავის თავზე აეღო. აღნიშნულ შუამდგომლობასა და დახმარებას, რომელიც გაწეულ იქნა, შედეგად ის მოჰყვა, რომ გორის კათოლიკური ეკლესია, წმ. პეტრეს სახელზე ნაკურთხი, XVII ს-ის 30-იან წლებში მლოცველებს ვეღარ იტევდა. გორის იმდროინდელი კათოლიკე სასულიერო პირები ყურადღებას განსაკუთრებით მრევლის ღვთისმოსაობის დონის ამაღლებასა და განმტკიცებაზე ამახვილებდნენ. მეცნიერთა ხელთაა ერთი დოკუმენტი, რომელიც გორშია შედგენილი და რომში გაგზავნილი. მასში ვკითხულობთ: „ქართველები, რომელთაც ჩვეულებად არა აქვსთ ეკლესიაში ხშირად სიარული, როდესაც კი მოდიან, ძლიერ უხამსად იქცევიან, ჩვენი მამების ქადაგებით სულ მთლად გამოიცვალნენ. მისიონერებმა

ჩააგონეს, თუ რაოდენის მოკრძალებით და პატივით უნდა იყვნენ ხოლმე ღვთის სახლში. ამიტომ ახლა ხშირად მოდიან ჩვენთან და მოკრძალებით ესწრებიან ყველაფერს; წირვაზე და სხვა ღვთისმსახურებაზე დიდის მოწიწებით და კრძალვით დადიან... ის აღარ არიან, რაც უწინ იყვნენ, რაიცა ცხადად მოწმობს, თუ რაოდენად იმოქმედა მათზე ღვთის ძლიერებამ და მადლმა... ქართველები რა ხედვენ, მეფე-დედოფალი და პატრიარქი ესდენ დიდ პატივსა, გულკეთილობასა და სიყვარულს უცხადებენ ჩვენს მისიონერებს, ამნაირის მაგალითით წაქეზებულნი, ცდილობენ მათ მიჰბაძონ და მათსავით მოეპყრან პატრებს. ეს ხალხი ჩვენდამი პატივისცემისა და მორჩილების გამოცხადებით ცდილობენ, მეფესა, დედოფალსა და პატრიარქს აამონ და მათი გული მოიგონ“.

ამ წარმატებას, ცხადია, დიდწილად პატრების სამკურნალო ხელოვნებამაც შეუწყო ხელი. მათ განკურნეს თეიმურაზის მეუღლე, დედოფალი დარეჯანი, რაც ვერ შეძლეს ირანიდან საამისოდ ჩამოყვანილმა ექიმებმა (ამ ამბების ვრცელი მიმოხილვა და წყაროები: მამამისთვალიშვილი 1994:309-312).

გორის, ისე როგორც ქართლ-კახეთის გაერთიანებული სამეფოს კათოლიკეები შეაშფოთა ქართლში 1633 წელს ყიზილბაშების შემოსვლამ, მუსლიმი ბაგრატიონის როსტომ-ხანის გამეფებამ და თეიმურაზის იმერეთში გახიზვნამ. თუმცა ეს შიში გადაჭარბებული აღმოჩნდა. უცნაურია, მაგრამ ფაქტია, რომ როსტომ-ხანმა კეთილგანწყობილება გამოავლინა როგორც მართლმადიდებლური, ისე კათოლიკური ეკლესიების მიმართ (შდრ.: ლომინაძე 2010:14). როდესაც ის გორში ტრიუმფით შევიდა, კათოლიკეებს დაუმტკიცა ყველა პრივილეგია, რაც მათ თეიმურაზისაგან ჰქონდათ

ნაბოძები, და მფარველობასაც დაჰპირდა მათ (თამარაშვილი 1902:125). ასევე წყალობდა მათ დადიანის ასული მარიამი, გურიელის ქვრივი, რომელიც როსტომ-ხანმა შეირთო და ქორწილი გორში გადაიხადა.

სწორედ როსტომ-ხანისა და მარიამის მმართველობის ხანაში გორის კათოლიკურმა ეკლესიამ საქრისტიანოს შესძინა ღირსი მოწამე, — ანდრია გორელი, რომლის შესახებ ქვემოთ შედარებით ვრცლად ვისაუბრებთ. მანამდე კი გავიხსენებთ იმ პიროვნებას, რომელმაც აღნიშნულ წმინდანს სულიერი ცხოვრების გზაზე მწვანე შუქი აუნთო. ესაა ცნობილი საეკლესიო და სახელმწიფო მოღვაწე, დიპლომატი და კულტურტრეგერი ნიკიფორე-ნიკოლოზ ირუბაქიძე-ჩოლოყაშვილი. ეს პიროვნება, მართლმადიდებელი ეკლესიის მსახური, საქართველოში ცნობილი იყო კათოლიკური ეკლესიის მეგობრად ანუ ისეთ მართლმადიდებლად, რომელიც აღიარებს კათოლიკურ ეკლესიას ეკლესიად, ე.ი. ქრისტეს სხეულის ნაწილად წმიდა სულითურთ. ამიტომ იყო, რომ მეფე თეიმურაზ I-მა სწორედ ბერი ნიკიფორე გაგზავნა პოლიტიკური მიზნით დასავლეთ ევროპაში, სადაც მან, რომის პაპის კარზე, „კათოლიკედ მიღების წესი“ შეასრულა და კათოლიკე გახდა. ამის მიუხედავად ნიკიფორე ირბახი (ასე გაიცვნეს ის ევროპაში), რომლის სახელთან დაკავშირებულია პირველი ქართული ნაბეჭდი წიგნების მომზადება და 1629 წელს რომში გამოცემა, სამშობლოში, აღნიშნული მისიის ამოწურვის შემდეგ, მართლმადიდებელი ეკლესიის ეპისკოპოსად აკურთხეს. იგი მხარში ედგა კათოლიკეებს და საქართველოში მათ უფლებებს იცავდა. ამაზე მეტყველებს ერთი სასამართლო პროცესი. მასზე იმ გორელი ჭაბუკის საქმეს იხილავდნენ, რომელიც შემდეგ ზემოთ ხსენებული კა-

თოლიკე მოწამე გახდა. ესაა ამბავი, რომლის მიმართ ყურადღების გამახვილება გვმართებს.

თეატინელთა ორდენის მისიონერებმა, რომლებიც რომიდან გორში მოემგზავრებოდნენ, ალეპოში (თურქეთში) გაიცვნეს ერთი ქართველი ქვრივი კაცი, გვარად ლოპომანი, რომელიც გორელი იყო და თანაც კათოლიკური ეკლესიის მიმართ კეთილად განწყობილი. ის მათ გორში გამოჰყვა. მას ჰყავდა 15 წლის მშვენიერი ჭაბუკი, სახელად ნასყიდა, მცოდნე ქართული, სომხური და თურქული ენებისა (ბოლოს იტალიური და ლათინურიც ისწავლა). იგი იმდენად მოიხიბლა კათოლიკე მოძღვართა ღვთისმოსაობითა და მათი საეკლესიო წეს-განგებით, რომ არა მარტო კათოლიკედ გახდომა, არამედ კათოლიკეთა წესისამებრ ბერად შედგომა გადაწყვიტა. და, აი, 1634 წლის პირველ ოქტომბერს, ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის საფარველის დღეს, როდესაც ქართლში ამასთანავე საუფლო კვართსა და ცხოველმყოფელ სვეტსაც მოიხსენიებენ, მან სამარადისო აღთქმა დადო. მისი მოძღვარი დონ პიეტრო ავიტაბილე ამის თაობაზე წერს: იგი „დათანხმდა, რომ მთელი არსებით მინდობოდა უფლის ხელებს, შეკავშირებოდა და დაჰყოლოდა მას, რომელიც სიყვარულის თოკით შებოჭავდა და წაუძღვებოდა ღვთიური სამსახურისაკენ. საზეიმო ფიცით იგი მარადიულ მონად სწირავდა თავს და მზად იყო მთელი სიცოცხლის მანძილზე თავი გადაედო და ეტარებინა უნეტარესი და უმსუბუქესი მარწუხები მისი ღვთაებრივი რჩევისა, რათა შეესრულებინა მოწესეობა ჩვენი წმინდა სარწმუნოებისა“.

ყველაფერი თითქოს წესისა და რიგის მიხედვით წარიმართა, მაგრამ საბედისწერო დაბრკოლებამ იჩინა თავი: ნასყიდა თურმე ერთ მშვენიერ ასულზე ყო-

ფილა დანიშნული. ამის გამო ეახლა სასიმამროს და ბოდიში მოუხადა, რომ მის ქალიშვილს ვეღარ შეირთავდა. ბოდიში ბოდიშად დარჩა. სასიმამრომ გორში ანტიკათოლიკური კამპანია წამოიწყო; მისიონერებს, თანამედროვე ენით რომ ვთქვათ, არაკეთილსინდისიერი პროზელიტიზმი დააბრალა. მას მხარში რამდენიმე ქართველი, ძირითადად კი, სომხები ამოუდგნენ. ორასამდე გამძვინვარებული კაცი პატრების სახლში შევარდა, ძალით გამოიყვანეს იქიდან ნასყიდა; ცემა-ტყეპით მიიყვანეს იგი ციხის უფროსთან, რომელიც გამაჰმადიანებული ქართველი ყოფილა. რადგან ვერც მუქარამ და ვერც ტკბილმა სიტყვამ ნაყოფი ვერ გამოიღო, ბრალდებული თბილისში ჩაიყვანეს და სამსჯავროს წინაშე წარადგინეს. მას სამშობლოსა და სარწმუნოების ღალატი ედებოდა ბრალად, რაც მძიმე სასჯელს ითვალისწინებდა. პროცესს უმაღლესი სამღვდელოების წარმომადგენლები დაესწრნენ: პატრიარქი და ეპისკოპოსები. მოვიდა მეფეც (როსტომ-ხანი). ადვოკატობა ეპისკოპოსმა ნიკიფორე-ნიკოლოზ ჩოლოყაშვილმა იკისრა. მან პროცესზე შთამბეჭდავი სიტყვა წარმოთქვა; დაასაბუთა, რომ ბრალდება უსაფუძვლოა: ნასყიდას არც ხელისუფლების წინააღმდეგ უმოქმედია და არც სარწმუნოება გამოუცვლია, რადგან ქართველებისა და ევროპელების სარწმუნოება არსობრივად ერთი და იგივეა; მართლმადიდებლობასა და კათოლიკობას შორის განსხვავება თითქმის არა არის რა და, თუ მაინცდამაინც განსხვავებას ვეძებთ, კათოლიკეები უფრო გულმხურვალედ იცავენ ქრისტიანულ სარწმუნოებასაო. მან, თურმე, კათალიკოსსაც (ევდემონ I-ს) შეჰკადრა ორიოდე სიტყვა; უსაყვედურა ულმობლობა და დასძინა: „ყოველდღე ჩვენის თვალით ვხედავთ, რომ მრავალნი ქართველ-

ნი სომხდებიან და უფრო მომეტებული მათგანი მაჰ-
მადის სარწმუნოებასაც ღებულობს. მაშ, ვისაც კი უნ-
და გაფრანგება, რაღად უნდა დაეშალოს?“. ამ გამოს-
ვლას მეფე და დამსწრე საზოგადოების დიდი ნაწილი
კმაყოფილებით შეხვედრიან. სომხები, ბერძნები და
მომჩივანი ქართველები შერცხვენილნი დარჩენილან,
რადგან სასამართლოს ნასყიდა გაუთავისუფლებია
(სასამართლომ მას მხოლოდ კომპენსაცია დააკისრა
სასიმამროსათვის).

ამის შემდეგ ნასყიდა სამეგრელოში გადავიდა, სა-
დაც (სოფ. წიფურიაში, ახლანდელ გალის რაიონში)
ლათინური წესის მონაზვნად აღიკვეცა და მას ანდრია
დაარქვეს. სულიერმა ძმებმა და მამებმა ის საღვთო
მეცნიერების დასაუფლებლად რომში გაგზავნეს. მან
იქ ბრწყინვალე განათლება მიიღო და მშობლიურ
ქალაქში, გორში, დაბრუნდა. პიეტრო ავიტაბილეს
თქმით, იგი თანამემამულეებს ემსახურებოდა და „მი-
სი ჭკუა და გულმოდგინება ყველგან აღტაცებასა და
მიბაძვას იწვევდა“. მაგრამ გამოხდა ხანი და მან (უნდა
ვიფიქროთ) თავისუფალი სინდისის კარნახით ინდო-
ეთში მისიონერად წასვლა არჩია იმავე პიეტრო ავიტ-
აბილესთან, მის სულიერ მოძღვართან და ღვთისმეტ-
ყველების მასწავლებელთან, ერთად. მოგვეპოვება
ცნობა, რომლის თანახმად იგი ახოვნად ეზიდებოდა
მისიონერის უღელს; დაიმსახურა საყოველთაო სიყ-
ვარული და ქალაქ გოაში 1642 წელს, 22-23 წლის ას-
აკში, მოწამებრივად აღესრულა (წყაროებისა და ლი-
ტერატურისათვის: ბრაგანტინი, პაპუაშვილი 2006:44).
რომის ერთ-ერთ საარქივო ფონდში დაცულია ფერ-
წერული ტილო: *გორელი ნასყიდა-ანდრიას წამებით
სიკვდილი ქალაქ გოაში*. იმავე არქივში შემონახულია
ასეთივე ტილო წარწერით: თეატინელი მისიონერი

დონ ანტონიო ჯარდინა თავის სკოლაში ბავშვებს ასწავლის (ტაბაღუა 1990). ლაპარაკია გორის სკოლაზე, რომელიც ამ ქალაქის კათოლიკურ ეკლესიასთან არსებობდა. ეჭვი არაა, მის შექმნასა და პირველი ნაბიჯების გადადგმაში გორელ ნასყიდას არცთუ უმნიშვნელო წვლილი მიუძღვის. გორი გახლდათ ის ქალაქი, სადაც კათოლიკური ეკლესიის ინიციატივით მკაცრად იქნა შეფასებული და დაგმობილი ჩვენი ქვეყნის ერთ-ერთი სამარცხვინო სენი — ყრმების უცხოელებისათვის მიყიდვა. არც ნასყიდა-ანდრია დარჩებოდა გულგრილი ამ სენის მიმართ.

დასანანია, რომ მღვდელმოწამე ნასყიდა-ანდრია ლოპომანის (ლოპოტაშვილის) სახელი და ხსოვნა, ისე როგორც ბევრი სხვა საგულისხმო სახელი თუ ამბავი, ქართულ წყაროებში ვერ აისახა. თუმცა ფაქტია, რომ ნასყიდას მცირეხნიანი მოღვაწეობის შემდეგ გორის კათოლიკური ეკლესიის საქმე აღმავლობის გზით წარიმართა. არსებობს დოკუმენტი, რომლის თანახმად 1668 წელს გორში „ქალაქის მთავარგამგებელი და მრავალი სოფლის პატრონი მთელი თავისი ოჯახით ჭეშმარიტი კათოლიკეა“; კათოლიკეებს იქ „ლამაზი ეკლესია“ აქვთ, თუმცა პრობლემები სომხებთანაც და ქართველ მართლმადიდებლებთანაც ხშირად იჩენს თავს. ამის მიუხედავად კათოლიკურ ეკლესიას გორში არა ერთი და ორი ქართველი მართლმადიდებელი უერთდება. მათ შორისაა ვინმე არდაშელი, რომლის გაკათოლიკებამ საყოველთაო ყურადღება დაიმსახურა. გორის კათოლიკურ ეკლესიასთან არიან დაკავშირებული ცნობილი ისტორიკოსისა და ლიქსილოგრაფის, გამაჰმადიანებული გორელი ქართველის, ფარსადან გორგიჯანიძის ოჯახის წევრები, რომლებიც გორში ცხოვრობენ; ამ ეკლესიის სკოლაში განისწავ-

ლა მისი ძმისშვილი ესტატე. დაუვიწყარია იმდროინ-
დელი კათოლიკე მღვდლის, პატრი კარლოს, ზნეობ-
რივი გმირობა. 1682 წელს გორში ჟამმა (შავმა ჭირმა)
იფეთქა. მოსახლეობის დიდი ნაწილი მთებში გაიხ-
იზნა. პატრი კარლო პეშელისათვისაც უთხოვიათ გა-
ხიზნულიყო, მაგრამ მან თავი არ მიანება უპატრონო
ავადმყოფებს; დარჩა ქალაქში; თვითონაც დაავადდა
და გარდაიცვალა. გარდაიცვალა მისი სულიერი შვი-
ლიც, გაკათოლიკებული გორელი ახალგაზრდა ფრან-
ჩესკე. ამის შემდეგ გორის კათოლიკური სამრევლო
და მისი ეკლესია-ტაძარი რამდენიმე წლის მანძილ-
ზე სასულიერო პირის გარეშე დარჩა. ეს ეკლესია და
პატრების საცხოვრებელი სახლი 1691 წელს სომხებმა
მიითვისეს, თუმცა იმავე საუკუნის ბოლო წლებში ეგ-
ევე ნაგებობები კათოლიკეებმა უკან დაიბრუნეს (მა-
მისთვალიშვილი 1994:319–125).

წონიან და გავლენიან ძალად გამოიყურება გორის
კათოლიკური ეკლესია XVIII ს-შიც. მას იცნობენ და ან-
გარიშს უწევენ როგორც შინ, ისე გარეთ; საქართვე-
ლოშიც და მის საზღვრებს გარეთაც. 1713 წელს გორს
ეწვია მწერალი, სახელმწიფო და საეკლესიო მოღ-
ვაწე სულხან-საბა ორბელიანი, რომელიც იმ დროს
ევროპაში გასამგზავრებლად და რომის პაპის წინაშე
წარსადგომად ემზადებოდა. იქ, გორის კათოლიკურ
ეკლესიაში, შეხვდა იგი კათოლიკე მისიონერებსა და
მოგზაურებს და მათთან ერთად სამწლიანი მოგზაურ-
ობის გეგმა განიხილა. ამ დროს უნდა გაეცნო მას გო-
რის კათოლიკური ეკლესიის ერთი ჩინებული შვილი
— დავით ტულუკაშვილი (იგივე: ტულუკაანთ-პაპაშვი-
ლი). იგი რომში, პროპაგანდა ფიდეს (რწმენის პრო-
პაგანდის) სასწავლებელში, 1724 წელს სულხან-საბა
ორბელიანის რეკომენდაციით გაიგზავნა. დავითმა

იქ აკადემიური საღვთისმეტყველო განათლება შეიძინა და ლათინური წესის მღვდელი გახდა. იგი დიდი მონდომებით შეუდგა მთარგმნელობით მოღვაწეობას და წარმატებებსაც მიაღწია ხანმოკლე სიცოცხლის მიუხედავად (რომში დაცული ცნობის მიხედვით, გარდაიცვალა 33-35 წლის ასაკში)[2]. მის თარგმანებს შორის გამოირჩევა მსოფლიო მნიშვნელობის თეოლოგიური ტრაქტატები: „საქრისტიანო მოძღვრება“ და თომა კემფელის „მიბაძვა ქრისტესი“, რომელიც არის ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული სულისმარგებელი წიგნი მთელ საქრისტიანოში, კათოლიკურშიც და მართლმადიდებლურშიც. რადგან ეს თხზულება ქართულ ენაზე გორელმა სწავლულმა მღვდელმა აამეტყველა, არ არის გასაკვირი, რომ ამ ქალაქის განათლებულმა ქრისტიანებმა სწორედ მას მიანიჭეს უპირატესობა და მისი ტექსტი გადასცეს პირველად გორის სტამბას, რათა დაბეჭდილიყო და ადამიანებს ზნეობის გაუმჯობესებაში დახმარებოდა. ეს 1889 წელს მოხდა. ასე დაიბეჭდა გორში პირველი ქართული წიგნი — „მიბაძვა ქრისტესი“. ესაა ამ წიგნის მეორე ქართული თარგმანი, შესრულებული ასევე გორის კათოლიკური ეკლესიის

2 ქართულ ისტორიოგრაფიაში არსებობს მეორე ვერსია, რომლის თანახმად მ. დავით ტულუკაშვილი დაბრუნდა სამშობლოში, სადაც აქტიური სასულიერო, ლიტერატურული და პატრიოტული საქმიანობა განაგრძო. მას საქართველოს „მხურვალე მონად“ მოიხსენიებდნენ. იგი ცხოვრობდა ქუთაისში და მეფის მრჩევლის მოვალეობას ეწეოდა. „ის იყო ერთ-ერთი ინიციატორი საქართველოს გაერთიანებისა და მათ შორის იმყოფებოდა, ვინც ზრუნავდა სამცხე-ჯავახეთის განთავისუფლებაზე. მის ქადაგებას გარკვეული გავლენა მოუხდენია იმერეთის იმ დიდებულებზე, რომლებმაც დელეგაცია გაგზავნეს ერეკლე II-სთან იმერეთის ქართლ-კახეთთან შეერთების თხოვნით. დავითი დიდი სახელითა და გავლენით სარგებლობდა და გორელების წინაშე სარკეთ მდგარა“ (მამისთვალიშვილი 1994:327-328).

მღვდლის ანსელმო მღებრიშვილის მიერ და რედაქტირებული მწერალ ნიკო ლომოურისაგან (თავდიშვილი 1982:201-203). სწორედ ამ წიგნისა და კათოლიკური ეკლესიის დახმარებით ეზიარა გორში ქართული ანბანი სტამბას.

დავუბრუნდეთ XVIII საუკუნის შუა წლების გორს. ცნობილია კიდევ ერთი გორელი კათოლიკე მღვდლის სახელი — პეტრე ბაღდასარ ჯანო (ჯანიძე), რომელსაც რომში 1738 წელს წმინდა ადგილები მოულოცავს და იქ ერთ-ერთ ეკლესიაში უწირავს (თამარაშვილი 1902:348). სავარაუდოა, რომ მან იქაური იერარქები საქართველოთი და, კერძოდ, გორის კათოლიკური ეკლესიით კიდევ უფრო დააინტერესა. ყოველ შემთხვევაში, სწორედ ამ ამბის შემდეგ იყო (1745 წელს), რომ გორის კათოლიკურ ეკლესიას დიდი სიხარული ეწია. ამ დროს რომიდან საქართველოში ჩამოვიდა ორი ეპისკოპოსი, რომლებიც გორსაც ესტუმრნენ. მათ ზუბალაშვილების ოჯახმა უმასპინძლა. ცნობილია დოკუმენტი, შედგენილი ქართულ ენაზე, რომლის თანახმად აღნიშნული ეპისკოპოსებიდან ერთ-ერთს, მეუფე ფილიპეს, გორში, ახალაშენებულ წმ. სილიბისტროსა და წმ. გიორგის კათოლიკურ ეკლესიაში, 1745 წლის 11 მაისს მირონცხების საიდუმლო ანუ იგივე კონფირმაცია ჩაუტარებია; რწმენაში განუმტკიცებია ქართველი მანდილოსნები: ეკატერინე, მარიამი, ანა, თინათინი, თამარი და ბევრი სხვანი, ქალებიც და კაცებიც (ასლანიშვილი 1899; მამისთვალიშვილი 1994:328-329). ამ დროს გორის კათოლიკური ეკლესიის წინამღვრად ვხედავთ მღვდელ სტეფანე მალთელს, რომელიც მრევლს თავდადებით ემსახურება.

ყველაფრიდან ჩანს, რომ XVIII ს-ის შუა წლებში გორის კათოლიკურმა ეკლესიამ განვითარების

მაღალ ხარისხს მიაღწია და მოსახლეობაში საკმაოდ დიდი გავლენა მოიპოვა. აი, რას გვიამბობს ამის თაობაზე იმდროინდელი პატრი იოსები ერთ ოფიციალურ დოკუმენტში: „ამ ჟამად გორში მყოფი კათოლიკეები არიან 100, გარნა სხვა კიდევ რავდენიმე გაფანტულნი არიან აქა-იქ სოფლებში. როდესაც გზაში უშიშრობაა და რომელსამე ქარავანს გავლა შეუძლია, მისიონერები მიდიან მათ სანახავად, სწვრთნიან და საიდუმლოებს უსრულებენ. თითქმის ყველა ეს კათოლიკები, გორში, თუ მის გარეთ მყოფნი, არიან ქართული ტიბიკონის და მის თანახმად სცხოვრობენ. თუმცა ცოტანი არიან, მაგრამ უნდა ვსთქვა, რომ კაი კათოლიკები არიან და ყველაფერში ემორჩილებიან თავიანთ სულიერ მართველს“ (თამარაშვილი 1902:370).

ამ ვითარებამ (საქართველოში კათოლიკეთა რიცხვისა და სივრცის ზრდამ) შეაშფოთა ანტიკათოლიკურად განწყობილი პიროვნებები, მეტწილად სომხები, რომლებმაც სამეფო კარზე საჩივრის წერილები გაგზავნეს და გორიდან მისიონერების გაძევება მოითხოვეს, ისინი სომხებს და ქართველებს აფრანგებენო. აღნიშნული პერიოდის ერთ-ერთ აქტიურ ანტიკათოლიკედ გამოიყურება სომეხთა სარწმუნოების აპოლოგეტი, სომხურ და ქართულ მწერლობაში დიდად განსწავლული სასულიერო პირი და ორენოვანი პოეტი — გიორგი გორელი (მელიქსეთ-ბეგი 1940:100-102,119-120). სომხებს მხარი აუბეს კონსტანტინოპოლის საპატრიარქოს წარმომადგენლებმა, რომლებიც საქართველოში პერიოდულად ჩამოდიოდნენ და შესაწირავებს აგროვებდნენ. ისინი ხედავდნენ, რომ კათოლიკური ეკლესია არა მარტო გორში, არამედ საქართველოს სხვა კუთხეებშიც (მათ შორის რაჭაში) ნელ-ნელა იზრდებოდა და მტკიცდებოდა. ამიტომ ფიქრობდნენ, თუკი ეს პროცესი

არ შენელდა, ჩვენი შემოსავალიც შემცირდებაო; რომი სერიოზულ კონკურენციას გაგვიწევსო. მათ ეჭვსა და შიშს საფუძველი ჰქონდა, რადგან აღნიშნული პროცესი ღრმავდებოდა და მასშტაბური ხდებოდა: კათოლიკურ ეკლესიებს არა მხოლოდ რიგითი მოქალაქეები, არამედ თავად-აზნაურები, ინტელიგენტები და სასულიერო პირები, მათ შორის ეპისკოპოსები და, წარმოიდგინეთ, კათალიკოსებიც კი უერთდებოდნენ. მოვლენები თითქოს კათოლიკური ეკლესიის სასარგებლოდ აეწყო, მაგრამ ვითარება მოულოდნელად მათ საზიანოდ შემოტრიალდა. მივადექით საქართველოს ისტორიის ერთ-ერთ მძიმე, თუმცა შთამბეჭდავსა და მრავლისმომცველ ეპიზოდს, რომელიც ასე დასათაურდება: *საქართველოს კათალიკოს-პატრიარქის გასამართლება*.

კათოლიკურ ეკლესიას 1754 წელს საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის საჭეთმპყრობელიც შეუერთდა. ლაპარაკია ქართული საღვთისმეტყველო აზროვნებისა და მეცნიერების ერთ-ერთი უდიდესი წარმომადგენლის ანტონ I ბაგრატიონის შესახებ. მისმა უწმინდესობამ, როდესაც კათალიკოს-პატრიარქი გახდა (1744), ქვეყნის განათლებისა და განვითარების დიდი პროგრამა შეიმუშავა. იგი ხედავდა, რომ რომის ეკლესიის წარმომადგენლებს, საქართველოში მოღვაწეებს, ამ საქმეში სათანადო ცოდნა და გამოცდილება ჰქონდათ, რის გამოც ის მათ დაუახლოვდა და მოინდომა იმის გარკვევა, თუ რამდენად საფუძვლიანად ასაბუთებდნენ რომის ეკლესიის წარმომადგენლები თავიანთი მოძღვრების ჭეშმარიტებას. რაც უფრო ღრმად ეცნობოდა პატრიარქი ანტონი კათოლიკეთა მოძღვრებასა და ცხოვრების წესს, მით უფრო იწონებდა ამ მოძღვრებასა და ამ წესს; რწმუნდებოდა, რომ კათოლიკეების არგუმენტები არის მყარი და საღვთო

წერილზე დაფუძნებული; უვითარდებოდა რწმენა, რომ მისი ქვეყნის, საქართველოს, გადარჩენის და გაბედნიერების რეალური გზა არის რომის ეკლესიასთან დაახლოება და რომის ეპისკოპოსის (პაპის) დედამიწის პირველ ეპისკოპოსად აღიარება. საბოლოოდ მან ასეთი დასკვნა გამოიტანა: ჭეშმარიტების სისავსეს ანუ სრულყოფილ მართლმადიდებლობას სწორედ რომის ეკლესია ინახავს. ყველა ხვდებოდა, რომ საქართველოს კათალიკოს-პატრიარქის სარწმუნოებრივ ცხოვრებასა და პოლიტიკურ ორიენტაციაში ცვლილებები ხდებოდა. უფრო კონკრეტულად რომ ვთქვათ, მისი სარწმუნოებრივი და პოლიტიკური ვექტორი რომისაკენ, დასავლეთისაკენ იხრებოდა ნაცვლად რუსეთისა, რომელიც მართლმადიდებლობის ბურჯად მოიაზრებოდა და საითკენაც დიდი მონდომებით მიისწრაფოდა მაშინდელი საქართველოს პოლიტიკური და კულტურული ელიტა. გავრცელდა ხმა, უწმინდესი და უნეტარესი ანტონი უკვე კათოლიკეებთან („ფრანგებთან“) ერთად ლოცულობს და, მაშასადამე, მან მათთან ლიტურგიული, ე. ი. ევქარისტიული, წმ. ზიარებისეული კავშირი დაამყარაო. გაირკვა, რომ ეს არ იყო ჭორი; კათალიკოს ანტონს „კათოლიკეთა სარწმუნოება“ გორის კათოლიკური ეკლესიის უფროსის, პატრ იერონიმე ნორჩელის, წინაშე უღიარებია (თამარაშვილი 1902: 373). შესაძლებელია, ეს აღიარება გორში მოხდა, გორის კათოლიკურ ეკლესიაში. ამ ფაქტმა აღაშფოთა იმ პოზიციის მართლმადიდებლები, რომლებიც რომის ეკლესიას მწვალებელთა ეკლესიად მიიჩნევდნენ, ხოლო რომის პაპს — მწვალებელთა (ერეტიკოსთა) ეპისკოპოსად. მათ საჩივრით მიმართეს ქართლის იმდროინდელ მეფეს, თეიმურაზ II-ს (1700-1762), და მისგან მკაცრი ზომების მიღება მო-

ითხოვეს. მეფემ გადაწყვიტა, ამ საჩივრის საფუძვლიანობა საეკლესიო კრებას განეხილა და მსჯავრიც მას გამოეტანა.

ასეთი კრება 1755 წლის 12-16 დეკემბერს შედგა, მცხეთაში. მასში მონაწილეობა მიიღეს ქართლისა და კახეთის მეფეებმა, ხსენებულმა თეიმურაზმა და მისმა ძემ, ერეკლე II-მ, აღმოსავლეთ საქართველოს ეპისკოპოსებმა, აგრეთვე სამღვდელოებისა და ერისკაცების წარმომადგენლებმა (დოკუმენტური მასალა, კომენტარები და გამოკვლევები: „საღვთისმეტყველო კრებული", 1.1991). პირველ დღეს ანტონმა აღიარა, რომ ის კათოლიკეა და უკვე თვრამეტი თვეა, რაც რომის პაპს უფროს ძმად აღიარებს და მას წმ. ბარძიმში მოიხსენიებს. ამასთანავე გაირკვა, რომ ამ რწმენაში ანტონი მარტო არ არის: მის გვერდით არა ერთი და ორი სასულიერო და საერო პირი დგას. კრებამ იმსჯელა ამ მოვლენის გარშემო და მკაცრი დადგენილება გამოიტანა. ამ დადგენილების თანახმად კათალიკოს-პატრიარქი ანტონი და მისი თანამოაზრე ეპისკოპოსები, მღვდლები, დიაკვნები და ერისკაცები მართლმადიდებელი ეკლესიისაგან განიკვეთნენ. სამეფო ხელისუფლებამ მათ სხვადასხვა სახის ადმინისტრაციული სასჯელებიც დაადო. ანტონი, მაგალითად, გაკრიჭეს, გაროზგეს და დილეგში ჩააგდეს. არც სხვებს დადგომიათ უკეთესი დღე. მაგრამ გავიდა სამი-ოთხი დღე და მსჯავრდებულებმა თავიანთ მრწამსსა და პოზიციას კათოლიკურ ეკლესიასთან დაკავშირებით შეცდომა უწოდეს და თქვეს, ჩვენ ჩვენს საქციელს ვაცნობიერებთ და ვინანიებთო. მათ ცრემლით და ფიცით დაადასტურეს თავიანთი სინანულის გულწრფელობა და ბრალმდებელთაგან შენდობა ითხოვეს. 1756 წლის 4 აპრილს კვლავ შედგა ქართლ-კახეთის საეკლესიო

კრება (უკვე თბილისში), რომელმაც ირწმუნა მსჯავრდებულთა სინანულის გულწრფელობა და ისინი მართლმადიდებელ ეკლესიაში დააბრუნა. კრებამ ანტონსაც აღუდგინა კათალიკოს-პატრიარქის ხარისხი, მაგრამ სამშობლოში დარჩენის უფლება არ მისცა და რუსეთში, მართლმადიდებლობის იმდროინდელ ციტადელში, ექსორია (გადასახლება) მიუსაჯა. ამასთანავე: იმავე კრების გადაწყვეტილებით, ანტონი, ვიდრე საქართველოს საზღვრებს გადალახავდა, უნდა ჩასულიყო გორში და გორის იმ კათოლიკურ ეკლესიაში უნდა ეწირა, საიდანაც კათოლიკეები უკვე გამოძევებულნი იყვნენ.

მოკლედ, დავუბრუნდეთ გორს. რა მოხდა იქ ამასობაში? რა ბედი ეწია და რა დღე დაადგა კათოლიკურ ეკლესიას, კათოლიკე სამღვდელოებასა და მის მრევლს ამ ქალაქში და აღმოსავლეთ საქართველოში ზოგადად? კრებამ ასევე განაჩინა: კათოლიკე სასულიერო პირები გაძევებულ იქნან ქართლ-კახეთის სამეფოდან; ჩამოერთვათ მათ ეკლესიები (შენობები და მრევლი) და გადაეცეს ისინი მართლმადიდებლებს!

კათოლიკური ეკლესიები მაშინ თბილისსა და გორში მოქმედებდა და მეფე თეიმურაზ II-ის ბრძანებით კათოლიკური ეკლესიები ორივე ქალაქში გაუქმდა, შენობებიც და სამრევლოებიც მართლმადიდებელ ეკლესიებს გადაეცა, კათოლიკე სამღვდელოება კი სამეფოს საზღვრებიდან განიდევნა. პატრები და მათი ერთგული სულიერი შვილები, თურმე, ისე გავიდნენ აღნიშნული ქალაქებიდან, როგორც ამას ანალოგიურ შემთხვევაში მოციქულები აკეთებდნენ იესო ქრისტეს მითითების შესაბამისად (მათ. 10:14; მარკ. 6:11; ლუკა 9:5; საქ. 13:51): გასცილდნენ ქალაქების კარიბჭეებს, გაიხადეს ფეხსაცმელები, ჩამოიბერტყეს მტვერი და

სხვა კუთხეებისაკენ მიმავალ გზას დაადგნენ. ისინი ამ შემთხვევაში ახალციხეში, ათაბაგთა სამფლობელოში, გადაბარგდნენ (ჟორდანია 1991:83).

გორის კათოლიკური ეკლესია და მისიონერთა სახლები მეფე თეიმურაზმა მართლმადიდებელ ეკლესიას გადასცა. ეს 1755 წლის დეკემბრის მეორე ნახევარში, სავარაუდოდ შობამდე, 25 დეკემბრამდე, უნდა მომხდარიყო; ამ დროს უნდა იყოს შედგენილი ის გუჯარი, რომლის შესახებ გვაუწყებს საეკლესიო ისტორიკოსი დიმიტრი ფურცელაძე და რომელშიც ლაპარაკია იმაზე, თუ როგორ „განდევნა მეფე თეიმურაზმა გორის სანახებიდან კათოლიკური მისიონი და როგორ ჩააბარა კათოლიკური ეკლესია და ამ მისიონის სახლი მთავარეპისკოპოს კირილეს, რათა მას ეცხოვრა ამ სახლში და ეწირა ამ ეკლესიაში, როდესაც ის გორში, თავის ქართულ სამწყსოში, ჩავიდოდა“ (Пурцеладзе 1881:51). ასე რომ, 1756 წლის 4 აპრილს, როდესაც ანტონი ხარისხში აღადგინეს, გორის კათოლიკური ეკლესია უკვე მართლმადიდებელთა ხელში იმყოფებოდა. ცნობილია დოკუმენტი, რომლის თანახმად იმავე კრებამ ანტონს პირველი წირვის ჩატარება, თანამდებობის განახლების შემდეგ, სწორედ გორის ნაკათოლიკარ ეკლესიაში დაავალა (ჟორდანია 1991: 89; ხახანაშვილი 1991: 109). ლაპარაკია სააღდგომო წირვაზე, რომელიც მან, ეჭვი არაა, ამ ეკლესიაში ჩვეული გულმხურვალებით აღასრულა, ღამე კათოლიკე მისიონერების ყოფილ სახლში გაათია და მეორე თუ მესამე დღეს რუსეთისაკენ მიმავალ გზას დაადგა. თუ ზაქარია ჭიჭინაძის ცნობას ვენდობით (ის, როგორც წესი, წყაროს არ ასახელებს), ანტონის გორში ჩასვლას, კათოლიკეთა ეკლესიაში სააღდგომო წირვას და კათოლიკე მღვდელთა სახლში ღამის გათენე-

ბას ამ ქალაქის მოსახლეობა (ალბათ როგორც მართლმადიდებლები, ისე სომხები) აუღელვებია და მათ მეფისათვის საჩივრის წერილიც კი გაუგზავნიათ; ანტიკათოლიკურ ისტერიას იმ ზომამდე მიუღწევია, რომ ამ დროს იქ (გორში) განადგურებულა კათოლიკეთა საავადმყოფო, წამალხანა და სასწავლებელი (მამისთვალიშვილი 1994:330–331).

მართალია, გორში და თბილისში კათოლიკური ეკლესიები ოფიციალურად გაუქმდა; ტაძრები და სამრევლოები მართლმადიდებელ ტაძრებად და სამრევლოებად გამოცხადდა, მაგრამ ამ ქალაქებში და მათ მიმდებარე დასახლებებში კათოლიკეები მაინც დარჩნენ. ზოგიერთი მათგანი ალბათ თავისთვის იყო, ჩუმად. ზოგიერთი კი ღიად გამოხატავდა საკუთარ სარწმუნოებრივ მრწამსს და ვითარების შეცვლის იმედს არ კარგავდა. ვითარება მართლაც ამ იმედის შესაბამისად შეიცვალა, რაც რამდენიმე ფაქტორმა განაპირობა: ობიექტურმაც და სუბიექტურმაც.

ცნობა საქართველოში ანტიკათოლიკური ისტერიის აფეთქებისა და კათოლიკეთა რბევის შესახებ დასავლეთ ევროპაში სწრაფად გავრცელდა. ავსტრიისა და საფრანგეთის მთავრობებმა დახმარებისათვის კონსტანტინოპოლის პატრიარქსა და რუსეთის ხელისუფალს, იმპერატრიცა ელისაბედს, მიმართეს და სთხოვეს, საქართველოს სამეფო ადმინისტრაციაზე ზეგავლენა მოეხდინათ, რათა ამ ქვეყანაში კათოლიკეების დევნა შემწყდარიყო. ისინი დიდ იმედებს ამყარებდნენ რუსეთზე, რადგან, თამარაშვილის სიტყვებს რომ დავესესხოთ, „მეფეს [თეიმურაზს] იმპერატრიცას წყალობა ძლიერ სჭირია, მაშინ უარს ვერ იტყვისო და ხათრს დასდებსო“ (თამარაშვილი 1902:375). ვერავინ იტყვის დაბეჯითებით, დასავლეთის ამ რეაქციამ მოახ-

დინა ზეგავლენა თეიმურაზზე თუ საკუთარი სინდისის ხმამ, მაგრამ ფაქტია, რომ მან კათოლიკეების მიმართ პოზიცია მკვეთრად შეარბილა. ამის დასტურია მისი და მისი შვილის, ერეკლეს, წერილი ახალციხის კათოლიკური ეკლესიის მთავარ ხუცესს, რომელიც დათარიღებულია 1760 წლის 23 იანვრით (პუბლიკაცია: თამარაშვილი 1902:376–377). ჩვენ ვფიქრობთ, რომ აქ საქმე არა იძულებასთან, არა პოლიტიკურ ზეწოლასთან და მით უფრო თვალთმაქცობასთან, არამედ თავისუფალ ნებასთან, გულსა და გონების კარნახთან გვაქვს. ამაში ქვემოთ მოთხრობილი ამბავი კიდევ უფრო გვარწმუნებს. ესაა საქართველოს როგორც სამოქალაქო, ისე საეკლესიო ისტორიის შთამბეჭდავი ეპიზოდი, რომლის მიმართ ყურადღების გამახვილება გვმართებს.

თეიმურაზი 1760 წელს რუსეთს გაემგზავრა, რათა პეტერბურგში ხლებოდა იმპერატრიცა ელისაბედ პეტრეს ასულს და მისთვის სამხედრო-პოლიტიკური დახმარება ეთხოვა. ასეც მოხდა, მაგრამ იმედები გაუცრუვდა. 1761 წლის 25 დეკემბერს იმპერატრიცა გარდაიცვალა, ხოლო მისი მემკვიდრე, პეტრე III, ქართლის მეფის დასაჩუქრებით დაკმაყოფილდა. ვიმეორებთ: ვერ ვიტყვით დაბეჯითებით, რამ მოახდინა გავლენა პრორუსულად და ანტიკათოლიკურად განწყობილი მეფის მსოფლმხედველობაზე და ისიც იქ, კათოლიკობის ნომერ პირველ მტრად ცნობილ რუსეთში, მაგრამ ფაქტია, რომ გავლენა რაღაც ფაქტორმა მოახდინა. ისტორიკოსების განკარგულებაშია დოკუმენტი, — წერილობითი წყარო (საბუთი), რომლის თანახმად ქართლის მეფე თეიმურაზ II თვითშეგნებით კათოლიკედ გარდაიცვალა. როდესაც ის პეტერბურგიდან სამშობლოში დასაბრუნებლად ემზადებოდა, ავად გახდა და რამდენიმე დღის შემდეგ წუთისოფელს გამოეთხოვა.

ამ დროს მას თავზე ადგნენ მღვდელი (დეკანოზი სვიმონი) და სამეფო კარის წარმომადგენლები. ისინი ადასტურებენ, რომ მეფე თეიმურაზმა სიკვდილის წინ კათოლიკობა აღიარა. მათ შეადგინეს სათანადო აქტი, რომელიც შემონახულია; სამეცნიერო ლიტერატურაში ცნობილია და გამოქვეყნებულიც; დედანი დაცულია პეტერბურგში (მაჭარაძე 1968: 114,464-465). ვინაიდან ეს დოკუმენტიტი ფართო საზოგადოებრიობისათვის ხელმისაწვდომი არ არის და იმთავითვე ყურადღების მიღმა დარჩა, გადავწყვიტეთ, კვლავ გამოვაქვეყნოთ იგი იმ პირის მიხედვით, რომელიც დაცულია საქართველოს ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში: Hd 3334 და რომელიც ზემოთ მითითებულ გამოცემაში გათვალისწინებული არაა (ამ დოკუმენტის არსებობაზე მიგვითითა მკვლევარმა ლექსო ნაზღაიძემ, რისთვისაც მადლობას მოვახსენებთ).

ტექსტი წარმოდგენილია ერთ გვერდზე; დაწერილია მხედრულით, მელნით; კატალოგში დასათაურებულია ასე: „ჩანაწერი თეიმურაზ მეფის გარდაცვალების უკანასკნელი წუთებისა“.

> „წელსა 1762 იანვრის 8 დღესა შუადღის უკან ჟამსა მეექვსესა
>
> ნეტარად ხსენებული კეთილმორწმუნე მეფე ქართლისა თეიმურაზ, რა ნებითა ღ(მრთი)სათა ამიერ სოფლით განსულასა განემზადა და მერმისა მის საუკუნოჲსა მიმთხვევად წარსდგა, სულის ბრძოლის ლოცვის წარკითხვას უკან მარჯვნი კერძო მიწვა და მოჩქარებით უკაფოდ საუბარი რამ იწყო. და რა ყური მივუგდეთ, ვცანით, რომ ლოცვას ანბობდა. ამასთან იესო ტკბილი [მისცა პირშიგან მღუდელმან][3*], რომელიცა დიაღ წმინ-

3 ეს სამი სიტყვა საგანგებოდ ამოფხეკილია.

> დათ კაფიად და სასოებით იწყო წარმოთქმად სვიმონ დეკანოზის ჩაკითხვით და რა რომ რამ-დენიმე წარმოსთქვა, დიაღ თამამად წამოიწია და ნახევრად წამოჯდა, ვითამც რამე უნდოდა თქმად და ჩაეკითხნენ, რა გეპრიანებათო, მან მართლად გაღიმებულმან სთქვა: „ხელმწიფის კურთხევა-ში ვიყავ და ვილოცევდიო, არ დამაცალეთო“. რა ეს წარმოსთქვა, მაშინვე მიწვა იმავ მხარესა და ისრე მილულვით იწყო კვალად ლოცვავე ძნიად სასმენლად. მღვდელმან ისევ იესო ტკბილი ათ-ქმევინა და აგრეთვე შეასრულებინა და შთასძა-ხა, თუ ენით ვერა სთქვა, გონებაში გქონდესთო, და წმინდათ უპასუხა, მესმის და გულშიაც მაქვსო. ამას უკან ვითამც ვ(ითარმე)დ ლაპარაკი მოუმატა და მღუდელი ჩაეკითხა, რასა ბრძანებთო. მან გა-მოჩენით წარმოსთქვა: კათოლიკეებს ხომ შეიწყ-ნარებენო. მღვდელმან მალ უპასუხა: დიაღ შეიწ-ყნარებენო. მეფემ მეორედ წარმოსთქვა, მე ხომ აღმოსავლეთის კათოლიკე ვარო და მიიძინა: ამ-ის მხილველნი და მსმენელნი მრავალნი იყვნენ მას ჟამსა, რომ ჭეშმარიტად ესრედ იყო“.

წარმოდგენილი დოკუმენტის ისტორიულ-ფილო-ლოგიური და ენობრივი ანალიზი ჩვენს ამჟამინდელ მიზანს შორდება, მაგრამ ყურადღების მიღმა ვერ დავ-ტოვებთ იმას, რაც წინამდებარე თემისათვის არსები-თია. ესაა კითხვა, რომელსაც ფრიად დაუფიქრებია და შეუწუხებია მეფე: „კათოლიკეებს ხომ შეიწყნა-რებენ“ ანუ, სხვანაირად რომ ვთქვათ, კათოლიკეები ცხონდებიან? გავითვალისწინოთ, რომ თეიმურაზ II არა მხოლოდ მეფე და სახელმწიფო მოღვაწე, არამ-ედ ნაყოფიერი მწერალი (პოეტი), საღვთისმეტყველო ლიტერატურაში ჩახედული და მოაზროვნე პიროვნება

იყო. ამიტომ არაა გასაკვირი, რომ ზემოთ წარმოდგენილ სტრიქონებში გულწრფელ ინტერესთან ერთად სინდისის ქენჯნაც ჩანს. მაგრამ რას უნდა დაემძიმებინა მეფის სინდისი და რას უნდა გამოეწვია სინდისის ქენჯნა? ცხადია, იმ კრებას, რომელიც მისი ბრძანებით მოეწყო და რომელმაც კათოლიკურ ეკლესიას საქართველოში ბრძოლა გამოუცხადა; რომელმაც მშობელი ქვეყნის საერთაშორისო იმიჯი საგრძნობად შელახა (საეკლესიო სასჯელებს ხომ კანონსაწინააღმდეგო ქმედებები და ანტიჰუმანური ნაბიჯებიც მოჰყვა? კერძო საკუთრების ხელყოფა, მოქალაქეთა სიტყვიერი და ფიზიკური შეურაცხყოფა, სიძულვილის დათესვა და ა. შ.). ცხადია, ამ კრების მონაწილეთა მეტი ნაწილი კათოლიკეების ცხონების შესაძლებლობას გამორიცხავდა. ეჭვი არაა, მეფეებიც, თეიმურაზი და მისი ძე ერეკლეც, ამავე პოზიციაზე იდგნენ, რადგან კათოლიკეების ეკლესიიდან განკვეთას მათაც დაუჭირეს მხარი. იქნებ მაშინ ხსენებული დეკანოზი სვიმონიც ასე ფიქრობდა? მაგრამ ვხედავთ, რომ მან ამ ამბიდან ექვსიოდე წლის შემდეგ განტევების ლოცვებთან ერთად კათოლიკეების ცხონების შესაძლებლობა აღიარა. ეს კი ცხადზე უცხადესად მეტყველებს, რომ აზრი კათოლიკობის წვალებად და ერესად მიჩნევის შესახებ არა მარტო ქართლის მეფე თეიმურაზმა მოინანია (შეკითხვა, „კათოლიკებს ხომ შეიწყნარებენო“, სინანულის ნაყოფია), არამედ მისმა სულიერმა მოძღვარმა და ასევე, დიდი ალბათობით, მისმა თანმხლებმა დასმა, რომელმაც ცხებული მეფის უკანასკნელი სიტყვები მოისმინა და შთამომავლობას შემოუნახა.

რა შეგვიძლია ვთქვათ მეფე ერეკლეზე II-ზე? შეუძლებელია, მამის ასერიგად გარდაცვალების ამბავს მის ყურამდე არ მიეღწია; შეუძლებელია, მისთვის არავის

ეთქვა, შენმა ნეტარად ხსენებულმა მამამ უკანასკნელ აღსარებაში თავის თავს „აღმოსავლეთის კათოლიკე“ უწოდაო. თუ რას ნიშნავს „აღმოსავლეთის კათოლიკე“, იმდროინდელ საქართველოში ყველას კარგად მოეხსენებოდა: აღმოსავლური (იგივე მართლმადიდებლური) წესის კათოლიკეს, ფერარა-ფლორენციის კრების (1438-1439) მიმდევარს, უნიატს, სულხან-საბა ორბელიანის თქმით, — მართლმადიდებელ კათოლიკეს. უნდა ვიფიქროთ, რომ ერეკლემ, უკვე ქართლისა და კახეთის გაერთიანებული სამეფოს ხელმწიფემ, გულთან მიიტანა მამის სიტყვები, განსასვენებელ ზიარებაზე წარმოთქმული, და სინანულის ნაყოფად მიიჩნია ისინი. ალბათ ამ ვითარებამაც განაპირობა ის ფაქტი, რომ მან (ერეკლემ, სიყვარულით „პატარა კახმა“) ანტონ კათალიკოსის აღმსარებლობასთან დაკავშირებული ამბების მინელების შემდეგ კათოლიკური ეკლესიის მიმართ ინტერესი და პატივისცემა გამოამჟღავნა და ამ ეკლესიის სასულიერო პირები ქართლ-კახეთის სამეფოში უპრობლემოდ დააბრუნა, მაგრამ 1755 წელს ჩამორთმეული ეკლესიები და საეკლესიო სახლები ისევ მართლმადიდებელთა განმგებლობაში რჩებოდა. ამის მიუხედავად ამ ნაგებობების კათოლიკური წარმომავლობა დიდხანს შემორჩა გორის როგორც კათოლიკე, ისე მართლმადიდებელი მოსახლეობის მეხსიერებას. დასტურად შეგვიძლია მოვიყვანოთ როგორც მართლმადიდებელთა ეპისკოპოს წმ. კირიონ საძაგლიშვილის, ისე კათოლიკეთა მოძღვარ გაბრიელ ასლანიშვილის ინფორმაციები (საძაგელოვ-ივერიელი 1893; ასლანიშვილი 1899). მათ თანახმად XIX-XX სს-ის მიჯნაზე მცხოვრებ გორელებს ეს ცოდნა მყარად ჰქონდათ შემონახული.

ღვთისმსახურება პირველად გორის კათოლიკურ

ეკლესიაში განახლდა 1757 წლიდან, ოღონდ არა რეგულარულად და არა მის კუთვნილ ტაძარში. ვიმეორებთ, ეს ტაძარი უკვე მართლმადიდებლების ხელში იყო. ამასთანავე, ჩანს, იგი ქალაქში ყველაზე მონუმენტურად გამოიყურებოდა და ამის გამო მთავარ ეკლესიად იქცა. სწორედ ამიტომ ამ ეკლესიაში უნდა წაეკითხათ 1802 წლის 25 მაისს მანიფესტი საქართველოში „ახალი წესების" (რუსული მმართველობის) დამყარების შესახებ (შდრ. ბუხნიკაშვილი 1940:160).

რიგორც ვხედავთ, გორის კათოლიკურმა ეკლესიამ 1755 წელს ჩამორთმეული ტაძარ-ეკლესიის დაბრუნება ვერ შეძლო. გავითვალისწინოთ, რომ ეს ტაძარი უკვე მართლმადიდებელთა ხელში იყო და თანაც მეფეთა ნებით და, ეჭვი არაა, საეკლესიო კრების დადგენილებით. დიახ, ეს ნაგებობა კათოლიკურ ეკლესიას საეკლესიო კრებამ ჩამოართვა. ამის გამო ამ დადგენილების გაუქმება ადვილად ვერ მოხდებოდა. მაგრამ კომპენსაცია შესაძლებელიც იყო და სასურველიც. და, აი, ვხედავთ (თუ ისევ მე–18 ს–ის მეორე ნახევარში დავბრუნდებით), რომ ორივე მეფემ პოზიცია გამოიცვალა. ერეკლემ გორის ადმინისტრაციას (მამასახლისსა და ციხისთავს) კათოლიკე მისიონერების დაცვა დაავალა, რათა ამ ეკლესიას (მღვდლებს და მორწმუნეთა კრებულს) თავი უსაფრთხოდ ეგრძნოთ. მართლმადიდებლების ხელში იყო, აგრეთვე, კათოლიკეთა საეკლესიო სახლი (კათოლიკურ მონასტრად ცნობილი), რის გამოც კათოლიკეები კერძო ბინებში, მეტწილად ზუბალაშვილების ოჯახში, იკრიბებოდნენ. ასე გაგრძელდა მანამ, სანამ იმავე მეფის ოფიციალური დასტურით გორის კათოლიკური ეკლესიის წინამძღვრად პატრი გიორგი თაურინელი დაინიშნებოდა. იგი სამრევლოში 1767 წლის 14 მარტს შევიდა და

დაიკავა ის სახლი, რომელიც ხელისუფლებამ ამ ეკ-ლესიას დაუთმო. იქ, დარბაზში, გაიმართა ტრაპეზი და საეკლესიო საიდუმლოებების შესრულება დაიწყო, რაც აღარ შეწყვეტილა ახალი ეკლესია-ტაძრის აშენ-ებამდე (იხ. ქვემოთ). 1781 წლის 20 ნოემბერს მეფემ გა-მოსცა სიგელი, რომლის ძალით გორის კათოლიკურ მოსახლეობას გარკვეული საგადასახადო შეღავათები დაუწესდა. მეტიც: მეფემ კათოლიკეებს მიუზომა ად-გილი, რათა ახალი ეკლესია აეშენებინათ ჩამორთმე-ულის სანაცვლოდ. მშენებლობის სამზადისი დაიწყო, მაგრამ სხვადასხვა მიზეზის გამო პროცესი გაიწელა და მომდევნო საუკუნეში გადავიდა (ჩანს, გორელი და თბილისელი კათოლიკეები ძველი ეკლესიების დაბ-რუნების იმედს არ კარგავდნენ). გორის კათოლიკურ ეკლესიას დიდად სწყალობდა დედოფალი დარეჯანი, რომლის მატერიალური და მორალური თანადგომით კათოლიკეებმა ამ ქალაქში გლახაკთა თავშესაფარი ააშენეს (წყაროები — მამისთვალიშვილი 1994:331-333).

ეკლესიების მშენებლობის გაჭიანურების ძირი-თად მიზეზად ორ გარემოებას ასახელებენ: (1) სომხე-ბის წინააღმდეგობას და (2) საქართველოს რუსეთთან დაკავშირებას. პირველი მიზეზის საფუძველი ნათე-ლია: სომხები, რომლებიც მეტწილად ვაჭრობას მის-დევდნენ, კონკურენტებს ხედავდნენ კათოლიკეებში, რომლებიც ასევე მეტწილად ვაჭრობას მისდევდნენ. ისინი (ანტიქალკედონიტი, ე. წ. გრიგორიანი სომხები) ხშირად ქრთამს აძლევდნენ სამეფო ადმინისტრაციას, რათა ამ უკანასკნელს კათოლიკეები (როგორც ქარ-თველები, ისე მათივე თვისტომნი) შეევიწროებინათ. მათ 1782 წელს ქვები დაუშინეს გორის კათოლიკეთა სახლს და სისხლისღვრაც მოხდა. ვითარება იმდენად

დაიძაბა, რომ მეფე ერეკლეს საქმეში ჩარევა გახდა საჭირო. რაც შეეხება რუსეთის ფაქტორს, აღმოსავლეთ საქართველო ამ ქვეყანას ოფიციალურად 1783 წლიდან, გეორგიევსკის ტრაქტატიდან, დაუკავშირდა და თანდათანობით, განსაკუთრებით კი 1800-1801 წლებიდან, აქ კათოლიკური ეკლესიების საქმიანობას ის შეზღუდვები დაუწესდა, რაც რუსეთის იმპერიაში არსებობდა: ამ ეკლესიებს სავაჭრო, სამეურნეო და საქველმოქმედო საქმიანობის უფლება ჩამოერთვა. ამასთანავე (რაც ყველაზე დიდი დარტყმა აღმოჩნდა): მისიონერები დასავლეთ ევროპის ქვეყნების პოლიტიკურ აგენტებად გამოცხადდნენ და დაიწყო მათი საქართველოდან განდევნის პროცესი. მისიონერების ადგილი დაიკავეს სამი კატეგორიის სასულიერო პირებმა: (1) ადგილობრივმა კათოლიკე მღვდლებმა, რომლებიც თითო-ოროლა იყვნენ (2) პოლონეთიდან (რუსეთის იმპერიის შემადგენელი ნაწილიდან) ჩამოსულმა პატრებმა, რომლებმაც ქართული არ იცოდნენ და სხვა ქვეყნებში მუშაობის გამოცდილებაც არ ჰქონდათ და (3) სომეხმა კათოლიკე მღვდლებმა, რომლებიც უნიატები ანუ სომხური ტიპიკონის მიმდევრები იყვნენ და ქართველთა შორისაც (განსაკუთრებით მესხეთში) სომხური წესის ღვთისმსახურება შემოჰქონდათ. ამ გარემოებამ დამატებითი პრობლემები წარმოშვა და ქართველ კათოლიკეებში ღვთისმსახურების უნიის პრინციპებზე (ქართულენოვან ბერძნულ ტიპიკონზე) მოწყობის სურვილი გააღვივა (დობკევიჩი 1898).

მიუხედავად იმისა, რომ გორის კათოლიკურ ეკლესიას დიდხანს (ნახევარი საუკუნე) მოუწია საღვთისმსახურო ტაძრის გარეშე ყოფნა, საქართველოს დამოუკიდებლობის ხანაში მის არსებობას საფრთხე

არ შექმნია. გორის კათოლიკური ეკლესია ამ დროს (XVIII-XIX სს-ის მიჯნაზე) არა მარტო გორსა და მის შემოგარენს, არამედ ცხინვალისა და ზემოქართლის სხვა სოფლების კათოლიკეებს აერთიანებდა. ცხინვალში, მაგალითად, ამ დროს ოცი კომლი კათოლიკე ირიცხებოდა და მათ იქ სამლოცველო სახლი ჰქონდათ. გორის კათოლიკური ეკლესია მისიონერულ მოღვაწეობას ოს მოსახლეობაშიც ეწეოდა და ამ ხალხში საკმაო ავტორიტეტით სარგებლობდა (მამისთვალიშვილი 1994:334). ეს, ცხადია, არც ოპონენტების და არც მტრების არსებობას არ გამორიცხავს როგორც სომხების, ისე ქართველების და, ბოლოს, რუსების მხრიდან. ამიტომ არაა გასაკვირი, რომ გზადაგზა არასასურველი ექსცესები და ტრაგიკული ამბებიც ხდებოდა. გორის კათოლიკური ეკლესია არც ყაჩაღური თავდასხმებისაგან იყო დაზღვეული. 1772 წელს, მაგალითად, მისი მოძღვარი ოსმა ბანდიტებმა შეიპყრეს და მოკლეს (გიულდენშტედტი 1962:109).

როდესაც საქართველოში რუსეთის მმართველობა დამყარდა, თბილისელმა და გორელმა კათოლიკეებმა ახალ მთავრობას 1755 წელს ჩამორთმეული საეკლესიო შენობების დაბრუნების თხოვნით მიმართეს. მთავრობამ განიხილა ეს წინადადება, მაგრამ იგი დადებითად ვერ გადაწყვიტა. მიზეზად იგივე გარემოება დაასახელა, რასაც საქართველოს კათალიკოსი და სხვა სასულიერო და საერო პირები 1802 წელს ასახელებდნენ, – უკვე დიდი ხანია, რაც ეს ეკლესიები მართლმადიდებელთა ხელშია, რის გამოც მათი ძველი პატრონისათვის დაბრუნება შეუძლებელია, თუმცა კათოლიკეებს ახალი ეკლესიების აშენების უფლება აქვთ! (წყაროზე მითითება: პაპაშვილი 1995:300; 2009:68). ამის შემდეგ კათოლიკეებმა მიიღეს გადაწ-

ყვეტილება, გორსა და თბილისში ახალი ეკლესიების მშენებლობა დაეწყოთ. და დაიწყეს კიდეც.

გორის კათოლიკური ეკლესიის აშენებასა და გამშვენებაში დიდი წვლილი შეუტანიათ ქართველ დომინიკანელ მღვდელ ონოფრეს, პატრ მარიუსსა და ზუბალაშვილების განთქმულ საგვარეულოს, რომელსაც გორში XVII ს-იდან ვხედავთ (ფეიქრიშვილი 2011:30). ამ გვარის წარმომადგენლები, ტრადიციისამებრ, ვაჭრობასა და ბანკირ-ფინანსისტობას მისდევდნენ, ქველმოქმედებით გამოირჩეოდნენ და კათოლიკური ეკლესიის ერთგული შვილები იყვნენ. ისინი და მათი თანამოსაგრე კათოლიკეები, როგორც ჩანს, მხარში უდგნენ ქართლ-კახეთის კათოლიკეთა იმდროინდელ პრეფექტს ფრანჩესკო პადუელს, რომელმაც ამ მიმართულებით მოღვაწეობა 1797 წლიდან დაიწყო (პაპაშვილი 2009:67). რაც შეეხება პატრი მარიუსს, მას ასე ახასიათებს მისი მემკვიდრე, გორის კათოლიკური ეკლესიის ერთ-ერთი უკანასკნელი წინამძღვარი გაბრიელ ასლანიშვილი: იგი იყო „ყოვლად კეთილი სიწმიდით, ეგრეთვე სწავლით და განათლებით. პატრი მარიუსი მიიცვალა 79 წლის, 1823 წლის იანვრის 23 და დასაფლავებულ იქმნა თვის მიერ აღშენებული საკურთხევლის წინაშე“ (ასლანიშვილი 1899).

ეს ის ეკლესიაა, რომელიც დღესაც დგას და თვალის ერთი შევლებაც საკმარისია, რომ ვთქვათ: ეს კათოლიკური ეკლესიაა! ამ ეკლესიის მშენებლობის დასრულებისა და მისი სატფურების (განახლების, ენკენიის) თარიღი თანამედროვე სამეცნიერო ლიტერატურაში მითითებული არაა. ვერც თამარაშვილის წიგნებში ვპოულობთ ზუსტ პასუხს: ერთგან 1810 წელია მითითებული (1995:702), მეორეგან — 1822 წლის სექტემბერი. ეს თარიღი მოცემულია პატრ ფილიპეს

მოხსენებაში, რომელიც დათარიღებულია 1830 წლის 6 მარტით და რომელშიც აღნიშნულია: „გორის სამრევლო ეკკლესიაც ახლად აშენებულია, მაგრამ ერთიან დასრულებული ჯერ არ არის გავლილის ომების გამო, რამაც შიმშილი ჩამოაგდო აქ. გარნა ეკლესიას სართული დაეხურა თუ არა, მაშინვე დიდის გამოჩვენებით აკურთხეს და დაიწყეს შიგ წირვა-ლოცვის შესრულება 1822 წლის სექტემბრის თვეში. ეს ეკლესია, როდესაც კი მთლად დასრულდება, მეტად მშვენიერი რამ იქნება. იქ 30 მოსახლე კათოლიკეა“ (თამარაშვილი 1902: 515).

ჩვენთვის უცნობია ამ „დიდის გამოჩვენებით კურთხევის“ აღწერილობა. უნდა ვიფიქროთ, რომ ის ისევე მშვენიერად და შთამბეჭდავად წარიმართა, როგორც ანალოგიური მოვლენა თბილისში 1807 წელს. მაშინ (თბილისში) ძველი ეკლესიიდან (სამლოცველო სახლიდან) ზარ-ზეიმით გადმოუსვენებიათ საეკლესიო ჭურჭელი და სიწმინდეები (სანაწილეები, ჯვრები და ხატები). გაისმოდა გალობისა და ორკესტრის ხმები. ცერემონიალში თურმე თბილისის მოსახლეობა თითქმის სრულად ყოფილა წარმოდგენილი: მართლმადიდებლებიც და სომხებიც თავ-თავიანთი ეპისკოპოსებით. მობრძანებულა უწმინდესი და უნეტარესი კათალიკოს-პატრიარქი ანტონ II, მეფე ერეკლეს ძე, საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის მიერ აწ წმინდანად შერაცხილი მღვდელმთავარი. მას თბილისის მიტროპოლიტთან ერთად განახლებულ კათოლიკურ ეკლესიაში შესვლა და საზეიმო წირვის (მესის) მოსმენა უნებებია (თამარაშვილი 1902:497). ეჭვი არაა, გორის კათოლიკური ეკლესიის სატფურებაშიც თანამოქალაქე კათოლიკეებს, დედაქალაქელი თანამოქალაქეების მსგავსად, თანადგომას ადგილობრივი

მართლმადიდებელი ქართველი და არაქალკედონიტი სომეხი საერო და სასულიერო პირებიც გამოუცხადებდნენ. ვვარაუდობთ, რომ არსებობს სათანადო მასალა, რომელიც პროფესიონალი და პატიოსანი მკვლევრის თვალსა და კალამს ელოდება.

მართლმადიდებელი რუსეთის საიმპერიო რეჟიმის პირობებში გორის კათოლიკურმა ეკლესიამ არსებობის შენარჩუნება და წარმატების მიღწევა შეძლო. ამ დროს ამ ეკლესიას, გარდა ძირითადი საღვთისმსახურო შენობისა (საკუთრივ ეკლესიისა), ჰქონდა ერთი ბაღი და ორი დუქანი. გორის კათოლიკურ ეკლესიასთან არსებობდა „წმინდა სავარდის ძმობა“ ანუ იგივე მონასტერი, რომლის ორსართულიანი სახლი რვა ოთახისაგან შედგებოდა. მის გვერდით მდებარეობდა ექვსოთახიანი სახლი, რომელშიც განთავსებული იყო სკოლა და სამკერვალო (პაპაშვილი 2009:77). აღნიშნული საძმოს გულმოდგინე შრომის შედეგად შესაძლებელი გახდა ტაძრის ინტერიერის მოხატვა და შესაბამისი ინვენტარით აღჭურვა. ეს ეკლესია აქტიურად იყო ჩართული მშობლიური ქალაქისა და მხარის საზოგადოებრივ-კულტურულ პროცესებში, რომლის დასტურად თუნდაც ის ფაქტი გამოგვადგება, რომელიც ზემოთ გავიხსენეთ: გორში ქართულად წიგნის ბეჭდვის ისტორიის სათავესთან გორის კათოლიკური ეკლესიის დგომა და კიდევ ბევრი სხვა, იქნება ეს გორელი კათოლიკეების წვლილი ქართული დიპლომატიის, მედიცინისა თუ მეცნიერების სხვა დარგების განვითარების საქმეში, რაც საგანგებო გამოკვლევას მოითხოვს. გორის სახელმწიფო ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მუზეუმში, საქართველოს სხვა სიძველეთსაცავებსა და დიდ ბიბლიოთეკებში ხშირად შეხვდებით ხელნაწერებსა და რარიტეტულ წიგნებს, რომლებსაც

ახლავთ მინაწერი: „გორის კათოლიკური ეკლესიიდან“. ეს ამ ეკლესიაში სიძველეთა მდიდარი კოლექციის არსებობაზე მეტყველებს და მიგვანიშნებს, რომ გორელი კათოლიკეები (როგორც სასულიერო, ისე საერო პირები) მაღალი სამოქალაქო და ეროვნული შეგნებით გამოირჩეოდნენ; ამზადებდნენ ხელნაწერ წიგნებს და ძველი ქართული სასულიერო მწერლობის ძეგლების გადარჩენისათვის მეცადინობდნენ (პაპუაშვილი 2008:185). ამდენად, გორელ კათოლიკეებს საერთო-სახალხო პროგრესში საკუთარი წვლილი შეჰქონდათ და ვინ იცის, რამდენად ბევრი სიკეთის მოტანას შეძლებდნენ ისინი ამ გზაზე, რომ არა XX ს-ის 20-30-იანი წლები, როდესაც ამ ეკლესიას, ისე როგორც ბევრ სხვა ეკლესიას (მართლმადიდებლურსაც და არამართლმადიდებლურსაც), საბჭოთა იდეოლოგიურმა წნეხმა თავისუფლად სუნთქვის საშუალება მოუსპო.

როდესაც ამ წნეხმა საქართველოში ძალა და სუსხი გამოაჩინა, გორის რაიონში ორი კათოლიკური ეკლესია მოქმედებდა: თვით გორში და სოფელ სკრაში. ხელთ გვაქვს 1924 წლის დოკუმენტი (გორის არქივი, ფონდი 3), რომლის თანახმად იმ დროს გორის ეკლესიას კონსტანტინოპოლსა და რომში განსწავლული მღვდელი კონსტანტინე საფარაშვილი ემსახურება, სკრისას კი — სტანისლავ კაჭკაჭიანი. 1920 წლის კატასტროფული მიწისძვრის, პოლიტიკური კატაკლიზმებისა და მასობრივი ანტირელიგიური ისტერიის უფრო და უფრო გაღრმავების მიუხედავად გორის კათოლიკური ეკლესია არსებობას ასე თუ ისე ინარჩუნებდა. შემონახულია ხელნაწერი წიგნი, სასულიერო თხზულებების კრებული (გორის ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმი, ხელნაწერი 84), რომლის მრავალრიც-

ხოვანი ანდერძ-მინაწერები ცხადყოფს, თუ რაოდენ დიდი ენთუზიაზმით უმკლავდებოდა ეს ეკლესია უღმერთობის ტალღას. ბრძოლა 1937 წლამდე გაგრძელდა, — იმ დღემდე, ვიდრე საბჭოთა მთავრობა ტაძრის კარიბჭეს დალუქავდა და შენობას ჯერ საწყობად, შემდეგ კი სპორტულ დარბაზად გადააქცევდა.

1989-1991 წლებში, ანუ პერესტროიკის ბოლო ფაზაში, თითქმის მოულოდნელად მართლმადიდებლური ნაციონალიზმი გააქტიურდა. მისმა ტალღამ, რაღაც ერთიანი დარტყმით, მართლმადიდებელთა ეკლესიებს გადასცა ის არამართლმადიდებლური წარმომავლობის ტაძარ-ეკლესიები (რამდენიმე გამონაკლისის გარდა), რომლებსაც იმხანად რელიგიური ფუნქცია წართმეული ჰქონდათ, თუმცა მათი თავდაპირველი დანიშნულება და მისია არავითარ ეჭვს არ ბადებდა. ასეთივე ბედი ეწია გორის კათოლიკურ ეკლესიას. იქ მართლმადიდებელი მრევლი შევიდა და წირვა-ლოცვის შესრულება დაიწყო; შენობა მალე გორის მართლმადიდებელი ეპისკოპოსის კათედრად გამოცხადდა. და ეს მოხდა იმის მიუხედავად, რომ ცოდნა აღნიშნული შენობის კათოლიკური წარმომავლობის შესახებ ყოველი გორელისა თუ არაგორელის ძვალსა და რბილში იყო გამჯდარი.

ამ და სხვა ანალოგიური ფაქტების გამო საქართველოს კათოლიკეებმა და ამ ქვეყნის პოლიტიკურ-კულტურული ელიტის რამდენიმე წარმომადგენელმა პროტესტი იმთავითვე გამოაცხადეს (რასაც ზემოთ შევეხეთ), მაგრამ ეს პროტესტი მაშინდელ საყოველთაო ორომტრიალსა და უწესრიგობაში ჩაიკარგა. იგი (პროტესტი) მას შემდეგ გაძლიერდა, რაც გორის კათოლიკური ეკლესიის ახალმა პატრონმა ამ შენობისა და მისი გალავნის რეკონსტრუქცია დაიწყო. უკვე ყვე-

ლასათვის ცხადი გახდა, რომ ეს რეკონსტრუქცია მიზნად ისახავდა ტაძრის კათოლიკური წარმომავლობის და წარსულის დამადასტურებელი კვალის მოშლას და მოსპობას. რეკონსტრუქცია შეეხო როგორც შიდა ინტერიერს: საკურთხეველს, ჩუქურთმებს, პატრონიკესა და კედლის მხატვრობას, ისე გარე ფასადებსა და ეზოკარმიდამოს. ბეტონის მასით გადაფარეს ქართულ-ლათინურენოვანი საფლავის ქვები და ეპიგრაფიკის სხვა ძეგლები. დაიკარგა ცნობილი საზოგადო მოღვაწის, გამომცემლისა და პუბლიცისტის მღვდელ დომინიკე მუღაშაშვილ-პაწაძის საფლავის ფილა და სიძველის სხვა ნიმუშებიც (თუმცა აღნიშნული ახალი მეპატრონე, როგორც ეს დეკ. ღვთისო სეხნიაშვილის ქვემოთ დამოწმებული და განხილული წერილიდან ჩანს, გვპირდება, რომ დასახელებული ფილა „დღემდე დაცულია... და იგი პირვანდელ ადგილს დაიკავებს“). ამ ქმედებამ, რომელმაც მიზანმიმართული კამპანიის სახე 2001-2002 წლებში მიიღო, აღაშფოთა აგდილობრივი კათოლიკური მოსახლეობა. ჩვენ ხელთაა რამდენიმე საპროტესტო განცხადების ტექსტები, რომლებიც დაწერილია საქართველოს ძეგლთა დაცვის დეპარტამენტის თავმჯდომარისა და პრეზიდენტ ედუარდ შევარდნაძის სახელზე. განცხადებები შედგენილია როგორც კერძო პირების, ისე კათოლიკური საეკლესიო უწყებების მიერ. ისინი ხაზს უსვამენ იმ გარემოებას, რომ ამ ეკლესიის სპეციფიკური ნიშნები კომუნისტებსაც კი არ შეურყვნიათ ისე და იმ მასშტაბით, როგორც ამას დღეს მართლმადიდებლებად ცბობილი ადამიანები აკეთებენ. ყურადღებას იმსახურებს მართლმადიდებელი მოქალაქის ჯუმბერ ხუციშვილის განცხადება (დათარიღებული 2002 წლის 14 დეკემბრით), რომელშიც გამოხატულია აღშფოთება იმ ვანდალიზმის გამო,

რაც გორის კათოლიკურ ეკლესიაში ხდება მისივე თანამორწმუნეების მიერ. ავტორი ამ სიტყვებით მიმართავს აღნიშნული დეპარტამენტის უფროსს ბ-ნ კახა ტრაპაიძეს: „გთხოვთ, მიაქციოთ ყურადღება გორის კათოლიკური ეკლესიის შენობას, რომელიც ჩავარდნილია სავალალო მდგომარეობაში და ჩემში იწვევს უსიამოვნო გრძნობას, რომ საქართველოში, ქრისტიანულ ქვეყანაში, ხდება ასეთი ფაქტი ქრისტიანული ძეგლებისა და ქრისტიანული ისტორიის მიმართ“.

აღნიშნულ პროტესტს შესაბამის ინსტანციებში გარკვეული ყურადღება და რეაქციაც მოჰყვა. პრეზიდენტის მითითების საფუძველზე ჩატარდა ინსპექცია და აღინიშნა, რომ ის სამუშაოები, რაც ადგილობრივი მართლმადიდებლების მიერ თვითნებურად მიმდინარეობს გორის კათოლიკურ ეკლესიაში, არის „კულტურული მემკვიდრეობის დაცვის შესახებ“ კანონის 25-ე და 37-ე მუხლების „უხეში დარღვევა“. ამიტომ მიღებულ იქნა დადგენილება რეკონსტრუქციის შეწყვეტის შესახებ (წინააღმდეგ შემთხვევაში საქმე სასამართლოს უნდა გადასცემოდა). სარეკონსტრუქციო სამუშაოები იმხანად შეჩერდა. მართალია, ძეგლთა დაცვის დეპარტამენტმა 2002 წლის დეკემბერში დაავალა პრეზიდენტის სამხარეო რწმუნებულს შიდა ქართლში და გორის რაიონის გამგებელს, გაეტარებინათ შესაბამისი ღონისძიებები, რათა ძეგლს დაბრუნებოდა „პირვანდელი სახე“, მაგრამ გაფუჭებული საქმის გამოსწორება დღემდე ვერ მოხერხდა. ერთაერთი, რაც საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრომ მოახერხა, არის ის, რომ მან აღნიშნულ ეკლესიას 2008 წლის 4 მარტს (ბრძანება №3/36) მიანიჭა *კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის* სტატუსი, რაც მას, სავარაუდოდ, თვითნებური რეკონსტრუქციისაგ-

ან რამდენადმე მაინც დაიცავს.

გორის რაიონის კათოლიკეების (გორისა და ახალხიზას ეკლესიების) რიგით ბოლო თხოვნა (დათარიღებული 2011 წლის 15 დეკემბრით), რომელსაც ჩვენ ვიცნობთ, დაწერილია საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის იერარქებისა და შესაბამისი სამთავრობო ინსტანციების სახელზე. მასში აღნიშნულია: ჩვენი სულიერი წინაპრების მიერ აშენებული ეკლესიებისა და, კერძოდ, გორის კათოლიკური ეკლესიის დაბრუნების თაობაზე ჩვენმა „მრავალგზისმა თხოვნამ უშედეგოდ ჩაიარა". „მას შემდეგ მიზანმიმართულად მიმდინარეობს აღნიშნული ტაძრის ინტერიერისა და ექსტერიერის გადაკეთება-დამახინჯება ეკლესიის კათოლიკურობის კვალის წაშლის მიზნით... ამ ვანდალურ აქტს შეეწირა მამა დომინიკე პაწაძის საფლავიც, რომელსაც ბეტონის სქელი ფენა გადააგეს. საფლავის ქვაც, ქართული და ლათინური წარწერით, ამოღებულ იქნა ტაძრის ფასადიდან. ცხადია, ესეც კათოლიკურობის კვალის წაშლისა და მომავალი თაობებისათვის თვალის ახვევის მიზნით გაკეთდა. ჩვენ, ქართველი კათოლიკეები, გულისტკივილით ვადევნებთ თვალყურს, თუ როგორ ცდილობენ საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიაზე ქართული კულტურის ძეგლების ვანდალურ გადაკეთებას ქართული კვალის წაშლის მიზნით. ამასთანავე, ჩვენ გულგრილად ვერ ვუყურებთ საკუთარ ქვეყანაში ჩვენი წინაპრების მიერ აგებული ტაძრებისა და მათი საფლავების ხელყოფასა და შეურაცხყოფას. მოგმართავთ თხოვნით, თქვენ ხელთ არსებული უფლებამოსილებით აღადგინოთ მამა დომინიკეს საფლავი, რითაც არა მხოლოდ სამართალს გაუჩენთ საქართველოს წარსულის ერთ მნიშვნელოვან ფურცელს, არამედ გამოავლენთ მიცვალებულთა

მიმართ პატივის მიგების ქრისტიანულ ვალს“. ჯერჯერობით არც ეს თხოვნა არ არის დაკმაყოფილებული.

მთავარია, თავი ვიმართლოთ

შევაჯამოთ, რაც ზემოთ ვთქვით: გორის კათოლიკური ეკლესია არის საფუძველჩაყრილი, აშენებული და ნაკურთხი როგორც კათოლიკეთა ეკლესია. ამ ფაქტის რეალურობა და სამართლიანობა კითხვის ნიშნის ქვეშ არც საეკლესიო და არც სახელმწიფო ინსტიტუციას არ დაუყენებია. ამის გამო მართლმადიდებელთა ეკლესიის ამ ეკლესიაში (საეკლესიო შენობაში) ყოფნა ყოველგვარ იურიდიულ საფუძველს მოკლებულია. ანალოგიური ვითარებაა საქართველოს კათოლიკური ეკლესიების უმრავლესობაში. ამიტომ: ისტორიული მემკვიდრეობის მიტაცების გამო საქართველოს სხვადასხვა კუთხის კათოლიკეებმა პროტესტი სიტყვიერადაც და წერილობითაც არაერთგზის გამოხატეს (ბოლო პუბლიკაცია: „საბა“, 2008, № 7); დაიწერა და გამოქვეყნდა რამდენიმე ნარკვევი, რომელშიც აღნიშნული პრეტენზიების საფუძვლიანობას გაესვა ხაზი; შესაბამისმა არგუმენტებმა რეგიონულ და საერთაშორისო სიმპოზიუმებზეც გაიჟღერა. ამან აიძულა საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის ამჟამინდელი მესვეურები და მათთან კავშირში მყოფი მეცნიერები, კონტრარგუმენტების ძებნა დაეწყოთ და აღნიშნული პროტესტისათვის წერილობითი პასუხი გაეცათ. ამის ნიმუშია (1) ის პუბლიკაციები, რაც უკვე დავიმოწმეთ და (2) სამთავისისა და გორის ეპარქიის მმართველის მდივნის დეკანოზ ღვთისო სეხნიაშვილის რამდენიმე ადრესატისათვის განკუთვნილი

და გავრცელებული ოფიციალური ახსნა-განმარტება, რომელიც ამჟამად, ასევე, ჩვენი მხედველობის არეში მოექცა.

აღნიშნული ახსნა-განმარტება დათარიღებულია 2012 წლის 7 მარტით და, ჩანს, განკუთვნილია პასუხად გორისა და ახალხიზას კათოლიკური ეკლესიების ზემოთ დასახელებულ (2011 წლის 15 დეკემბრის) წერილზე. ამ დოკუმენტის მიზანია, შექმნას ილუზია, თითქოს დამტკიცებულია, ანდა შესაძლებელია დამტკიცდეს გორის ამჟამინდელი საკათედრო ტაძრის მართლმადიდებლური წარმომავლობა; თითქოს ცნობილია „ისტორიული წყაროები“ (და მათი მითითება საჭირო აღარაა), რომელთა თანახმად აღნიშნული ტაძარი 1802 წელს მართლმადიდებელთა საკუთრება იყო და „იგი 1806 წელს კათოლიკეებს რუსებმა გადასცეს“; თითქოს ყველასთვის გასაგები და დამაჯერებელი უნდა იყოს და თითქოს წარმოუდგენელია, რომ დავა გამოიწვიოს, თუ ვიტყვით მშრალად და დეკლამაციურად: „ეს ის დროა, როდესაც ჩვენს ქვეყანას დაკარგული ჰქონდა როგორც საეკლესიო, ისე სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა და, ბუნებრივია, ამ პერიოდში მიღებულ გადაწყვეტილებებს ვერ გაითვალისწინებს ჩვენი ეკლესია“.

საიდან „1802 წელი“?

ვკითხულობთ ხმობილ სტრიქონებს და იმდენივე შეკითხვა გვებადება, რამდენი გამონათქვამიცაა მათში: რომელი „ისტორიული წყაროები“ იგულისხმება ამ შემთხვევაში და სად არის ეს წყაროები? რას ნიშნავს

„გორის ტაძარი“ 1802 წელს „მართლმადიდებლების საკუთრებაში იყო“ ანუ: მანამდე სხვის (კათოლიკეების, სომხების თუ კიდევ სხვის) საკუთრებაში იყო? ანდა: რას ნიშნავს „გორის ტაძარი“? — იმ დროს, 1802 წელს, გორში ერთი ტაძარი იყო? მას სახელობა არ გააჩნდა? თუ ის (რაც იგულისხმება) 1802 წელს „მართლმადიდებლების საკუთრებაში იყო“, ვის საკუთრებაში იყო იგივე ტაძარი ამ წლიდან 1806 წლამდე? რის გამოა მახვილი დასმული 1802 წელზე? რა მოხდა ამ წელს და რა კავშირი აქვს მას, რაც მოხდა, იმ პრობლემასთან, რის გარშემო ჩვენ ახლა ვმსჯელობთ? საიდან გაჩნდა, საიდან მოდის ეს „1802 წელი“? რუსებმა, რომლებიც საქართველოშიც (და სხვაგანაც) მართლმადიდებლობის დაცვის მოტივით შემოვიდნენ, როგორ და რა მექანიზმით მოახერხეს აღნიშნული ტაძრიდან მართლმადიდებლების გამოყრა და შიგ კათოლიკეების შეყვანა 1806 წელს? ნუთუ ორმა-სამმა მართლმადიდებელმა მაინც არ აღიმაღლა ხმა ამ ბარბაროსობის წინააღმდეგ? და თუ აღიმაღლა, როგორ დავიჯეროთ, რომ რუსებმა ისე კაპიტალურად ჩაახშვეს თანამორწმუნეთა ხმა, რომ ამ პროტესტის ერთ დოკუმენტს, თუნდაც ფარატინა ქაღალდსაც კი, არ მოუღწევია ჩვენამდე? ეს ისეთი სენსაციური განცხადებაა, რომ ახსნა-განმარტების გარეშე მისი გაკეთება მხოლოდ სიტყვებით თამაშს ჰგავს. წინადადება, რომელიც ამ განცხადებას მოსდევს, ახსნა-განმარტებად ვერ ჩაითვლება. ამის გამო მოვიხსენიეთ ეს ადგილი დეკლამაციად, ანუ სიტყვებად, რომლებიც ერთმანეთთან თანწყობაში კი იმყოფებიან, მაგრამ აზრს და ლოგიკას მოკლებული არიან. დეკანოზი გვარწმუნებს, რომ ეს ტაძარი („გორის ტაძარი“) საქართველოს საპატრიარქოს „მოსახლეობის მოთხოვნის საფუძველ-

ზე“ გადაეცაო. სახარების მოძღვარს, როგორც ჩანს (ყველაფერ სხვას თავი რომ დავანებოთ), ავიწყდება ის, რაც მას (და სწორედ მას, სახარების მოძღვარს) არ უნდა ავიწყდებოდეს: ჩვენი მხსნელი და მაცხოვარი იესო ქრისტეც სწორედ მოსახლეობის მოთხოვნის საფუძველზე გადაეცა სამსჯავროს! განა იერუსალიმის მოსახლეობის უმრავლესობა არ იყო, რომ ყვიროდა: „ჯვარს აცუ ეგე!“? (მარკოზი 15:13-14; ლუკა 23:21). მოსახლეობის უმრავლესობა განა ყოველთვის ყველაფერს სამართლიანად მოითხოვს.

დიახ, უცნაური და აზრს მოკლებულია განცხადება: რუსების ბატონობის პერიოდში მიღებულ გადაწყვეტილებებს ვერ გავითვალისწინებთ! ბატონებო, გადახედეთ თუნდაც თბილისის არქიტექტურას. ჩვენ თვალწინ მყოფი ტაძრებისა თუ სხვა ისტორიული სახლების უმრავლესობა განა „ამ პერიოდში მიღებული გადაწყვეტილებების“ ნაყოფი არ არის?! არ ვაღიაროთ „ამ პერიოდში მიღებული გადაწყვეტილებების“ ლეგიტიმურობა ქაშვეთის, სამების, დიდუბის, კუკიის, ანდა მეფისნაცვლის ყოფილი სასახლისა და სხვათა და სხვათა მშენებლობის შესახებ? მაშ, ისინი უკანონოდ აშენებულან! რა უფლება ჰქონდა საოკუპაციო რეჟიმს, რომ აქ, საქართველოში, მშენებლობათა ნებართვებს გამოსცემდა და ამ საკითხში სამართალსაც განაგებდა?! მეტიც: რა უფლება ჰქონდა ეგზარქოსს, ვთქვათ, ისიდორეს, რომ აქ, საქართველოში, მაგალითად, ბერ გაბრიელ ქიქოძეს ეპისკოპოსად აკურთხებდა და ჯილდოებსაც აძლევდა? მაშ უკანონო ყოფილა იმ „პერიოდში მიღებული გადაწყვეტილება“, რომლის თანახმად თბილისის ძველ უბანში აშენდა საქართველოს ეგზარქოსის რეზიდენცია, რომელიც შემდეგ საქართველოს საპატრიარქოდ გადაკეთდა, შემდეგ

— პოლიციის სამმართველოდ და კიდევ შემდეგ ისევ იმავე საპატრიარქოდ და ყველაფერი ეს საოკუპაციო რეჟიმის პირობებში (1991 წლამდე)! თუ ვხვდებით, პატიოსანო ძმანო და მამანო, სანამდე მივდივართ? — ამ ლოგიკით გორის დღევანდელი საკათედრო ტაძარიც, რომელშიც (სავარაუდოდ) ციტირებული სტრიქონები დაიწერა, უკანონო მშენებლობის ნაყოფია (რუსების ხელში და რუსების ნებართვით აშენებული) და მისი ყოფნა-არყოფნის საკითხი, მაშასადამე, დღეს სასამართლომ უნდა განიხილოს! დავძენთ: ამ ლოგიკით უნდა გადაისინჯოს თვით აჭარის, ახალციხისა და კიდევ ბევრი სხვა ტერიტორიის დედასამშობლოსათვის შემოერთების სამართლიანობა, რადგან ეს შემოერთება რუსეთის საოკუპაციო რეჟიმისა და რუსეთის სამხედრო ოპერაციების წყალობით განხორციელდა. დამეთანხმებით, ეს აბსურდი და ნონსენსია; კომედიის თემაა და სანიანგო მასალა.

ვეკითხები აღნიშნული ახსნა-განმარტების ავტორს და მის თანამზრახველებს: დავუშვათ და ეს ნაგებობა კომუნისტებს კათოლიკეებისათვის არ ჩამოერთმიათ, ჩამოართმევდით თუ არა თქვენ? 1806 წლიდან ამ ტაძარსა და მის გალავანში კათოლიკეებმა საუკუნეზე მეტ ხანს იმსახურეს. ამ ხნის განმავლობაში გორში სამი წმინდა ეპისკოპოსი იმყოფებობდა: გაბრიელი, ალექსანდრე და კირიონი. სამივე კრიტიკულად იყო განწყობილი რუსეთის საეკლესიო და ეროვნული პოლიტიკის მიმართ საქართველოში. ერთმა მაინც რატომ არ გამოხატა პროტესტი მითითებული უკანონობის გამო, თუკი ამ მითითებას რეალური საფუძველი ჰქონდა? წმ. კირიონი მაღალი კვალიფიკაციის არქეოგრაფი და ისტორიკოსი გახლდათ. მაგრამ რას ვხედავთ მის წერილობით მემკვიდრეობაში?

ხელთ მაქვს მისი სტატია „გორის სასულიერო სასწავ-ლებლის 75 წლის იუბილეი (1818-1893)“, რომელშიც ნათქვამია: „სახლი, რომელშიც მოათავსეს ეს [მარ-თლმადიდებელთა] სასწავლებელი, წინად ეკუთვნო-და ფრანგების პატრებს; ესენი 1755 წელს თეიმურაზ მეფემ განდევნა საქართველოდან, წაართვა სახლი და ეკკლესია და გადასცა სამთავისის არხიეპისკო-პოზს კირილეს“ („ივერია“, 1893, 20.V, №102). აქედან (ამ სიტყვებიდან) გამოდის, რომ რუსები კათოლიკე-ებს გორში არამც თუ მართლმადიდებლების ნაამაგარ ქონებას სჩუქნიდნენ, არამედ იმ ქონებასაც არ უბრუ-ნებდნენ, რაც წარსულში (წმ. მამის მინიშნებით, — და-საბამშივე) მათ ეკუთვნოდათ (კანონიერად და კანო-ნის საფუძველზე მათი აშენებული ან შეძენილი იყო) და ქართლის მეფეს მათთვის წაურთმევია.

როგორ შევათავსოთ მოწამე კირიონ საძაგლიშ-ვილისა და დეკ. ღვთისო სეხნიაშვილის ურთიერთგა-მომრიცხავი ინფორმაციები და პოზიციები? გავიხსე-ნოთ წმ. კირიონის წერილი რომის პაპს! მკითხველებს ვთხოვ, დაბრუნდნენ უკან და ერთხელ კიდევ გადაავ-ლონ თვალი ჩვენს ციტატს ამ დოკუმენტიდან. შეიძლე-ბა დავუშვათ, რომ მასში გამოხატული პოზიციის პატ-რონი დაეთანხმებოდა დეკ. ღვთისო სეხნიაშვილის ოფიციალურ წერილში წარმოდგენილ პოზიციას და სულისკვეთებას? თუკი დაეთანხმებოდა და იტყოდა, კათოლიკე მისიონერებმა და მათმა ადგილობრივმა მრევლმა გორში კათოლიკური ეკლესია უკანონოდ ააშენეს, ანდა სხვათა აშენებული გარეშე ძალის დახ-მარებით მიითვისესო, თავისსავე სიტყვებს დაუპირ-ისპირდებოდა: „მოციქულნი და ქადაგნი ჭრომის საყ-დრისანი, რომელნი მეათსამმეტე საუკუნითგან მო-ევლინნეს ქვეყანასა ჩვენსა, შეუორგულებელად იღ-

ვწოდეს საფარველსა ქვეშე ქართველთა მეფეთასა, ვითარცა მწყემსნი კეთილნი, მკურნალნი ხორცთანი და მომფენელნი ჩვენდა სწავლა-განათლებისანი. მათ აღაშენეს (! ნ.პ,) ქვეყანასა ჩვენსა ეკლესიანი თვისნი და დაუმოწაფეს საყდარსა შენსა არა მცირედნი ქართველნი". ვის მოუბრუნდება ენა, რომ თქვას, ამას ყველაფერს უწმინდესი მღვდელმთავარი თვალთმაქცობით და ყალბად ამბობდაო?! დამეთანხმებით, რომ ამ სიტყვებში საქართველოს კათოლიკური ეკლესიების მიმართ გულწრფელი და ერთობ დიდი სიმპათიაა გამოხატული. კვლავ დავსვათ კითხვა: მოიწონებდა ამ სიტყვების ავტორი თანამემამულე კათოლიკეებისათვის სალოცავი სახლის წართმევას და ისიც გორში, მის მშობლიურ ქალაქში?

დეკანოზი, ამასთანავე, უშვებს ფაქტობრივ შეცდომას, როდესაც ამბობს, ამ ეკლესიის გადაცემის დროს, 1806 წელს, „ჩვენს ქვეყანას დაკარგული ჰქონდა როგორც საეკლესიო, ისე სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა"-ო. „საეკლესიო დამოუკიდებლობა"-ში ის, ცხადია, ავტოკეფალიას და კათალიკოს-პატრიარქის ინსტიტუტს გულისხმობს, რაც საქართველოს მართლმადიდებელ ეკლესიას 1806 წელს დაკარგული არ ჰქონდა. მას იმ დროს კათალიკოს-პატრიარქი წმ. ანტონ II განაგებდა, რომელსაც, ეჭვი არაა, კარგად მოეხსენებოდა მამის, ერეკლე II-ის, ის წყალობის სიგელები გორის კათოლიკეებს, რომელთა შესახებ უკვე ვისაუბრეთ. მას ალბათ ბაბუამისის განსასვენებელი აღსარებაც მოეხსენებოდა: „მე აღმოსავლეთის კათოლიკე ვარ". ჩვენც გავიხსენოთ კიდევ ერთხელ, თუ როგორ მივიდნენ ის, წმ. ანტონ II ბაგრატიონი, და მისი საყდრიონი თბილისის კათოლიკეთა ეკლესიაში, რათა მათთვის (თანამემამულე და თანა-

მოქალაქე კათოლიკეებისათვის) ახალი ტაძრის გახსნა მიელოცათ. ვიმეორებთ, ეს 1807 წელს მოხდა. დაისმის კითხვა: წინა წელს (1806) კათოლიკეებს გორში გარეშე ძალის, რუსების, დახმარებით მართლმადიდებლებისათვის ეკლესია რომ წაერთმიათ, იგი კათოლიკურ ეკლესიაში მეგობრულ ვიზიტს ინებებდა? დავუშვათ და ცნობა წმ. პატრიარქის კათოლიკეთა ტაძრის სატფურებაზე (კურთხევაზე) მისვლის შესახებ ყალბია. ერთხელ მაინც რატომ არ გამოაცხადა მან პროტესტი, თუკი მის სამწყსოში, გორში, კათოლიკეები რუსების დახმარებით მართლმადიდებლებს, მის სულიერ შვილებს, ეკლესიას ართმევდნენ? გადავხედოთ ისტორიისა და თეოლოგიის დოქტორის, თბილისის სასულიერო სემინარიისა და აკადემიის პროფესორის, ელდარ ბუბულაშვილის მონოგრაფიას „სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი უწმიდესი და უნეტარესი ანტონ II (1788-1811)“ (თბ., 2011), რომელიც გაჯერებულია უმდიდრესი წყაროთმცოდნეობითი ბაზით და ინფორმაციათა უსაზღვრო ველით. მოიპოვება იქ მსგავსი პროტესტის გამოვლინება? გთხოვთ, ნუ წავუყრუებთ ამ კითხვებს და გავცეთ პასუხი.

წყაროსა და არგუმენტების მოძებნაში

ამ შემთხვევაში ჩვენთვის ასევე მთავარი და არსებითია განხილული ახსნა-განმარტების იდეურ-ლიტერატურული წყაროს დადგენა ანუ პასუხი კითხვაზე: საიდან შეიძლება მომდინარეობდეს თეორია 1806 წელს რუსების მიერ მართლმადიდებლებისათვის ეკლესიის ჩამორთმევისა და ამ ეკლესიის კათოლიკეებისათვის

გადაცემისა? შეიცავს კი ეს თეორია მეტ-ნაკლებად ობიექტურ ინფორმაციას თუ ყველაფერი ეს ფანტაზიის საფუძველზე თითიდან გამოწოვილი სიტყვების უბრალო დეკლამაციაა და სხვა არაფერი?

საკმარისია, წინამდებარე თემასთან დაკავშირებულ ლიტერატურას თვალი გადავავლოთ, რომ დავრწმუნდეთ: აღნიშნული თეორია (რუსებმა ქართველ მართლმადიდებლებს ეკლესიები წაგვართვეს და კათოლიკეებს გადასცესო) არის პროფ. ქეთევან პავლიაშვილის თეორია, რომელიც მოცემულია მეცნიერული გრიფის პუბლიკაციაში „ფრაგმენტები გორის კათოლიკური ეკლესიის ისტორიიდან (XV-XIX სს.)“. მართალია, სტატია რეფერირებად ორგანოშია მოთავსებული (პავლიაშვილი 2005:81-91), მაგრამ მასში (ამ სტატიაში) უგულებელყოფილია მეცნიერების მთავარი პრინციპი — წყაროების დამოწმება და მითითება. ავტორი გადმოგვცემს ამბავს, რომელიც თითქოს რაღაც წყაროდან მომდინარეობს, მაგრამ ამ წყაროს არ მიუთითებს, რის გამოც მკითხველს საგნის სიღრმეში ჩახედვის საშუალება ესპობა. სტატიას ახლავს „გამოყენებული ლიტერატურისა და წყაროების“ სია, რომლის მე-9 ნომრად, მაგალითისათვის, მითითებულია: «ჟურ. „ჯვარი ვაზისა“, № 10, 1906 წ.». სად გაგონილა ლიტერატურის ასე დამოწმება?! გამოდის, რომ მითითებული ჟურნალის მითითებული ნომერი სრული მასშტაბით ეძღვნება ჩენთვის ამჯერად საინტერესო თემას — გორის კათოლიკური ეკლესიის ისტორიას. მაგრამ რას ვხედავთ სინამდვილეში? იქ, იმ ნომერში (10.1906), ჩვენთვის ამჯერად საინტერესო თემაზე, ე. ი. გორის კათოლიკურ ეკლესიაზე, ერთი სიტყვაც არაა ნათქვამი. გვრჩება შთაბეჭდილება, რომ ლიტერატურისა და წყაროების მითითების მიღებული ნორმების

ეს ტოტალური უგულებელყოფა განგებ კეთდება, რათა გაგვიჭირდეს შემოწმება: მოცემული ამბავი ობიექტურადაა აღქმული და გადმოცემული თუ არა?

მართლაც ძნელია გაარკვიო, რა წყაროთი სარგებლობს ავტორი ამა თუ იმ ფაქტსა თუ თეორიაზე საუბრის დროს. იგი წერს: საქართველოში „კათოლიკური მისიები... ევროპის პოლიტიკური აგენტურის ფუნქციას“ ასრულებდნენ. ჩვენთვის გაუგებარია: ეს დასკვნა მისი, ავტორის, გამოკვლევის შედეგია, თუ სხვისი გამოკვლევის შედეგი, რომელსაც ის (ჩვენი ავტორი) იმოწმებს და იმეორებს? ნებისმიერი მისიონერობა (მაგალითად, წმ. ნინოსი საქართველოში), ავტორის თვალთახედვით, გარეშე ქვეყნის „პოლიტიკურ აგენტურას“ ეთანასწორება, თუ ასეთ კვალიფიკაციას მხოლოდ „კათოლიკური მისიები საქართველოში“ იმსახურებენ? ასეთ შემთხვევაში საჭიროა სათანადო არგუმენტაცია და იმ სპეციფიკური ნიშნების წარმოჩენა, რაც ასეთი მკაცრი შეფასების უფლებას მოგვცემს. მით უმეტეს, რომ ტექსტში ციტირებულია მისიონერების სიტყვები: „არ ვიცით, თუ რა საბუთით მივაჩნივართ ბატონ რუსებს აქ ევროპელ მთავრობათა ჯაშუშებად?“ (გვ. 87). მოკლედ, გვაინტერესებს ვიცოდეთ: რის საფუძველზე ეთანხმება ავტორი „ბატონ რუსებს“ კათოლიკე მისიონერების კვალიფიკაციაში? რა დოკუმენტები და ფაქტები ჰკარნახობს (თუ აიძულებს) მას, დადგეს მეცხრამეტე საუკუნის რუსი ჩინოვნიკების გვერდით და რიგითი მისიონერები „პოლიტიკურ აგენტებად“ მოიხსენიოს: კონკრეტულად რაში გამოიხატებოდა და გამოიხატება მათი პოლიტიკური აგენტობა? პასუხი არ ჩანს.

ყველა კითხვის ნიშანს, რომელმაც ტექსტის გაცნობისას იჩინა თავი, ვერ გამოვეკიდებით (ეს საგან-

გებო კვლევა-ძიებითი კრიტიკის საგანია), მაგრამ წრფელი ინტერესი გვკარნახობს გამოვიკითხოთ: განსახილველი თემის კონტექსტში (1) რას, რა ფაქტს გულისხმობს ავტორი, როდესაც ლაპარაკობს „ეროვნულ ფასეულობათა გაერთიანების იდეაზე“, რომელსაც გაუჩენია „აზრი საერთო რელიგიის შექმნისა“ და რომელიც თანამედროვე საქართველოში თურმე იწვევს „მსოფლიო საეკლესიო კანონმდებლობის ხელყოფის ფაქტებს“ (გვ. 82). გაუგებარია: ვინ წამოაყენა აღნიშნული იდეა, ვინ გააჩინა ამ იდეის შესატყვისი აზრი რელიგიათა გაერთიანებისა და, კერძოდ, რომელი საეკლესიო კანონი დაირღვა ან ირღვევა საქართველოში იმის გამო, რომ ამ ქვეყანაში, მაგალითად, კათოლიკური ეკლესია არსებობს? (2) ვის გულისხმობს ავტორი „უცხო ქვეყნების სასულიერო ცენტრებში“ და რა განაპირობებს მის გაკვირვებას, თუკი მათ (ამ ცენტრებმა) „პრეტენზია გამოთქვეს“ „საქართველოში მოქმედ და არამოქმედ არამართლმადიდებლურ ეკლესია-მონასტრებზე“? (გვ. 83). საჭიროა დასაბუთება, თუ რატომაა ეს პრეტენზიები არალეგიტიმური (ჩანს, ისინი ავტორს ასეთად მიაჩნია). თუკი კათოლიკური ეკლესიის ცენტრი საქართველოში კათოლიკური ეკლესია-მონასტრების მიმართ პრეტენზიებს გამოაცხადებს და იტყვის, საქართველოს კათოლიკეებს კათოლიკურ ეკლესია-მონასტრებში მსახურების უფლება და საშუალება უნდა მიეცესო, რა შეიძლება იყოს ამაში გასაკვირი და მიუღებელი? მაშ ვინ უნდა გამოაცხადოს პრეტენზია „საქართველოში მოქმედ და არამოქმედ არამართლმადიდებლურ ეკლესია-მონასტრებზე“, თუ არა არამართლმადიდებლებმა? (3) გაუგებარია, რის საფუძველზე იწონებს ავტორი წინადადებას „სადაოდ მიჩნეული ტაძრების საკითხის განხილვის გადადე-

ბის, ან საერთოდაც მისი მოხსნის შესახებ“, რომელიც, მისივე თქმით, საქართველოს საპატრიარქოს წარმომადგენლებს 2001 წელს ვატიკანის წარმომადგენლებისათვის წაუყენებიათ (იქვე). დიახ, გაუგებარია! თუკი არსებობს პრობლემა, როგორ მოგვარდება ის სათანადო განხილვისა და ჭეშმარიტებაში გარკვევის გარეშე? ცხადია, ვერ მოგვარდება და არც გვარდება. ამიტომაა, რომ გვაქვს ის შედეგი, რომელსაც ავტორი ასე აყალიბებს: „ამ მიმართულებით საქმის გაღვივება დღემდე გრძელდება, რაც უარყოფითად ზემოქმედებს არა თუ საქართველოს აღმშენებლობის პროცესზე, არამედ მის ურთიერთობაზე გარესამყაროსთან“. დაგვეთანხმებით, რომ სურათი საკმაოდ მძიმეა. მაგრამ იმისათვის, რომ ეს სიმძიმე მოიხსნას, მისი გამომწვევი მიზეზების განხილვა კი არ უნდა გადავდოთ, არამედ — დავაჩქაროთ. ავტორის პოზიცია და ლოგიკის მექანიზმი ჩვენთვის ამ შემთხვევაშიც აუხსნელია. ასევე არ ვიცით (წყაროს მიუთითებლობის გამო), რას ემყარება ინფორმაცია ხსენებული (2001 წლის აგვისტოს) შეხვედრაზე და რამდენად ობიექტურია ეს ინფორმაცია.

ჩვენი ინტერესი გორის კათოლიკური ეკლესიის ახალი, მეცხრამეტე საუკუნისეული ტაძრის გარშემო ტრიალებს. ავტორი აქ ასეთ სურათს გვთავაზობს: მართალია, რუსები კათოლიკეებს ავიწროვებდნენ, — დასავლეთ ევროპის ქვეყანათა „პოლიტიკურ აგენტებად“ მიიჩნევდნენ, მაგრამ საქართველოში მათ მიმართ იმავე „ევროპის სუვერენტთა თვალის ახვევის მიზნით ერთგვარი შემწეობაც“ გამოიჩინეს, რაც „1806 წელს კაპუცინელი მისიონერებისათვის გორსა და თბილისში ჩამორთმეული ეკლესიების დაბრუნებაში“ გამოიხატა. იქვე ნათქვამია, ამისათვის მათ (კათოლი-

კეებს) ხელისუფლებამ 6. 000 მანეთი გამოუყოო; ეს რუსეთის „ვერაგული პოლიტიკის“ ნიშანიაო (გვ. 87). ჩვენთვის პირადად ეს სურათი ერთობ ბუნდოვანია: რუსებმა კათოლიკეებს 1806 წელს თბილისსა და გორში ადრე, 1806 წლამდე, ჩამორთმეული ეკლესიები, ანუ ტაძრები, დაუბრუნეს თუ კომპენსაცია მისცეს ჩამორთმეულის არდაბრუნების სანაცვლოდ? უნდა ვაღიაროთ, რომ გამოთქმა „ეკლესია (შენობა) დაუბრუნეს, რისთვისაც ფული გამოუყვეს“ აზრს მოკლებული გამოთქმაა: თუ დაუბრუნეს ჩამორთმეული, ფული რისთვის გამოუყვეს, — დაბრუნებისათვის?!? (საგანგებო დათქმისა და კომენტარის გარეშე ეს წინადადება სრული უაზრობაა).

თუ გავითვალისწინებთ, რომ ორივე ტაძარი (თბილისისა და გორის კათოლიკური ეკლესიები) განეკუთვნება არა 1806 წლამდელ, არამედ 1806 წლის შემდგომ პერიოდს (და ამაზე დავა წყლის ნაყვაა), მივალთ დასკვნამდე, რომ რუსებს ამ წელს კათოლიკეებისათვის ეკლესიები კი არ დაუბრუნებიათ, არამედ კომპენსაცია მიუციათ. ამიტომ „ჩამორთმეული ეკლესიების დაბრუნება“ რეალობის არაადეკვატური გამოთქმაა. ვინც განსახილველ სტატიას წაიკითხავს, დაგვეთანხმება, რომ გორის ახალი ეკლესიის მისამართით ისეთი ბუნდოვანი ფორმულებია მომარჯვებული, რომ ძნელია გაერკვე, ახალი შენობის აგებაზეა აქ ლაპარაკი, თუ ძველის აღდგენა-რეკონსტრუქციაზე. გვრჩება შთაბეჭდილება, რომ თითქოს ერთგვარ ფანდთან გვაქვს საქმე, რათა დავიბნეთ და წინააღმდეგობათა ლაბირინთიდან თავს დაღწევა გაგვიჭირდეს. მოვუსმინოთ ავტორს: „პატრები რომიდან დაფინანსებით ცდილობდნენ ცარიზმის მოხელეთა მოსყიდვას და მოსახლეობის კუთვნილი ტერიტორიების მითვისე-

ბით იქ ეკლესია-მონასტრების აგებას. აღნიშნულის დასტურია XIX ს-ის 10-30-იანი წლების გორის ახლად აგებულ-გადაკეთებული ე. წ. კათოლიკური ეკლესიის საკითხის გამწვავება, რომლის ტერიტორიამ სადაო ხასიათი შეიძინა“ (გვ. 88). თვალს ვხუჭავთ სტილსა და წერითი მეტყველების კულტურაზე, თუმცა ეს დეფექტი, რაც უკვე მივანიშნეთ, აზრის გაგებაში გვიშლის ხელს. ვეხებით მხოლოდ არსებით მხარეს. კი მაგრამ: აკი რუსებმა პატრებს ფული იქით მისცესო? მოკლედ, გაუგებარია: ვინ ვის იქრთამავდა — რუსები კათოლიკეებს, თუ კათოლიკეები რუსებს?

აქ პირველ რიგში ასეთი კითხვა დაისმის: დავიჯეროთ, რომ ტყუილია ის ინფორმაცია, თვით ქართულ წყაროებშიც ასახული, რომლის თანახმად გორში კათოლიკური ეკლესია-მონასტრის ასაშენებლად ფართი თავად მეფე ერეკლე II-მ გამოყო? თუკი ამ ტერიტორიაზე 1806 წელს ეკლესია უკვე იდგა და რუსებმა ეს ეკლესია გადასცეს კათოლიკეებს, მათ მიერ თანხის გადაცემა რაღა აუცილებელი იყო? და, საერთოდ: რას ნიშნავს ეკლესია „ახლად აგებულ-გადაკეთებული“? თუ ახალი აგებულია, გადაკეთებული როგორღა არის? გადაკეთება ხომ მხოლოდ ძველის შეიძლება? ვეღარ გავიგეთ: 1806 წელს ეკლესია აშენდა თუ არსებული შენობა გადაკეთდა? თუკი ვაღიარებთ, რომ ამ წელს იმ განსაზღვრულ ალაგას ეკლესია იდგა და ის რუსებმა კათოლიკეებს „დაუბრუნეს“ (და-უ-ბრუ-ნეს), ის ადრეც, რუსებამდეც, კათოლიკური ყოფილა და ვისთან რა შეიძლება გვქონდეს სადავო? თუმცა საჭიროა, რომ ამთავითვე ხაზგასმით და მკაფიოდ ვთქვათ: ჩვენ ხელთ არსებული მასალისა და თვით ქ-ნ პავლიაშვილის ხტატიის მიხედვით (იმის მიუხედავად, თუ რა დასკვნის გამოტანა აქვს ავტორს მიზნად

დასახული), ის საეკლესიო შენობა, რომელიც კათოლიკური ეკლესიის სახელით არის ცნობილი და რომელიც დღეს მართლმადიდებლების ხელშია, 1806 წლის შემდეგაა საფუძველჩაყრილი და აშენებული.

ისე კი უნდა ვაღიაროთ, რომ ამ მსჯელობის მიხედვით რუსები სულაც არ გამოიყურებიან ვერაგებად. პირიქით: მათ გაუღიათ თანხა ჩამორთმეულის სანაცვლოდ. თუკი ასეა (გვგონია, ამის თქმა უნდა ავტორს და ჩვენ ვერ ვუგებთ), ეს ნიშნავს, რომ მათ ნაბიჯი გადაუდგამთ სიმართლისა და სამართლისაკენ. ასე რომ, ამ შემთხვევაში მათ დამუნათებას საფუძველი არა აქვს და, საერთოდ, ვერ გაგვიგია, რატომ იმეტებს ქ-ნი ქეთევან პავლიაშვილი თანამოაზრე რუსებს ასე სასტიკად? თანახედვა და თანამოაზრეობა კათოლიკე მისიონერების დასავლეთ ევროპის პოლიტიკურ აგენტებად მიჩნევის საკითხში განა მას მათ მიმართ სიმპატიას არ უნდა უჩენდეს?! თუმცა გვმართებს, გავიხსენოთ, რაც ზემოთ უკვე რამდენიმეჯერ ვთქვით, და გავითვალისწინოთ, რომ ნაბიჯები აღნიშნული კომპენსაციის გზაზე რუსების ჩამოსვლამდე დამოუკიდებელი საქართველოს მეფეებმა: თეიმურაზმა და ერეკლემ გადადგეს. მეფე ერეკლემ სამეფო სიგელებითაც კი დაამოწმა თბილისისა და გორის კათოლიკური ეკლესიების თავ-თავიანთ უფლებებში აღდგენა ანუ სათანადო ტაძრების აშენების ნებართვა. ასე რომ, რუსების ნებართვა კათოლიკური ეკლესიების აშენების შესახებ სინამდვილეში დამოუკიდებელი საქართველოს კანონმდებლობის სამართლებრივი აქტის ხელახალი რატიფიკაციაა და მეტი არაფერი. ასეთი რატიფიკაციის არმოხდენის საბაბი და საფუძველი არ არსებობდა.

განსახილველ სტატიაში გამოკვეთილია ავტორის სურვილი, რომ დაგვარწმუნოს: ა) რუსების მიერ „ჩა-

მორთმეულის დაბრუნება“ იყო გამოვლინება „ტენ-დენციური დამოკიდებულებისა მისიონერთა საქმიან-ობისადმი“ და რომ ბ) „ჩამორთმეულის დაბრუნებამ“ „ადგილობრივი მოსახლეობის პრეტენზიები გაამძაფ-რა“. მკაფიოდ და პირდაპირ უნდა ითქვას: წერილის ავტორის, პროფესორის, მხრიდან საქმე გვაქვს არ-ასამართლებრივი ცნობიერების ქრესტომათიულ ნი-მუშთან და ეს ცნობიერება სრულ თანხვედრაშია დეკ. ღვთისო სეხნიაშვილის ცნობიერებასთან. დავუსვათ კითხვა საკუთარ თავს: ჩამორთმეული ქონება, თუკი ეს ჩამორთმევა უკანონოდ მოხდა, კანონიერ მფლო-ბელს უნდა დაუბრუნდეს თუ არა? მოითხოვს თუ არა ამას სამართლიანობის აღდგენის ანბანი? ამ დაბრუ-ნების ტენდენციურობად მონათვლა მხოლოდ მაშინ იქნება შესაძლებელი, თუ დავამტკიცებთ, რომ ქარ-თველმა მეფეებმა ეს ქონება მფლობელებს 1755 წელს კანონიერად ჩამოართვეს, მაგრამ ამას ჩვენ ვეღარ დავამტკიცებთ, რადგან აღნიშნულმა მეფეებმა — ცხე-ბულებმა და გვირგვინოსნებმა: თეიმურაზმა და ერეკ-ლემ — უკვე თავადვე აღიარეს: ჩვენ მაშინ უკანონოდ მოვიქეცითო, რის გამოც ერთმაც და მეორემაც სინა-ნული გამოხატა. ამ სინანულის პირველი ნაყოფი, თე-იმურაზ II-ის განსასვენებელ აღსარებაზე რომ აღარ-აფერი ვთქვათ (გავიხსენოთ!), კათოლიკე მღვდლების დაბრუნება და მათთვის ღვთისმსახურების უფლე-ბათა მინიჭება გახლდათ. ეს უფლება კი თავისთავში მოიცავს ეკლესიების აშენებასაც, სანთლის საამქროს მოწყობასაც, ხატების დაწერა-კურთხევასაც, ეკლესი-ის გარშემო: გალავანსა თუ ქუჩაში ლიტანიად სვლა-საც და კიდევ სხვასაც.

ისევ ვხედავთ ავტორის დაჟინებულ სურვილს, დაგვარწმუნოს, რომ „კათოლიკური მისიონების სა-

ქართველოში გააქტიურებულ საქმიანობას“ რუსები უწყობდნენ ხელს. ისევ ვართ იძულებული ვთქვათ: კეთილი, მაგრამ აკი რუსები კათოლიკეებს დასავლეთ ევროპის პოლიტიკურ აგენტებად თვლიდნენ? დავიჯეროთ, რომ ისინი, რუსები, საქართველოში თავიანთ მოსისხლე მტრებს, დასავლეთის აგენტებს, ელოლიავებოდნენ და მათ საქმიანობას ახალისებდნენ? ნუთუ ისეთი ქათმები იყვნენ რუსები, რომ ვერ ხვდებოდნენ, ასეთი თხრა-თხრით თავიანთ დასაკლავ დანას თხრიდნენ? რა გამოდის: რუსებს ქართველების „გაფრანგება“ უნდოდათ? მაშ რაში გამოიხატებოდა „ქართველი ხალხის გარუსების კურსი“, რაზეც ჩვენი ავტორი თითქოს აღშფოთებას ვერ ფარავს და რისთვისაც ის რუსებს ამუნათებს? ნუთუ ამ კურსის განხორციელებას რუსები პატრების დახმარებით ლამობდნენ? გაგვაგებინეთ: პატრები ქართველებს არუსებდნენ თუ აევროპელებდნენ; ისინი კავკასიის რუსიფიკაციას ახდენდნენ თუ ევროპეიზაციას: რუსეთის აგენტები იყვნენ თუ ევროპის?!? აქ თითქოს გრძნობს ავტორი უხერხულობას, — შეუთავსებელთა შეთავსების შეუძლებლობას, მაგრამ ჰგონია, რომ იპოვა გამოსავალი, — ამ გზით (პატრების გაპარპაშებით) რუსებს საქართველოში მართლმადიდებლებისა და კათოლიკეების ერთმანეთთან დატაკება უნდოდათო „გათიშე და იბატონე“-ს ძველთაძველი პრინციპის შესაბამისად. უნდა ვაღიაროთ, რომ ამ სურათში, ავტორის მიერ დახატულში, რუსები პირდაპირ საცოდავებად გამოიყურებიან; არ იციან, რომ ორი კურდღლის მადევარი ვერც ერთს ვერ დაიჭერს.

პატრებისათვის ქართველების გარუსების მცდელობის მიწერა არის იმ მასშტაბის გულუბრყვილობა (მეტი რომ არ ვთქვათ), რომელიც ლოგიკის არანაირ

ჩარჩოში არ თავსდება. მეორე მიწერა (თუ შეიძლება ასე ითქვას) თითქოს ამ დოზის უაზრობად და ფანტაზიორობად არ გამოიყურება. მაგრამ დავუშვათ, რუსებს მართლაც ჰქონდათ საქართველოში მართლმადიდებლებისა და კათოლიკეების დატაკების მცდელობა (თუმცა სათანადო მაგალითი ავტორის მონათხრობში არ ჩანს), საკითხავია: მოახერხეს კი მათ ასეთი დატაკების თუნდაც პროვოცირება? რეალური ვითარება სულ სხვა სურათს გვთავაზობს. იმდროინდელი, XIX ს-ის პირველი მეოთხედის, წყაროები გორში ხალხთა მშვიდობიან თანაცხოვრებაზე ლაპარაკობენ. აი, რას წერს ამის თაობაზე უნიჭიერესი და უკეთილშობილესი გორელი ახალგაზრდა კაცი, დიდი პატრიოტი და რუსეთის დედაქალაქში 1819 წელს მოწამებრივად აღსრულებული ავთანდილ თუმანიშვილი[4] წიგნში „Описание грузинского города Гории“, რომელიც გამოცემულია 1816 წელს, სწორედ მაშინ, როდესაც იმპერიის უმაღლეს ინსტანციებში გორის კათოლიკური ეკლესიის მშენებლობის საკითხი იხილებოდა (განსახილველი სტატიის მიხედვითაც): „ქალაქის მცხოვრებთა რიცხვი 5000-ს აღწევს. ისინი ცხოვრობენ თანხმობასა და ერთსულოვნებაში... დღესასწაულებს ატარებენ საერთო ლოცვასა და მსხვერპლშეწირვაში“ (გვ. 173). იმ დროს ქალაქის მართლმადიდებელ ქართველთა და სომეხ გრიგორიანთა უმრავლესობას კათოლიკეებთან ეკლესიის მშენებლობის გამო ურთიერთობა გართულებული რომ ჰქონოდათ, იყო თუ არა მოსალოდნელი ამ გართულებული ურთიერთობისა და სულაც სამოქალაქო დაპირისპირების, რუსების მიერ პროვოცირე-

4 ამ პიროვნების ცხოვრებისა და ტრაგედიის შესახებ იხ.: პ. რატიანი, ცოცხლად დამარხული ტალანტი (ავთანდილ თუმანიშვილი), თბ., 1982.

ბულის, აღნიშნულ წიგნში ასახვა; ამის ერთი სიტყვით მაინც აღნიშვნა?

ამის მიუხედავად ავტორი ცდილობს დაგვარწმუნოს, რომ რუსებმა გორში კათოლიკეებისა და მართლმადიდებლების დაპირისპირება მოახერხეს. თუკი მას დავუჯერებთ, რუსებს ასეთი პროგრამა შეუმუშავებიათ: „გორში კათოლიკური უჯრედის აღდგენა“. ამ სიტყვებს 88-ე გვერდზე ვკითხულობთ, სადაც 1810 წლის ამბებზეა ლაპარაკი. წინა გვერდზე კი, წინა აბზაცში, იგივე ავტორი გვიყვება, თუ როგორ ვეღარ ასდიოდნენ მისიონერები გორში „სადგომი სახლის ქირის გადახდას“. გეკითხებით, ბატონებო, გორში „სადგომი სახლის“ და „ქირის“ არსებობა, — ქირისა, რომლის გადახდას დამქირავებლები ვეღარ (ვეღარ!) აუდიან, განა „გორში კათოლიკური უჯრედის“ კარგა ხნის არსებობაზე არ მეტყველებს? გაგვაგებინეთ: რა ჰქონდათ რუსებს აღსადგენი? ეს უჯრედი, ამავე ავტორის თხრობის თანახმად, მათ გორში დახვდათ; ის იქ რუსების გარეშეც არსებობდა, — „გორში კათოლიკური უჯრედი“ მანამდეც მოქმედებდა, ვიდრე რუსები კავკასიის მთათა კალთებს მოადგებოდნენ!

აი, ამის შემდეგ იწყებს ავტორი გარჯას, რათა გორში მართლმადიდებლებისა და კათოლიკეების დატაკების თუნდაც ერთი მაგალითი დაგვანახოს. ის ლაპარაკობს „კავკასიის აღმასრულებელი ექსპედიციის“ საქმეზე, რომელიც მიწის ფართთან დაკავშირებულ დავას შეეხება. ეს ის ფართიაო, სადაც 1810 წელს კათოლიკური ეკლესიის მშენებლობა მიმდინარეობდა, თუმცა იგი „იმთავითვე სადაო მიწა“ იყოო. ამ მიწის ისტორია, პატივცემული ავტორის უწყებით, ასეთია: „თავდაპირველად ის ეკუთვნოდა მოსულ

ვინმე შაქარა ჩარჩიევს“. შაქარას დედას ის თავად სოლომონ ერისთავის ყმისთვის, დიმიტრი შიხინოვისათვის, მიუყიდია. გასულა დრო და ქართლ-კახეთის მეფე გიორგი XI-ს (აქ ალბათ გიორგი XII იგულისხმება) ეს მიწა „ბერთალმანად“, ე. ი. გავერანებულ, უპატრონო მიწის ნაკვეთად უცვნია და ის მას, ცხებულ მეფეს, „კათოლიკე პატრებისათვის უწყალობებია“ (ეს ავტორის სიტყვებია! — უწყალობებია); თუმცა პატრებს ჩარჩიევისათვის „200 მან. ვერცხლით გადაუხდიათ“. იძულებული ვართ, ჭეშმარიტებაში გარკვევის სურვილის გამო, ვაღიაროთ, რომ ქ-ნ პავლიაშვილის მიერ წარმოჩენილი სურათის ეს ადგილიც ბუნდოვანია: აკი ჩარჩიევმა მიწა გაყიდა და შიხინოვს მიყიდა? აკი ამ მიწას დროის რაღაც მონაკვეთის შემდეგ პატრონი აღარ ჰყავდა და ის მეფის განმგებლობაში აღმოჩნდა? აკი ეს ნაკვეთი „კათოლიკე პატრებს“ მეფემ „უწყალობა“? როგორ გავიგოთ: ქართლ-კახეთის ცხებულმა მეფემ ეს ნაკვეთი „კათოლიკე პატრებს“ თან „უწყალობა“ და თან მათ შიხინოვისა თუ ჩარჩიევის (ამაშიც არაა სიცხადე!) სასარგებლოდ ფული გადაახდევინა? ასეა თუ ისე, ფაქტია, რომ ამ ფართზე კათოლიკეებმა ეკლესიის მშენებლობა დაიწყეს. ამასობაში საქართველოში რუსეთის საოკუპაციო რეჟიმი დამყარდა და, აი, აღნიშნულ ნაკვეთზე სოლომონ ერისთავმა პრეტენზია წამოაყენა. საქმე დიკასტერიას (სასამართლოს) განუხილავს და ასეთი გადაწყვეტილება მიუღია: ვინაიდან ამ მიწაზე კათოლიკური ეკლესიის მშენებლობა თითქმის დასრულებულია, დარჩეს ეს მიწა კათოლიკური ეკლესიის საკუთრებად. მაგრამ თუკი „თავად ერისთავს შიხინოვისაგან მიწის ნასყიდობის სიგელი გააჩნია“ და ის ამ დოკუმენტს წარმოადგენს, სახელმწიფო მას იმავე ფართის

მიწას გამოუყოფს! იმედი გვაქვს, შინაარსში სწორად ვერკვევით. ამ თხრობის მიხედვით, ერისთავმა სათანადო დოკუმენტი (სიგელი) ვერ წარმოადგინა, რის გამოც მთავრობამ (საქმე იმპერატორამდეც მისულა) ერისთავისათვის სასურველი გადაწყვეტილების მიღება ვერ მოახერხა. ამ ხნის განმავლობაში კათოლიკური ეკლესიის გადახურვა მოხერხდა (1822 წელს) და იქ ღვთისმსახურება დაიწყო. 1827 წელს ხსენებული თავადის ძმამ პოდპოლკოვნიკმა მირმანოზმა კვლავ წამოაყენა პრეტენზიები, რაც სასამართლომ კვლავ განიხილა, მაგრამ დოკუმენტური მასალის არარსებობის გამო პროცესს მსვლელობა ვერ მისცა: მირმანოზს უთქვამს, საბუთი ჩემს სძალს აქვსო. უკანასკნელს კი, უკვე ორბელიანზე გათხოვილს, თითი მაზლისაკენ, მირმანოზისაკენ, გაუშვერია, მას გადავეცი და მასთან მოიკითხეთო... გავიდა რამდენიმე წელი და მირმანოზ ერისთავიც გარდაიცვალა, ხოლო მისმა შვილმა, პროპორშიკმა ევსტაფიმ, ეს საქმე უყურადღებოდ დატოვა და აღარც აღარავის გახსენებია, მათ შორის (დავძენთ ჩვენი მხრით) — არც წმინდა ეპისკოპოსებს, რომლებიც ამ ამბის შემდეგ მოღვაწეობდნენ გორში და რომლებიც ამ თვალსაზრისით უკვე მოვიხსენიეთ.

ეს არის და ეს. სად ჩანს, ბატონებო, ამ ისტორიაში მართლმადიდებელი და კათოლიკე მოსახლეობის დაპირისპირება; პროტესტი იმის გამო, რომ გორში კათოლიკური ეკლესია შენდება? როგორც ჩანს, ავტორმა ბევრი ეძება, მაგრამ XIX ს-ის გორის ისტორიაში კათოლოკური ეკლესიის მშენებლობის გამო მართლმადიდებელი მოსახლეობის ერთი საპროტესტო აქტიც ვერ გამოძებნა. აქ, ამ პროცესში, ლაპარაკია ჩვეულებრივ, ბანალურ სამოქალაქო დავაზე, რომელშიც რელიგიურ-სარწმუნოებრივი ელემენტი სანთლითაც არ

იძებნება. ერთ მხარეს დგანან ჩარჩიევი, ერისთავი და შიხინოვი, მეორე მხარეს კი კათოლიკე სასულიერო პირები, რომლებიც აღნიშნულ ქალაქში ეკლესიის აშენებისათვის ირჯებიან.

ამის მიუხედავად ჩვენ თვალწინ იშლება პროფესორი ავტორის თითქმის შეუნიღბავი ტენდენციურობა, რომელიც გაჯერებულია სიძულვილის ენით. თუ არა სიძულვილის ენა, სხვა რა შეიძლება ეწოდოს სიტყვებს „პატრების მიტაცებული მიწა“, მაშინ როდესაც ამ სიტყვების ავტორის მიერვე მოხმობილ ისტორიაში მიმტაცებლობის კვალი არსად ჩანს. ეს იყო (და არის) საქართველოს მიწა, — საქართველოს მიწა, რომელზეც კათოლიკური ეკლესია აშენდა და რომელიც კათოლიკურ ეკლესიას ჰქონდა გადაცემული მფლობელობაში. მძიმე შთაბეჭდილებას ტოვებს ამავე ავტორის სიტყვები: „რუსეთის ხელისუფლებამ საქართველოს კუთვნილი ტერიტორია თვითნებური გადაწყვეტილებით უცხო ქვეყნის წარმომადგენლებს გადასცა“ (გვ. 88). გულახდილად რომ ვთქვათ, ამას ეშმაკობა და თვალებში ნაცრის შეყრა ჰქვია: აკი ეს მიწა ჯერ ჩარჩიევის იყო, შემდეგ შიხინოვის, შემდეგ მეფის, შემდეგ კი მას ერისთავმა დაადო ხელი, მაგრამ პროცესის მოგება ვერ შეძლოო? ერთი რამ უდავოა: ეს არც ჩარჩიევის, არც შიხინოვის, არც მეფის და არც ერისთავის მიწა არ იყო, მით უმეტეს — ეკლესიის, არც რომის და, წარმოიდგინეთ, არც საქართველოს ეკლესიის, რადგან ეკლესია მიწაზე, დედამიწაზე, წუთისოფელში მდგმურია, სტუმარია და ის მიწას მუდმივ საკუთრებაში, როგორც წესი, არც საჭიროებს და არც თხოულობს. მკითხველს ვთხოვ, მოისმინოს: მიწა, რომლის შესახებაც აქ ლაპარაკია, საქართველოს (ქვეყნის, სახელმწიფოს) მიწა იყო და არის! ეს მიწა, რომლის

კუთვნილების (კერძო მესაკუთრეობის) საკითხზე იგივე ავტორი წერს, „იმთავითვე სადაო იყო“-ო, უცხო ქვეყნის წარმომადგენლებს კი არ გადაეცა, არამედ იმავე სივრცეში მოქმედ ეკლესიას პრაქტიკული მოთხოვნილებისა და საჭიროებისამებრ. თანაც ეს გადაცემა განახორციელა არა „რუსეთის ხელისუფლებამ“, არამედ სასამართლომ, ვიმეორებ, — სასამართლომ. დამოუკიდებელი საქართველოს სასამართლო ამ შემთხვევაში სხვანაირად მოიქცეოდა? რომელ პატიოსან კაცს მოუბრუნდება ენა, რომ თქვას: სახელმწიფომ და მისმა სასამართლომ ამა თუ იმ ეკლესიას საარსებო მიწა არ უნდა დაუთმოს, თუკი მოცემული ეკლესია კანონის საფუძველზე და კანონის ფარგლებში მოქმედებს? ამბობს ვინმე, გორის კათოლიკური ეკლესია იმხანად კანონს არღვევდაო? იქნებ გაგვიმარტოს ავტორმა, რა ნიშნის მიხედვით უწოდებს ის აღნიშნულ მიწას მიტაცებულს? განა თვითონ არ ამბობს, რომ ეს მიწა პატრებს ქართლ-კახეთის მეფემ, გიორგიმ, უწყალობათო (!?). ჰოდა, თუკი საქართველოს კანონიერმა ხელისუფალმა საქართველოს ერთ-ერთ რელიგიურ თემს უწყალობა მიწა, რომელიც მაშინ უპატრონოდ გამოიყურებოდა და, მაშასადამე, მეფის განმგებლობაში ირიცხებოდა, რა უფლებით ვაძლევთ საკუთარ თავს ნებას, რომ წყალობის მიმღები სუბიექტი მიმტაცებლად მოვიხსენიოთ? საქართველოს ცხებულმა მეფემ კათოლიკეებს უწილადა მიწა და წყალობის ამ აქტს სასამართლომ ხანგრძლივი კვლება-ძიებისა და თათბირის შემდეგ ბეჭედი დაუსვა; მისი ნამდვილობა აღიარა. სად არის აქ მიტაცების ნიშნები?

გვიძნელდება წერტილის დასმა: „ნიშანდობლივია, რომ ეს მიწა იმთავითვე სადაო იყო“-ო, აღნიშნავს ქ-ნი პროფესორი. სადავო მიწის საკითხი სასამარ-

თლომ უნდა განიხილოს. ესაა ცივილიზაციის ნორმა. ჩვენც ვხედავთ, რომ სასამართლოს ამ საგანზე წლების განმავლობაში უმსჯელია და ისეთი დასკვნა გამოუტანია, როგორიც მიზანშეწონილად მიუჩნევია. ვიმეორებთ: დავა არა ეკლესიებს შორის, არამედ კერძო პირსა და ეკლესიას შორის მიმდინარეობდა. სასამართლომ დააკმაყოფილა, ასე თუ ისე, ეკლესიის ინტერესები, რადგან მეორე მხარემ, კერძო პირმა, ნივთმტკიცება ვერა და ვერ წარმოადგინა. ამ კერძო პირის გვერდით არავინ არ დგას, — მართლმადიდებლების არც დიდი და არც მცირე ჯგუფი (ვერავის ვერ ვხედავთ). კვლავ ვუსვამთ ხაზს: მართლმადიდებელი ეკლესია და მართლმადიდებელი მრევლი აქ საერთოდ არა ჩანს. ისიც არ ვიცით, რა აღმსარებლობის არიან ჩარჩიევი, ერისთავი და შიხინოვი. ანდა ამას სასამართლოსა და სამართლისათვის რა მნიშვნელობა აქვს?

აქ, განსახილველი მასალის პერიპეტიებში, არსობრივად თითქოს ყველაფერი გასაგებია ერთი დეტალის გარდა: ჯერჯერობით ვერ მოვახერხეთ დეკ. ღვთისო სეხნიაშვილის წერილის იმ ადგილის წყაროს დადგენა, რომელიც ახსენებს 1802 წელს და ხაზს უსვამს, ამ წელს „გორის ტაძარი მართლმადიდებელთა საკუთრებაში“ იმყოფებოდაო. ვიმეორებთ კითხვებს: რომელი „გორის ტაძარი“ იგულისხმება აქ? საიდანაა აღებული ცნობა ამ ტაძრის შესახებ? ამ შემთხვევაში პატივცემული ოპონენტების წერილობითად გამოხმაურების იმედი გვაქვს.

პროფ. პავლიაშვილი ლაპარაკობს გორელ სომეხ (უნიატ) კათოლიკეთა აგრესიაზე ლათინური წესის კათოლიკეების მიმართ და დასძენს: „მიუხედავად ასეთი დაპირისპირებისა კათოლიკეთა ალაგმვა იმ ეტაპზე ვერ მოხერხდა, რადგან მათ რუსეთის ხელისუფლე-

ბა მფარველობდა“. გაურკვეველია, რა უპირატესობა აქვს ავტორის თვალში სომხური წესის კათოლიკობას ლათინური წესის კათოლიკობასთან შედარებით: ერთიც და მეორეც კათოლიკობაა; მათ შორის არსობრივი სხვაობა არ არის, სხვაობა მხოლოდ რიტუალში, მეორეულ მოვლენებშია. ამ საკითხში ავტორის პოზიცია ისევ და ისევ ბუნდოვანია. სამაგიეროდ, გარკვეული და თვალსაჩინოა ქსენოფობია, რადგან ის (ქსენოფობიური აზროვნება და, ზოგადად, ფობია) ნაწერის სტრიქონსა და სტრიქონს შორის, სიტყვასა და სიტყვას შორის ჩანს და მწვერვალს აღწევს შესიტყვებაში: „კათოლიკეთა ალაგმვა“. აქვე ჩანს (გამოკრთის) იმედიც: მართალია, ეს ალაგმვა „იმ ეტაპზე ვერ მოხერხდა“, იმის მიუხედავად, რომ (სასურველი) დაპირისპირება მაშინაც იყო, მაგრამ გულს ნუ გავიტეხთ! გამოთქმა: „იმ ეტაპზე ვერ მოხერხდა“ ანუ ხაზგასმა „იმ ეტაპზე“ ნიშნავს: ამ ეტაპზე მაინც მოხერხდება, რადგან დღეს კათოლიკეებს საქართველოში „რუსეთის ხელისუფლება“ აღარ თუ ვეღარ მფარველობსო.

გვრჩება შთაბეჭდილება, რომ განხილული პუბლიკაციის მთავარი მიზანი აღნიშნული იმედის დემონსტრაციაა. ეს პუბლიკაცია თავის თავს მოიაზრებს როგორც ნაბიჯს, რომელიც „ამ ეტაპზე კათოლიკეთა ალაგმვის“ მიზნისა და გეზის შესაბამისად უნდა გადაიდგას და, აჰა, ხომ ხედავთ, ეს ნაბიჯი უკვე გადაიდგაო. ვიყოთ გულწრფელი და ვაღიაროთ: ამ დოზის ტენდენციურობას კაცი სამეცნიერო გრიფის ლიტერატურაში იშვიათად შეხვდება.

წყლული და ტკივილი

არანაკლებ გასაკვირია ის გულგრილობა, რომელსაც ამ და მსგავსი ლიტერატურის მიმართ ჩვენი ისტორიკოსები იჩენენ. გამონაკლისად წარმოგვიდგება პროფ. მურმან პაპაშვილის პოზიცია, რომელიც ჩამოყალიბებულია ამ თემაზე მის მიერ დაწერილ ნაშრომებში: პაპაშვილი 2008; 2009. მას არ მოერიდა აღენიშნა, რომ ქართული მედია საქართველოს კათოლიკეთა ეკლესიის მიმართ შეუწყნარებელ ტენდენციურობას ამჟღავნებს. მაგალითად: როგორც ბეჭდურმა, ისე ელექტრონულმა მედიამ ამჯობინა დუმილი და თითქოს საგანგებოდ დაუმალა საზოგადოებრიობას ისეთი მნიშვნელოვანი მოვლენა, როგორიცაა ვენეციის კათოლიკე პატრიარქის მიერ კათალიკოს-პატრიარქ ილია II-ისათვის 2002 წელს ანდრია პირველწოდებულის ნაწილების გადაცემა (პაპაშვილი 2008:96).

ასევე: აღნიშნულმა მეცნიერმა ქართულ სამეცნიერო ლიტერატურაში პირველად გააჟღერა აზრი იმის შესახებ, რომ გადაუდებელი საქმეა საქართველოს კათოლიკური ეკლესიების ისტორიის დაწერა და ამ ისტორიის ფართო საზოგადოებისათვის წარდგენა. იგი აღნიშნავს: „1987-1991 წლებში საქართველოში კომუნისტურმა ხელისუფლებამ 5 კათოლიკური ტაძარი (გორში, ქუთაისში, ბათუმში, ივლიტაში, უდეში)... მართლმადიდებლებს გადასცა. ეს ტკივილი დღემდე არ განელებულა და ალბათ მანამდე არ განელდება, სანამ სამართლიანობა არ აღდგება... უფრო ამაზრზენია დასახელებული ეკლესიების შესახებ გამოგონილი ისტორიის შექმნა და დოკუმენტური მასალის გამაოგნებელი დამახინჯება. სიმართლის მოყვარული ადამიანი ვერც იმ ფაქტს შეურიგდება, რომ კვალის წაშლის

მიზნით გორის ტაძარში 90-იან წლებში რესტავრაციის შედეგად გადაიღება ფრესკები და განადგურდა ტაძრის ეზოში არსებული კათოლიკე მღვდელმსახურთა საფლავები...“ (პაპაშვილი 2008:102,108). ამავე მკვლევარმა ხაზგასმით აღნიშნა (და, ჩანს, ქ-ნ ქეთევან პავლიაშვილის ზემოთ განხილული წერილის პასუხადაც), რომ ის, რაც XIX ს-ის დასაწყისში თბილისსა და გორში კათოლიკურ ეკლესიებთან დაკავშირებით ხდებოდა, სხვა არაფერი იყო, თუ არა „წართმეული ეკლესიებისა და სახლების დაბრუნების“ სანაცვლო ღონისძიება (პაპაშვილი 2009:69).

ვეთანხმებით ამ სიტყვებს და ვაკონკრეტებთ: კათოლიკეებს გორში ახალი მთავრობისა და საოკუპაციო რეჟიმისაგან არავითარი ახალი და დამატებითი წყალობა არ მიუღიათ. რაც მათ ამ დროს (XIX ს-ის დასაწყისში) მიიღეს, ეს იურიდიულად მათი ქვეყნის სამი უკანასკნელი მეფისაგან — თეიმურაზისაგან, ერეკლესა და გიორგისაგან — ჰქონდათ ნაბოძები.

სადაა რჯული ანდა მორალი?

ჩვენ შეძლებისამებრ წარმოვადგინეთ მონახაზი იმ ერთ-ერთი კათოლიკური ეკლესიის ისტორიისა, რომელიც 1937 წელს არარელიგიური დანიშნულებისამებრ გადაკეთდა და რომელიც გასული საუკუნის 80-იანი წლების მიწურულს მართლმადიდებლებად ცნობილმა არაფორმალებმა (ასე უწოდებდნენ მაშინ ანტისაბჭოურად განწყობილი მოქალაქეების ჯგუფებს) დაიკავეს. მათ იქ მართლმადიდებელი სასულიერო პირები და მლოცველები შეიყვანეს და შენობა

მართლმადიდებელ ეკლესიად გამოაცხადეს. და ეს ყველაფერი მოხდა იმის მიუხედავად, რომ ამ ქალაქში კათოლიკეები, რომელთა სულიერმა წინაპრებმა ეს ეკლესია ააშენეს, ისევ ცოცხლობდნენ, ცხოვრობდნენ და შრომობდნენ. ეს ნიშნავს, რომ აღნიშნულ დროს, პერესტროიკის ბოლო ფაზასა და საბჭოთა კავშირის რღვევის პროცესში, კათოლიკური ეკლესია გორში (ეკლესია თავისი ნამდვილი, პირველადი მნიშვნელობით), თუნდაც სამი მორწმუნით წარმოდგენილი, ჯერ კიდევ არსებობდა და მისი უგულებელყოფა არც იურიდიული და არც მორალური თვალსაზრისით არ ეგებოდა. ამას, ეკლესიის ენას რომ დავესესხოთ, სხვას ვერაფერს დავარქმევთ, თუ არა ცოცხალი ეკლესიისათვის წინაპრისეული დედულ-მამულის თვალსა და ხელს შუა წართმევას. თუკი შუა საუკუნეებში, კერძოდ 1755 წელს, გორელ და თბილისელ კათოლიკეებს ეკლესიები მაშინდელმა თვითმპყრობელმა ხელისუფლებამ ჩამოართვა, თანამედროვე ცივილიზაციის პირობებში იგივე მოიმოქმედეს მართლმადიდებლობით თავმომწონე ჯგუფებმა, რომლებმაც დაარღვიეს როგორც რჯულის, ისე მორალის კანონი: *ნუ გააკათებ, რაც არ გინდა, გაგიკეთონ შენ.*

ახალი ამბავი

ცხადია, გორის კათოლიკური ეკლესიის პრობლემა არის საქართველოს დანარჩენი ოთხი კათოლიკური ეკლესიის (ივლიტის, უდეს, ბათუმისა და ქუთაისის) ერთიანი პრობლემის შემადგენელი ნაწილი. ეს პრობლემა კი, თავის მხრივ, განუყოფლადაა დაკავშირებუ-

ლი ქვეყნის საერთო პრობლემატიკასთან. ასე რომ, ამ შემთხვევაში საქმე გვაქვს იმ რანგის საზოგადო პრობლემასთან, რომლის გადაჭრა და მოგვარება ხელისუფლების პრეროგატივად უნდა იქნას მიჩნეული.

და, აი, დღეს, როცა ეს სტრიქონები იწერება (2013 წლის 7 მაისს), სოციალურ ქსელებში გამოჩნდა საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრის გურამ ოდიშარიას პასუხები, რომლებშიც აღნიშნულია: „ჩვენ დავიწყეთ ამ [კათოლიკური ეკლესიების მესაკუთრეობის] მიმართულებით მუშაობა. საბოლოოდ კომისია ჩამოყალიბებული არ არის, თუმცა, მიუხედავად ამისა, სადავო ეკლესიებთან მიმართებაში ჩვენ ვიმოგზაურეთ. ბევრს დავდივართ რეგიონებში. სოფელ უდეში ვიყავით, სადაც არის კათოლიკური ეკლესია, რომელზედაც ძალიან ბევრი პროტესტი იყო გაცხადებული კათოლიკეებიდან, შევისწავლეთ სიტუაცია... საკითხი ძალიან საფრთხილოა და ნაბიჯ-ნაბიჯ მოქმედებაა საჭირო... თემის ირგვლივ არსებული ტემპერატურა უნდა დაეცეს და მშვიდად უნდა გადაწყდეს ნებისმიერი საკითხი“ (გ. ავალიანი, რატომ ვერ შეიქმნა სადავო საკითხების შემსწავლელი კომისია: www.netgazeti.ge).

აქედან ჩანს, რომ საქართველოს ახალი მთავრობა და ხელისუფლება დახურულად არ მიიჩნევს საკითხს იმ კათოლიკური ეკლესიების საკუთრების თაობაზე, რომლებიც დღეს მართლმადიდებელთა ეკლესიების ხელშია. მოსალოდნელია სამთავრობო კომისიის შექმნა, რომელიც აღნიშნულ საკითხს განიხილავს და მსჯავრს გამოიტანს. გორის კათოლიკური ეკლესიაც ამ მსჯავრის მოლოდინშია.

ბოლოსიტყვის მაგიერ:
კათოლიკეთა ეკლესია გორში და წმ. კირიონის ანდერძი

ზემოთ ნათქვამს თუ შევაჯამებთ, შემდეგ დასკვნას მივიღებთ:

1. კათოლიკური ეკლესია გორში XV ს-იდან (შესაძლოა, ადრინდელი პერიოდიდანაც) უწყვეტად მოქმედებს, თუმცა ყოფილა შემთხვევა, როდესაც ის ტაძრისა და სასულიერო პირის გარეშე დარჩენილა. ასეთ შემთხვევაში მას ქმედით დახმარებას უწევდა როგორც კათოლიკური ეკლესიის ამქვეყნიური ცენტრი, — რომი (ვატიკანი), ისე ადგილობრივი პოლიტიკური და კულტურული ელიტა. იმის მიუხედავად, რომ ამ ელიტაში აღნიშნული ეკლესიის მიმართ განსხვავებული პოზიციები არსებობდა, მაგისტრალურ ხაზად მაინც კეთილგანწყობილება გამოიყურება.

2. გორის კათოლიკური ეკლესიის მიმართ კეთილგანწყობილება, პირველ რიგში, საქართველოს დიდმა საეკლესიო და სახელმწიფო მოღვაწეებმა გამოავლინეს: ეკლესიის მნათობმა — წმიდა დედოფლმა ქეთევანმა, მისმა ძემ — ქრისტეს სარწმუნოებისა და ეკლესიისათვის ასევე ტანჯვა-წამებით აღსრულებულმა თეიმურაზ I-მა და უწმიდესმა კათალიკოს-პატრიარქმა ზაქარიამ.
მათ გვერდით დგას ქართული წიგნის ამაგდარი — ნიკიფორე-ნიკოლოზ ჩოლოყაშვილი, რომლის სიტყვამ და გულისხმიერებამ სამსჯავროდან გამარჯვებული გამოიყვანა გორის კათოლიკური ეკლესიის ჩინებული შვილი — ნასყიდა, რომელიც კათოლიკე სარწმუნოებისათვის მოწამეობრივად აღესრულა.

ეგევე ითქმის მუსლიმი, მაგრამ პატრიოტი მეფე როსტომისა და მისი მეუღლის, მარიამის, მიმართ.
გორის კათოლიკური ეკლესიის კეთილწარმატებისათვის იღვაწა დიდმა ქართველმა მწერალმა და მეცნიერმა სულხან-საბა ორბელიანმა. მისი ხელისშეწყობითა და ლოცვა-კურთხევით დასავლეთ ევროპის ცოდნასა და მეცნიერებას ეზიარა დავით ტულუკაშვილი, რომლის თარგმანი, ჩასწორებული და განახლებული, გორში პირველად ეზიარა სტამბის ხელოვნებას და ამ ქალაქში ქართული წიგნის ბეჭდვის ისტორია დაასაძირკვლა.
გორის კათოლიკური ეკლესიის ისტორიასთან დაკავშირებული არიან ქართველი გვირგვინოსანი მეფეები: თეიმურაზ II და ერეკლე II, რომელთაგან პირველმა ეს ეკლესია დახურა, მაგრამ მალე სინანულს მიეცა და კათოლიკე მეფედ გარდაიცვალა; მეორემ (ერეკლემ) სიგელით დაადასტურა ამავე ეკლესიის უფლება, ააშენოს სახლი და ეკლესია-ტაძარი.
გორის კათოლიკური ეკლესიის დამწყალობებელთა შორის იმყოფება საქართველოს უკანასკნელი მეფე გიორგი XII, რომელმაც მას გამოუყო მიწა, რომელზეც 1822 წელს არქიტექტურული ძეგლი — გორის კათოლიკური ეკლესია — აღიმართა.

4. გორში კათოლიკეთა სარწმუნოებისა და ეკლესიის აღორძინება ხსენებული ადამიანების — საქართველოს ჩინებული შვილების — ნებით, დასტურითა და თანადგომით მოხდა. ის ფაქტი, რომ ეს ქალაქი, გორი, ცნობილია „როგორც კათოლიკობის გავრცელების ერთ-ერთ ცენტრი საქართველოში“ (ბუხნიკაშვილი 1939: 62), დასახელებული პიროვნებების, მეტადრე კი ცათა სასუფევლის მკვიდრი დედოფლის — ქეთევანის,

გორის კათოლიკური ეკლესიისადმი კეთილმოსურნეობის ნაყოფად უნდა ჩავთვალოთ.

5. კათოლიკეთა ის ეკლესია-ტაძარი და კარ–მიდამო, რომელიც დღესაც დგას გორში და საქართველოს მოსახლეობა მას დღესაც გორის კათოლიკურ ეკლესიას უწოდებს, XIX ს-ის 10-30-იან წლებში აშენდა და გამშვენდა ადგილობრივი კათოლიკეების (საეროებისა და სასულიეროების) შრომისა და გარჯის შედეგად; იმ სამართლებრივი ბაზის საფუძველზე, რომელიც დამოუკიდებელი საქართველოს უკანასკნელმა მეფეებმა შექმნეს და შთამომავლობას უანდერძეს.

6. XIX საუკუნისა და XX საუკუნის პირველი ოცეულის ქალაქი გორი მართლმადიდებელთა და კათოლიკეთა მშვიდობიანი თანაცხოვრების მჭევრმეტყველი ხატია. გორის არც ერთ მართლმადიდებელ ეპისკოპოსს, მათ შორის წმინდანებს — გაბრიელს, ალექსანდრესა და კირიონს — ამ ქალაქში კათოლიკური ეკლესიის არსებობა არ გაუკრიტიკებია.

7. წმ. კირიონმა საქართველოში კათოლიკური ეკლესიების არსებობა მაღალი ხარისხით შეაფასა და აღთქმა დადო, რომ ის და მისი მემკვიდრეები კათოლიკეთა უფლებებს და კათოლიკური ეკლესიების ხელშეუხებლობას დაიცავენ.

8. კომუნისტურმა მმართველობამ გორში კათოლიკეებს, ისე როგორც სხვებს, ეკლესია-ტაძარში მსახურების უფლება ჩამოართვა. ასევე ჩამოართვეს მათ (კათოლიკეებს) ეს უფლება პოსტკომუნისტური ეპოქის აქტივისტებმა და აღნიშნული ეკლესია-ტაძარი მართლმადიდებელთა ეკლესია-ტაძრად გამოაცხადეს. რადგან კათოლიკეებმა ამ შენობაზე უფლებათა

აღდგენა მოინდომეს, გაისმა ხმები მისი არაკათოლიკური წარმომავლობის შესახებ, მაგრამ ეს ხმები ერთობ თვითმიზნურია და უსაფუძვლო.

9. ანტიკათოლიკური კამპანია, რომელმაც პოსტსაბჭოურ საქართველოში მასშტაბური ფორმა შეიძინა, წინააღმდეგობაშია იმ ტრადიციასთან, რომელიც ამ ქვეყნის ჩინებულმა სასულიერო და საერო მოღვაწეებმა, მათ შორის წმინდანებმა, დაასაძირკვლეს და რომელიც მართლმადიდებელი და კათოლიკური ეკლესიების კეთილ ურთიერთობას გულისხმობს. წმ. კათალიკოს-პატრიარქ კირიონის ის სიტყვები, რომლებიც ცნობილია მისი წერილიდან რომის პაპს, არის ანდერძი აღნიშნული ურთიერთობის შენარჩუნებისა და გაღრმავებისა. კათოლიკური წარმომავლობის ეკლესიებში კათოლიკეების არშეშვება ამ ანდერძის დარღვევას ეთანასწორება.

P. S. ახლახან, 2013 წლის 22 მაისს, როდესაც წინამდებარე წიგნის ტექსტზე მუშაობა დამთავრებული გვქონდა, ჩვენთვის ცნობილი გახდა შემდეგი: გორის კათოლიკური ეკლესიის გალავანში ამ ეკლესიის ამჟამინდელმა მეპატრონემ 10-12 დღის წინ გამოაჩინა და სახილველ ადგილზე დადო ზემოთ ნახსენები კათოლიკე მღვდლისა და საზოგადო მოღვაწის დომინიკე მუღაშაშვილ-პაწაძის საფლავის ქვა. ამასთანავე: იქვე აღმიმართა ახლად შექმნილი სტელა, რომელზეც ამოტვიფრულია წარწერა (ხელთ გვაქვს ფოტომასალა, რომელიც ამიერკავკასიის ლათინური წესის კათოლიკეთა სამოციქულო ადმინისტრაციის კულტურის კომისიის წევრმა ვასილ ბალიაშვილმა მოგვაწოდა):

„ესმა სასმენელთა ჩვენთა
ვითარმედ უთხოვიეს ლათინთა
ტფილისს და გორსა შინა ეკლესიანი.
... ინებოს ყოვლადმოწყალემან
ხელმწიფემან ჩვენმან არღარა
უკუნქცევად მათდა, რომელთა
შორის მრავალნი სამღვდელონი და საერონი
კეთილშობილნი კნიაზნი მარხიან.
რომელიცა შობს ჩვენ
შორის დიდსა მწუხარებასა და
ურვასა ყოვლისადმი საზოგადოობისა.
/ამონარიდი ქართლ-კახეთის
სამღვდელოების წერილიდან
იმპერატორ ალექსანდრე პირველისადმი.
წელსა 1802 აპრილსა 29-სა/“.

დასახელებული საფლავის ქვის გამოჩენა და დამაგრება იმ დაპირების შესრულებად უნდა ჩაითვალოს, რომელიც დაანონსებულია დეკ. ღ. სეხნიაშვილის ზემოთ განხილულ წერილში („ჩვენთან დღემდე დაცულია მისი [მ. დომინიკეს] საფლავის ქვა და იგი პირვანდელ ადგილს დაიკავებს”), რაც კანონზომიერია. გაუგებარია სტელის შექმნის მოტივი და საფუძვლიანობა. გვრჩება შთაბეჭდილება, რომ ამ ქმედების მიზანი მნახველთა და წარწერის წამკითხველთა შეცდომაში შეყვანაა, – ისეთი ილუზიის შექმნაა (განხილული წერილის კვალდაკვალ), თითქოს ეს ის ეკლესია-ტაძარია, რომელიც 1802 წელსაც არსებობდა და რომელიც მაშინ მართლმადიდებლების ხელში იმყოფებოდა. სინამდვილეში კი (და ამაზე სიტყვის გაგრძელება ღია კარის მტვრევა იქნება) ეკლესია, რომლის საკუთრების საკითხს წინამდებარე ნაშრომი მიეძღვნა

და რომელშიც ახლახან ახლადჩამოკვეთილი სტელა დაიდგა, 1802 წლის შემდგომ არის აგებული. ცხადია, ქართლ-კახეთის სამღვდელოებას 1802 წელს მხოლოდ იმ ეკლესიის შენარჩუნებაზე შეეძლო ლაპარაკი, რომელიც იმ დროს არსებობდა. ეჭვი არაა, რომ აქ, ამ წარწერაში, ის დოკუმენტი იგულისხმება, რომლის შინაარსი ცნობილია გამოცემიდან: Акты собранные Кавказскою Археологическою Коммиссиею, т. 1, Тифлис, 1866, გვ. 551.

უნდა ვაღიაროთ, რომ ეს დოკუმენტი და, კერძოდ, ახალ სტელაზე წარმოდგენილი ამონარიდი ამ დოკუმენტიდან გორის კათოლიკური ეკლესიის ამჟამინდელი მეპატრონის და, კერძოდ, გორელი კათოლიკეების ოპონენტების საწინააღმდეგო ინფორმაციას შეიცავს. აქ ლაპარაკია იმ ეკლესიაზე, რომელიც თავდაპირველად კათოლიკეებს ეკუთვნოდა და, მაშასადამე, კათოლიკური იყო. დავაკვირდეთ: „ინებოს... ხელმწიფემან... [ამ ეკლესიის] არღარა უკუნქცევად მათდა [ლათინთა, კათოლიკეთა]“. მივაქციოთ ყურადღება სახელზმნას „უ-კუნ-ქცე-ვა“, რაც ამ შემთხვევაში მოცემული საეკლესიო ნაგებობის უკან დაბრუნებას, პირვანდელ სტატუსში აღდგენას ნიშნავს. ეს სტატუსი კი მისი კათოლიკურობაა. 1802 წლის დოკუმენტის (წერილის) ავტორები აღიარებენ, რომ ეკლესიები, რომელთა შენარჩუნებას ჩვენ ახლა ვითხოვთო, ადრე ჩვენ, მართლმადიდებლებს, არ გვეკუთვნოდა; ისინი მათ, კათოლიკეებს, ეკუთვნოდაო. სურათი ნათელია. ახალ სტელაზე ამოკვეთილ ტექსტში ლაპარაკია თბილისისა და გორის იმ ეკლესიებზე, რომლებიც 1755 წელს კათოლიკეებს ჩამოართვეს. ამ ამონაკვეთი ტექსტის გარეშეც ცნობილია, რომ აღნიშნული ეკლესიების დაბრუნება მათმა ძველმა და თავდაპირველმა მესაკუთრეებმა, კათოლიკეებმა, 1801-1802 წლებშიც

მოითხოვეს. ამ მოთხოვნას ამავე ეკლესიების ახალმა მესაკუთრეებმა, მართლმადიდებლებმა, კონტრმოთხოვნა დაუპირისპირეს, ანუ: ამ ეკლესიების ძველი, თავდაპირველი, კანონიერი მესაკუთრეებისათვის არდაბრუნების მოთხოვნით ახალმა მესაკუთრეებმა ხელმწიფე იმპერატორს მიმართეს. საიმპერიო მთავრობამ კი სწორედ კონტრმოთხოვნა დააკმაყოფილა, ე. ი. გორელ და თბილისელ კათოლიკეებს საკუთრებაზე უფლება არ აღუდგინა, თუმცა, ვიმეორებთ, თვით იმდროინდელი კათოლიკეების მოპირდაპირე მხარის, მართლმადიდებლების, სიტყვიდანაც ჩანს, რომ სადავო ეკლესია-ტაძრები დასაბამშივე კათოლიკეებს ეკუთვნოდა და, ამდენად, კათოლიკეების პრეტენზიები ამ ძეგლებზე არის სამართლიანი და კანონიერი. აღნიშნული უარის გამო ისინი, გორელი და თბილისელი კათოლიკეები, იძულებული გახდნენ, ახალი ეკლესიები აეშენებინათ. და ააშენეს კიდეც. ეს არის და ეს. ამ საეკლესიო ნაგებობებიდან გორის ტაძარი ჩვენს ეპოქაში მართლმადიდებლებმა მიითვისეს და ისტორიულ მესაკუთრეებს ჯერჯერობით არ უბრუნებენ.

ჩვენთვის უცნობია, შეათანხმა თუ არა ადგილობრივმა მართლმადიდებელმა ეკლესიამ (ამჟამინდელმა მესაკუთრემ) აღნიშნული სიახლე – წარწერიანი სტელის აღმართვა – კულტურის სამინისტროსთან. ასეა თუ ისე, ფაქტია, რომ ამ სიახლით ჩვენ საქმე გვაქვს არა მხოლოდ საზოგადოების დაბნევისა და შეცდომაში შეყვანის მცდელობასთან (იქნებ ვინმეს მოეჩვენოს, რომ ეს ახალი კი არა, ამ ტერიტორიაზე ნაპოვნი ძველი სტელაა და მისმა წარწერამ იქნებ ვინმეს ჩვენთვის გამოსადეგი ილუზია შეუქმნასო), არამედ – ისტორიულ ძეგლზე ძალადობასთანაც: კულტურული მემკვიდრეობის დაცვის შესახებ კანონის დარღვევასთანაც.

ლიტერატურა

ასლანიშვილი, გ., ახალი ცნობა ქართველ კათოლიკეთ რომის ტიბიკონის შესახებ. „ცნობის ფურცელი“, 1899, 16.VII, № 843,

ბრაგანტინი, გ., პაპუაშვილი, ნ., სიმართლისა და სამართლისათვის ივლიტის ეკლესიაზე, თბ., 2006

ბუბულაშვილი, ე., ქართული ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენა და საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადება. ქრისტიანობა საქართველოში (ისტორიულ-ეთნოლოგიური გამოკვლევები), თბ., 2000, გვ. 50-62

ბუბულაშვილი, ე., ქართველ ავტოკეფალისტთა მიმართვა მსოფლიო პატრიარქს. ლოგოსი IV, 2007, გვ. 152-161

ბუხნიკაშვილი, გ., ქალაქ გორის ისტორია (მოკლე მიმოხილვა). „ჩვენი თაობა“, 1939, №12, გვ. 58-64

ბუხნიკაშვილი, გ., გორი (ისტორიული ნარკვევი). ,,მნათობი“, 1940, # 2, გვ. 147-160

გიულდენშტედტის მოგზაურობა საქართველოში, ტ. 1, გერმანული ტექსტი ქართული თარგმანითურთ გამოსცა და გამოკვლევა დაურთო გ. გელაშვილმა, თბ., 1962

გურგენიძე, ვ., საბიაშვილი, ვ., სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქ ილია II-ის მოგზაურობა მესხეთ-ჯავახეთში. „ჯვარი ვაზისა“, 1988, № 4, გვ. 22-46

დობკევიჩი, კ. ი., კათოლიკობა საქართველოში [პოლონური გაზეთის „Край“-ს მე-17 ნომერში დაბეჭდილი სტატიის თარგმანი]. „ივერია“, 1898, 14.VI, № 125, გვ. 1-3

თამარაშვილი, მ., ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის ნამდვილის საბუთების შემოტანითა და განმარტებით XIII საუკუნიდგან ვიდრე XX საუკუნემდე, ტფ., 1902

თავდიშვილი, მ., გორში დაბეჭდილი პირველი წიგნი. ლიახვი, გორი, 1982

კეკელიძე, კ., ძველი ქართული ლიტერატურის ისტორია, ტ. I, თბ., 1980

კიკნაძე, ზ., პაპუაშვილი, ნ., სიმართლისათვის ქუთაისის კათოლიკურ ეკლესიაზე (პასუხად პროფ. გ. გაბუნიას). „რეზონანსი“, 2009, 24.I, № 16, გვ. 12

საძაგელოვ-ივერიელი, გ., გორის სასულიერო სასწავლებლის 75 წლის იუბილეი (1818-1893). „ივერია“, 1893, 20.V, № 102

ლომინაძე, ბ., საქართველოს საპატრიარქო და მისი მიწათმფლობელობა, გამოსაცემად მოამზადეს ე. ბუბულაშვილმა და დ. მელიქიშვილმა, თბ., 2010

მამისთვალიშვილი, ე., გორის ისტორია I (1801 წლამდე), თბ., 1994

მაჭარაძე, ვ., მასალები XVIII საუკუნის მეორე ნახევრის რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის ისტორიისათვის, II (თეიმურაზ მეორის ელჩობა რუსეთში), თბ., 1968

მელიქსეთ-ბეგი, ლ., გიორგი გორელი — უცნობი ქართველი და სომეხი მწერალი XVIII საუკუნის პირველი ნახევრისა. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მოამბე X-B, 1940. 89-122

პავლიაშვილი, ქ., ფრაგმენტები გორის კათოლიკური ეკლესიის ისტორიიდან. კულტურის ისტორიისა და თეორიის საკითხები, XXI, თბ., 2005. 81-91

პაპაშვილი, მ., საქართველო-რომის ურთიერთობა VI-XX სს., თბ., 1995

პაპაშვილი, მ., ქართულ მართლმადიდებლური და საქართველოში კათოლიკური ეკლესიების ურთიერთობის წარსული, აწმყო და მომავალი (ფიქრები განსჯისათვის). საისტორიო ვერტიკალები, 14, 2008, გვ. 95-111

პაპაშვილი, მ., რუსეთის ანტიკათოლიკური პოლიტიკა საქართველოში XIX საუკუნის პირველ ნახევარში. საისტორიო ვერტიკალები, 19, 2009, გვ. 67-82

პაპუაშვილი, ნ., კოდიკოლოგიურ-არქეოგრაფიული ძიებანი გაზეთ „დროების“ მასალების მისედვით (გამოკვლევა და კატალოგი), თბ., 2008

პაპუაშვილი, ნ., კორნელი კეკელიძე პირველ საეკლესიო კრებაზე და ამ კრების ორი კანონიკური დოკუმენტის ატრი-

ბუციის საკითხი. ქრისტიანულ-არქეოლოგიური ძიებანი 1, 2008, გვ. 427-448

ჟორდანია, თ., ანტონ პირველი, საქართველოს კათალიკოსი და ვლადიმირისა და იეროპოლის არქიეპისკოპოსი. „საღვთისმეტყველო კრებული“, 1. 1991.

ტაბაღუა, ი., კიდევ ერთი ცნობა ქეთევან დედოფლის შესახებ. „კომუნისტი“, 1985, 20.X, № 242

ტაბაღუა, ი., საქართველო ევროპის არქივებსა და წიგნსაცავებში, წ. II, თბ., 1986; წ. III, თბ., 1987

ტაბაღუა, ი., იტალიის არქივში მასალები საქართველოს შესახებ. „თბილისი“, 1990, 2.II, № 28

ფეიქრიშვილი, ჟ., ზუბალაშვილები ეროვნული მრეწველობისა და მეცენატობის სათავეებთან, თბ., 2011

ხახანაშვილი, ა., კათალიკოს ანტონ პირველის ცხოვრება და მოღვაწეობა. „საღვთისმეტყველო კრებული“, 1. 1991.

ჯაფარიძე, ლ., ქართველ კათოლიკეთა დელეგატებისა და დროებით აღმასრულებელ კომიტეტის წევრთა კრება. „საქართველო“, 1917, 29.IV, № 92

Пурцеладзе, Д. П., Грузинские церковние гуджари (грамоты) (Материалы для пятаго Археологического съезда), Тифлис, 1881

Туманишвили, А.Б, Описание грузинского города Гории, СПб., 1816

Chmielecki, T. T., Gruziński katolicyzm w XIX i na początku XX wieku w świetle archiwów watykańskich, Toruń 1998.

დანართი

წერილი, რომლის ტექსტსაც ქვემოთ წარმოვადგენთ, არის რეაქცია და გამოხმაურება ვანდალიზმზე, რომელიც შოთა რუსთაველის ფრესკის გადაფხეკით გამოიხატა და რომელმაც კეთილი ნების ადამიანები აღაშფოთა. ეს 2003 წლის გაზაფხულსა თუ ზაფხულში მოხდა ანუ იმ დროს, როდესაც ჩვენს ქვეყანაში, ჩვენს თვალწინ, კათოლიკური ეკლესიების მიმართ მართლმადიდებლობის სახელით ღიად და თავმოწონებითაც კი თითქმის ანალოგიური ქმედებები ხორციელდებოდა. ლაპარაკია სოფელ ივლიტისა და გორის კათოლიკურ ეკლესიებზე, რომელთა ფასადები, ბარელიეფები და ფრესკები რელიგიური მოტივით სწორედ 2003 წლის ახლო ხანს გადაასხვაფერეს. მაშინ საქართველოს მოსახლეობის ერთმა ნაწილმა ამა თუ იმ ტრადიციის სალოცავი სახლების თვითნებურად გადაკეთება-გადმოკეთების ფაქტები დაგმო. ამ ნაწილს მივეკუთვნებოდით ჩვენ: ამ სტრიქონების ავტორი და პაატა ზაქარეიშვილი, პოლიტოლოგი და უფლებათა დამცველი, აწ სახელმწიფო მინისტრი. ჩვენი ხედვა და პოზიცია გამოვხატეთ წერილში, რომელიც გამოქვეყნდა ჟურნალში „ზღვარი“: 2004, №2, გვ. 22-26. მას შემდეგ ათი წელი გავიდა, მაგრამ აღნიშნული პრობლემა მაინც იჩენს თავს. მაგალითად მართლმადიდებელი მრევლის მიერ სოფელ უდეს კათოლიკური ეკლესიის შენობის გადაკეთების მცდელობა გამოგვადგება. ამის გამო გადავწყვიტეთ ამ წერილის ხელახლა გამოქვეყნება.

ნუ გავაკეთებთ, რაც არ გვინდა, გაგვიკეთონ ჩვენ

იერუსალიმის ჯვრის მონასტრის ფრესკიდან შოთა რუსთაველის სახისა და წარწერის ამოფხეკა დანაშაულის იმ კატეგორიას განეკუთვნება, რომელსაც ზოგადად ვანდალიზმი, კონკრეტულად კი სიწმინდეთა შებღალვა ანუ მკრეხელობა ჰქვია. ესაა გააზრებული და მიზანმიმართული ნაბიჯი, რომელიც გადაიდგმება, რათა მოწინააღმდეგე მხარის სინდისი შეილახოს. ვინც ამას სჩადის, ფიქრობს: ეს გზა საუკეთესო საშუალებაა, ვინმე უცხოს და ჩემთვის არასასურველის სახელი და სახსენებელი რომ ამოიშანთოს.

წარსულის მრავალსაუკუნოვანი გამოცდილება მოწმობს, რომ სინამდვილეში პირიქით ხდება. ქრისტე დაამცირეს და ჯვარს აცვეს, რათა აღარავის ჰქონოდა მისი იმედი, მაგრამ ჯვარცმას მკვდრეთით აღდგომა და ჭეშმარიტების ტრიუმფი მოჰყვა. რაც მეტად ამცირებდნენ და სდევნიდნენ ისრაელიანებს ეგვიპტეში, ქრისტიანებს წარმართთა რომში თუ ნებისმიერ ხალხს მონობაში, მით უფრო მტკიცდებოდნენ და მრავლდებოდნენ დევნილები.

საქართველოს ისტორიისა და კულტურისთვისაც არა ერთი და ორი შეურაცხყოფა მიუყენებიათ როგორც შინ, ისე გარეთ. ბერძენი ნაციონალისტე-

ბი და ფანატიკოსები, ექვთიმე და გიორგი მთაწმინდელების დროსაც კი (X-XI სს.), ქართველების მოღვაწეობის კვალს გულმოდგინედ და ბარბაროსულად ანადგურებდნენ ყველგან, სადაც კი ასეთი რამ ეგულვებოდათ — ათონის ნახევარკუნძულზე (ივირონში), იერუსალიმსა თუ ქრისტიანული აღმოსავლეთის სხვა ადგილებში.

ვანდალიზმმა, რომელიც ახლახან იერუსალიმში მოხდა (ვერავინ ამბობს, კონკრეტულად როდის), ჩვენ სულით ხორცამდე შეგვძრა. იმართება მიტინგები და მსვლელობები, ეწყობა კრებები, იწერება საპროტესტო წერილები, რაც ბუნებრივია, მაგრამ აქ სამწუხარო ის ფაქტია, რომ ეს აქციები თვითკრიტიკისა და თვითგანსჯის გარეშე მიმდინარეობს. არავინ სვამს კითხვას: თავად ჩვენც ხომ არ დაგვიშვია რამე შეცდომა, რომელმაც მტრები გაგვიჩინა და მათ, ბუნებით ღვარძლიანებს და აგრესორებს, ღვარძლისა და აგრესიის კიდევ ერთი მუხტი შეჰმატა? ჩვენ ვგმობთ, და სამართლიანად ვგმობთ, სხვის ბოროტებას, მაგრამ უპრიანი იქნება, ახლა მაინც შევეკითხოთ საკუთარ თავს: რატომ ამოგვიღეს ნიშანში ასე ბოროტად? იქნებ (ანალოგიურ) ბოროტებას ჩვენც ჩავდივართ?

საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის ცხოვრებაში ბოლო დროს ისეთი განწყობილებების და ტენდენციების მოძალება შეინიშნება, რაც ქრისტიანული მოძღვრებისა და დოგმატიკისათვის უცხო და მიუღებელია. მხედველობაში გვაქვს ეკლესიური ნაციონალიზმი ანუ ეკლესიაში სარწმუნოებრივ პრინციპებზე მაღლა ნაციონალური

პრინციპების დაყენება. ეს იგივე ფილეტიზმია, ერთგვარი ერესი, რომელიც უარყოფითი მოვლენაა როგორც ეკლესიური, ისე ეროვნული და სახელმწიფოებრივი თვალსაზრისით. ამის თაობაზე, შესაბამისი ფაქტების დამოწმებით, ჩვენში ბევრჯერ ითქვა და დაიბეჭდა, მაგრამ ვითარება არ შეიცვალა. საპატრიარქო აცხადებს პრეტენზიებს ისეთი პრობლემების განხილვასა და მოგვარებაზე, რაც მისი, როგორც ეკლესიის, სამოღვაწეო სივრცეში არ უნდა შედიოდეს, რადგან ეკლესიის, როგორც ასეთის, კომპეტენცია არ არის და მის დანიშნულებასთანაც შეუსაბამოა. ასეთია, მაგალითად, თურქეთის ამჟამინდელი ადმინისტრაციული რაიონების (ისტორიული ლაზეთისა და ტაო-კლარჯეთის) თემატიკისადმი ყურადღების ერთობ აფიშირებულად გამახვილება, რაც საქართველოს საგარეო პოლიტიკაში შეჭრის შთაბეჭდილებას ტოვებს.

ამ მხარეს საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის ამჟამინდელი იერარქია საკუთარ სამისიონერო ადგილად მიიჩნევს. ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესიების თანამედროვე საზღვრებს თუ გავითვალისწინებთ (რასაც მეტწილად სახელმწიფოს ტერიტორია განაპირობებს), აღნიშნული რაიონები დღეს კონსტანტინოპოლის პატრიარქის იურისდიქციაში არის მოქცეული და რჯულის კანონის საწინააღმდეგოა იქ საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის ეპარქიების გახსნა თუნდაც ნომინალურად და სიმბოლურად. როდესაც „თურქეთის საქართველოს“ შესახებ რადიო „ივერიის“ გადაცემებს ისმენ, ნებსით თუ უნებ-

ლიედ გიჩნდება კითხვა: საპატრიარქოს ეკლესიურ მიზნებს პოლიტიკური მიზნები ხომ არ შერწყმია? რა ნაყოფს გამოიღებს ეს მიმართულება მეზობელი სახელმწიფოების ურთიერთობაში? თურქულ ნაციონალიზმს ამით ანტიქრისტიანული და ანტიქართული ისტერიისაკენ ჩვენ თავად ხომ არ ვუბიძგებთ? ანდა რა პასუხს გავცემთ მსოფლიო პატრიარქს? განა თურქეთის ტერიტორია იურიდიულად მისი (და მხოლოდ მისი) სამწყსო არაა? და რაც მთავარი და არსებითია: რამდენად სახარებისეულია სახელმწიფოსა და ეკლესიის ინტერესების ასეთ დონეზე ურთიერთაღრევა?

ოც წელზე მეტია, რაც საქართველოს საპატრიარქო ქართული კულტურის საზღვარგარეთ არსებული ძეგლების დაბრუნების საკითხს სვამს. აქცენტი იერუსალიმის ჯვრის მონასტერზეა გადატანილი, რომელიც დღეს იერუსალიმის ბერძნული ანუ მართლმადიდებლური საპატრიარქოს ტერიტორიულ-კანონიკურ ველშია მოქცეული. ამდენად, ეს მონასტერი, როგორც კრებული (როგორც ბერმონაზონთა ძმობა) და სულიერი ცენტრი ადგილობრივი ეპისკოპოსის (პატრიარქის) მოციქულებრივი ზედამხედველობის არეში შედის, მაგრამ შენობა მორთულობითურთ, როგორც წარსულის მემკვიდრეობა და კულტურის ძეგლი, იმ სახელმწიფოს საკუთრებაა, რომლის მიწაზეც მდებარეობს. ეს ქვეყანა ისრაელია და ქართული კულტურის ამ უნიკალური ნიმუშის მოვლა-პატრონობაზე პასუხი მას მოეკითხება (და არა საბერძნეთს, როგორც ეს ჩვენი შემოქმედებითი ინტელიგენციის ზოგიერთ

მუშაკს ჰგონია). ასევე ეკუთვნის საქართველოს საქართველოში მდებარე ის მონასტრები, ეკლესიები (მეტოქები) და მამულები, რომლებიც ისტორიის გარკვეულ მონაკვეთში, რევოლუციამდეც კი, იერუსალიმის საპატრიარქოს ეკუთვნოდა.

საკუთრების საკითხი არ არის ჭეშმარიტების შემცველი დოგმატი. ამიტომაც იგი ცვალებადობის კანონს ექვემდებარება. ამის მიუხედავად, ჩვენი მართლმადიდებელი თუ მართლმადიდებლობის დამჩემებელი საზოგადოების დიდი ნაწილი დღეს ბევრს ლაპარაკობს და გეგმებსაც კი სახავს, რომ ქართული კულტურის საზღვარგარეთ არსებული ძეგლები საქართველოს საპატრიარქოს დაქვემდებარებაში გადმოვიდეს. ი. ჯავახიშვილის სახ. სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი, აკადემიკოსი როინ მეტრეველი, პროფესორ-მასწავლებლებისა და სტუდენტების სახელით საერთაშორისო საზოგადოებრიობას მიმართავს, რათა მხარი დაუჭირონ „ჯვრის მონასტრის საქართველოს ეკლესიის იურისდიქციაში გადაცემას“ (ტექსტი 9-10 აგვისტოს [2003] სხვადასხვა გაზეთში გამოქვეყნდა). პროფ. გურამ შარაძე უფრო შორს მიდის: „დადგა დრო, საქართველოს ხელისუფლებამ და საპატრიარქომ კატეგორიულად დასვან ბერძნული ეკლესიის მიერ მიტაცებული ქართული ეკლესია-მონასტრების საქართველოსათვის გადმოცემის საკითხი. თუ ეს ხელისუფლება მართლა მართლმადიდებელია და არ ანტი მართლმადიდებელი, ეს აუცილებლად უნდა გააკეთოს და სახელმწიფო რელიგიად მართლმადიდებლობა გამოაცხადოს“ („ახ. თაობა“,

7.VII, №185). ახალგაზრდა მწერლებმა და სცენის ოსტატებმა, რომლებმაც მიტინგი რატომღაც საბერძნეთის საელჩოს წინ მოაწყვეს, ასეთი ლოზუნგი ააფრიალეს: "მოვითხოვთ ჩვენი სიწმინდეების დაბრუნებას!"

ეს ცნობიერება და მისწრაფებები არეკლილია „კონსტიტუციურ შეთანხმებაშიც", რომლის თანახმად (მუხლი 10) სახელმწიფო ვალდებულია, რათა აწარმოოს მოლაპარაკება „შესაბამის სახელმწიფოებთან მათ ტერიტორიაზე არსებული ყველა ქართული მართლმადიდებლური ტაძრის... საეკლესიო ნივთის... საკუთრების თაობაზე". მოლაპარაკება „საკუთრების თაობაზე", ცხადია, იმავე მიზანს ისახავს, რა მიზნის წარმოჩენასაც საპატრიარქო, რ. მეტრეველი, გ. შარაძე, თავად პრეზიდენტი და ბევრი სხვანი არ ერიდებიან.

კათალიკოს-პატრიარქმა ილია II იერუსალიმის პატრიარქ ირინეოსს წერილი მისწერა, რომელშიც დასვა კითხვა: „რატომ ცდილობენ გარკვეული ძალები ქართველთა კვალის ასე დაჟინებით წაშლას წმიდა მიწაზე?" („ახ. თაობა", 8.VII, №186). კითხვა მრავლისმეტყველი და დამაფიქრებელია, მაგრამ პასუხი მარტივი და გამჭვირვალეა. გ. უძილაურის კორესპონდენციაში „ქართული ტაძრები ჩვენს საპატრიარქოს უნდა გადმოეცეს" ვკითხულობთ: „ერთ-ერთი ვერსიით, ფრესკის განადგურების მიზეზი დაკავშირებულია სააკაშვილის ვიზიტთან ისრაელში, სადაც შესაძლოა დამდგარიყო ქართული ტაძრების საქართველოს საპატრიარქოსათვის გადაცემის საკითხი" („ახ. თაობა", 6.VII. №183). ამასვე

ვარაუდობს პროფ. მარიკა ლორთქიფანიძე: „შეიძლება ვიღაც გააღიზიანა ზოგიერთი პიროვნების საუბარმა, რომ ჯვრის მონასტერი ჩვენი იყო და ის უნდა დაუბრუნდეს საქართველოს“ („ახ. თაობა“, 5.VII. №183).

ვარაუდი ლოგიკური და საფუძვლიანია. მით უმეტეს, რომ იგი გამართლდა.

სამწუხაროა, მაგრამ ფაქტია: მარტივ ჭეშმარიტებას, რომ ნებისმიერი ისტორიული ძეგლი, როგორც ძეგლი, იმ სახელმწიფოს ეკუთვნის, რომლის ტერიტორიაზეც იგი მდებარეობს, ჩვენი სახელმწიფოს ამჟამინდელი მეთაური, პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილიც, ვერ აცნობიერებს. მან იერუსალიმში, საქართველოდან ასული ებრაელების წინაშე, ხმამაღლა განაცხადა: „ჩვენ უნდა დავიბრუნოთ ჩვენი სიწმინდეები!“ საკითხავია, რას იტყვის იგი, იმავე ისრაელის პრეზიდენტმა საქართველოში ებრაულ დიასპორასთან შეხვედრის დროს ანალოგიური რამ რომ განაცხადოს და, კონკრეტულად, ლაილაშის სახელგანთქმული თორის სინაგოგისათვის გადაცემა მოითხოვოს? რა ხასიათზე დავდგებით ჩვენ, ქართველები, რომელთაც აღნიშნული ხელნაწერის ფასი ასე თუ ისე გაგვეგება?

უნდა ვიფიქროთ, რომ ჩვენმა არასამართლებრივმა და, მეტიც, არაკულტუროლოგიურმა, არაეკლესიოლოგიურმა პრეტენზიებმა 21-ე საუკუნის ვანდალს ძილი დაუფრთხო და ვანდალური ქმედება წაახალისა. იქნებ აწი მაინც შევძლოთ საკუთარი პასუხისმგებლობის შეგნება!

„ყველაფერი ის, რაც არ გსურს, რომ შეგემთხვეს შენ, არც შენ შეამთხვიო სხვას“

(ტობ 4:15; მთ 7:12, ლკ 6:31; დიდაქე 2.)

ნაკლებად სავალალო როდია ფაქტი, რომ მართლმადიდებლობით გაამაყებული ჩვენი თანამემამულეები არცთუ იშვიათად იმასვე აკეთებენ, რაც ახლო ხანს იერუსალიმში ვიღაც ვანდალმა გააკეთა. ჩვენს ბერებს და ერისკაცებს: მღვდლებს, ეპისკოპოსებს, მეცნიერებს, მწერლებს, პოლიტიკოსებსა და პოლიტოლოგებს არ მოსწონთ, როდესაც მავანი და მავანი ჩვენს წმიდათაწმიდას შეურაცხყოფს, მაგრამ შუბლზე ერთი ძარღვიც არ უტოკდებათ, როდესაც სხვის წმიდათაწმიდას ჩვენ შეურაცხვყოფთ. ეს სხვა, რომელიც ამჯერად მხედველობაში გვყავს, მართლა სხვა კი არ არის (თუმცა, კეთილი ნების ადამიანისთვის ნებისმიერი კაცი მოყვასია), არამედ ჩვენი სისხლი და ხორცი, ქართველები და საქართველოს მოქალაქეები — კათოლიკეები არიან.

ერთობ უბირი და უწიგნური უნდა იყო კაცი, რომ არა გაგეგებოდეს რა იმ კეთილისმყოფელი სიტყვის შესახებ, რაც კათოლიკურმა ეკლესიამ საქართველოს ისტორიაში თქვა. თუ გაგეგება, როგორ ავხსნათ ის ცილისწამება, ლანძღვა-გინების კორიანტელი, აგრესია და ვანდალიზმი, რასაც ჩვენი ეპისკოპოსები, მღვდლები და მათი სულიერი შვილები კათოლიკური ეკლესიების მიმართ სჩადიან?

იძულებული ვართ, შოთა რუსთაველის ფრესკის შელახვის გამო სამართლიანად აღშფოთებულ

მანიფესტატორებს დავუსვათ კითხვა: გაღელვებთ თუ არა, ასევე, თანამემამულე კათოლიკეების იმ ეკლესიებში არშეშვება (ბათუმში, ქუთაისში, გორში, ივლიტასა თუ უდეში), რომლებიც მათმა სულიერმა წინაპრებმა ააშენეს და გაამშვენეს? ხართ თუ არა აღშფოთებული იმ ბარბაროსობის გამო, რაც გორის კათოლიკური ეკლესიის ძველი ფრესკების გადაღებვით გამოიხატა? გზაფრავთ თუ არა იმ მართლმადიდებელი მღვდლის საქციელი, რომელიც ახალციხის რაიონის სოფელ ივლიტას კათოლიკურ ეკლესიაში ფრანგი მისიონერების და ქართველი კათოლიკე მოღვაწეების საფლავებს ანადგურებს?

მრავლისმეტყველი დამთხვევაა. ივლიტას ეკლესია, იერუსალიმის ქართველთა სავანის მსგავსად, წმიდა ჯვრის სახელზეა ნაკურთხი. იგი საქართველოში უძველესი კათოლიკური ეკლესიაა, დაფუძნებული 1298 წელს. მორწმუნე კათოლიკეები მას სასწაულმოქმედ ძალას მიაწერენ და მის მიმართ დიდი სასოება აქვთ. მართლმადიდებელი მღვდელი იოანე გელაშვილი კი იქ კედლებში გამოსახულ ჯვრებს ამტვრევს (აქაოდა კათოლიკურიაო) და საფლავთა ქვებს ბეტონის მასით ფარავს, რითაც კათოლიკეები ისევე არიან შეურაცხყოფილნი, როგორც ნებისმიერი კულტუროსანი ქართველი თუ არაქართველი რუსთაველის პორტრეტის ხელყოფის გამო.

საქართველოში კათოლიკეების მდგომარეობა გამონაკლისი არაა. არც ბასილ მკალავიშვილი და მისი თანამოსაგრეები არიან ეული. რელიგიურ ექსტრემიზმს ჩვენში რეალური ძალა აქვს, რაც ალ-

აგ-ალაგ ისეთ ქმედებებში გამოიხატება, რა ქმედებებსაც უცხოეთში ჩვენს მიმართ ავისმდომელები ალაგ-ალაგ მიმართავენ. ესაა მიზეზი, რომ ვეღარ იტყვის მუხრან მაჭავარიანი, რაც დღემდე უთქვამს ათონის მთაზე ქართველთა ნატერფალის ამოშანთვის მცდელობის გამო: „ქართველი ამას იკადრებს?! — არა“, რადგან თუ იტყვის, მწუხარებით ვუპასუხებთ: — დიახ, იკადრებს!

დროა, გვერდზე გადავდოთ მითები ქართველი კაცისა და ქართული ენის ბუნებითად გამორჩეულობის შესახებ და გავაცნობიეროთ, რომ მადლით, ღირსებითა და უნარით ჩვენც ისეთი ხალხი ვართ, როგორც ყველა სხვა. ყველაზე დიდი ნაკლი, რაც ჩვენი ქვეყნის მოქალაქეებს, ქართველებსაც და არაქართველებსაც, ახასიათებთ, თვითკრიტიკისა და თვითკონტროლის დეფიციტია. ეს იგივე არასამართლებრივი და არასახელმწიფოებრივი აზროვნებაა, რითაც ჩვენს ხალხს თითქოს თავიც კი მოსწონს. ამ თვისებებს ერთობ თვალშისაცემად „ქართული მართლმადიდებლობით“ თავმომწონე მართლმადიდებლები ამჟღავნებენ. ალბათ გამორჩეულობის სინდრომია იმის მიზეზი, რომ საქართველოში საზოგადოების ელიტარულ ნაწილსაც კი ვერ გაუაზრებია ის მარტივი ჭეშმარიტება, რაც თანამედროვე ცივილიზაციის მონაპოვარია და რის თაობაზეც, ჩვენი ქვეყნის გარდა, აღარ დავობენ.

მხედველობაში ისევ და ისევ ისტორიული ძეგლების საკუთრების საკითხი გვაქვს. როდესაც საუბარია, მაგალითად, ჯვრის მონასტერზე, ორი ცნება უნდა განირჩეს: კულტურული კუთვნილება და სა-

კუთრება. მართალია, ჯვრის მონასტერი (თუ მთლიანად არა, მისი დიდი ნაწილი მაინც) ქართული კულტურის ძეგლია, მაგრამ იგი, როგორც მატერიალური მოცემულობა, ეკუთვნის არა საქართველოს, არამედ ისრაელს. ასევე ეკუთვნის საქართველოს ყველა არაქართული წარმომავლობის ძეგლი, რომლებიც ჩვენმა ქვეყანამ შემოინახა და დღესაც ჩვენთანაა. ჩვენ აღშფოთებულნი უნდა ვიყოთ არა იმიტომ, რომ ჩვენი საკუთრება ხელყვეს, არამედ იმის გამო, რომ ჩვენი ეკლესიური წარსულისა და კულტურის კვალის წაშლას შეეცადნენ. ისიც უნდა გავითვალისწინოთ, რომ მკაცრი აზრით არც კულტურას და, მით უმეტეს, არც ეკლესიას საზღვრები არა აქვს და ამ უბნებზე ნებისმიერი პრობლემა ზოგადსაკაცობრიო და ზოგადსაეკლესიო პრობლემაა.

ამასთანავე: როდესაც სხვებისაგან ჩვენი უფლებების დაცვას და ტრადიციების პატივისცემას მოვითხოვთ, გვმართებს, ჩვენც დავიცვათ სხვათა უფლებები და მათ ტრადიციებს პატივი ვცეთ.

გორის კათოლიკური ტაძარი ფუწინდელი სახით

ახალი სტელა, რომელზეკაა
სათუბარი 118–121 გვერდებზე



მამა დომინიკე მუღაშაშვილი–ჰაწაძე (1864–1911)

მამა დომინიკეს საფლავის ქვა

გორში, ნინოშვილის ქუჩა 90–ში კათოლიკე მრევლის ამჟამინდელი შეკრების ადგილი, სამლოცველო სახლი. ქვემოთ, ინტერიერი.

ჯვარცმა გორის ეკლესიიდან



ლოურდის ღვთისმშობლის ქანდაკება გორის ეკლესიიდან

სარჩევი

„არა გულმან გითქვას...“ 3
რა არის დღეს და რა იყო გუშინ 9
პრობლემის სათავე და საფუძველი 13
კათოლიკეთა ეკლესიები საქართველოში 17
მართლმადიდებლებისა და კათოლიკეების თანაცხოვ-
რება საქართველოში 20
რამ გამოიწვია “უკიდურესი ხასიათი და გონჯი სახე“? 35
უფლებებისა და სამართლიანობისათვის ბრძოლა 41
„მიზეზებად მიზეზთა ცოდვისათა“ (ფს. 140:4) 43
გორის კათოლიკური ეკლესიის წარსულიდან 46
მთავარია, თავი ვიმართლოთ 86
საიდან „1802 წელი“? 87
წყაროსა და არგუმენტების მოძებნაში 93
წყლული და ტკივილი 111
სადაა რჯული ანდა მორალი? 112
ახალი ამბავი 113
ბოლოსიტყვის მაგიერ: 115
კათოლიკეთა ეკლესია გორში და წმ. კირიონის ანდერძი 115
ლიტერატურა 122
დანართი 125
პაატა ზაქარეიშვილი, ნუგზარ პაპუაშვილი
ნუ გავაკეთებთ, რაც არ გვინდა, გაგვიკეთონ ჩვენ 126

Nugzar Papuashvili

FOR TRUTH AND JUSTICE ON GORI CATHOLIC CHURCH

published under the editorship and with foreword of Professor Zurab Kiknadze

SUMMARY

In the book are discussed controversies between Orthodox and Catholic churches in Georgia, which arose on the ground of church property. More specifically, the subject of the dispute are those religious buildings, which prior to establishment of the Soviet rule belonged to the Catholic Church. In conditions of the Soviet regime the atheist government modified these buildings for secular purposes and changed their designation. During the collapse of the Soviet regime in 1989–1991, the Orthodox Church took over these buildings. The book sheds the light on the history of Gori Catholic church. Currently its building in Gori, as well as four other buildings, located in different regions of Georgia, which previously belonged to the Catholic Church, are nowadays in the ownership of Orthodox Church. Catholics feel insulted and fight for reinstatement of their legal rights. The Constitutional Covenant, i.e. the Concordat granted Georgian Orthodox Church the status of a state institution and at the same time assigned it broader rights in comparison to other churches, represented in Georgia. Today the Patriarchy of Georgian Orthodox Church possesses such power, that mundane institutions refrain from going against its will. The Georgian Orthodox Church not only has no intention of returning these buildings to the Catholic Church, but is currently conducting reconstruction of these buildings for the purpose of elimination of the traces of their Catholic belonging. The Georgian Orthodox Church also spreads the rumors, that these buildings initially belonged to Orthodox Church and that later they were handed over to Catholics by Russians.

The question arises: does the position of The Georgian Orthodox Church have legal grounds and whether this position is justified or supported by the past history, traditions and the nature of the Georgian Orthodox Church? Given issue is overviewed taking into consideration different historical sources (some of these documents are published for the first time) and the publication contains polemics with opponents. The researcher comes to the following conclusion: the attitude of majority of representatives of the Georgian Orthodox Church toward the representatives of the Catholic Church is in conflict with cultural and religious traditions of the country. Anti-catholic, and generally anti- ecumenical hysteria is alien to the history of Georgian Orthodox Church. The cause of abovementioned hysteria and some other negative occurrences is orthodox nationalism, i.e. the phyletizm, which became widespread in the post soviet Georgia. The author considers, that the issue will be settled in a fair manner, when the alleged party – the Georgian Patriarchy shall follow the words of Jesus Christ „treat other the way you want to be treated" (Mt 7:12, Lk 6:31).

The book finishes with an annex, containing letter of the author N. Papuashvili and politologist Paata Zakareishvili, currently the State Minister of Georgia, published 10 years ago, which is dedicated to the similar problems and is titled „Don't do anything, that we don't want to be done towards us".

The book is designated for specialists, as well as for broad public.

Edition: Sulkhan Saba Orbeliani Teaching University, Tbilisi, 2013

გორის კათოლიკური ტაძრის ინტერიერი 90-იან წლებში, ჯერაც შემორჩენილია ტაძრის ფრესკები



გორისქიხე ქრისტეფორე კასტელის ალბომიდან

ISBN 978-9941-0-5614-7